



# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
პერიოდული ორგანო.

„LA PATRIE”

Organe du parti National-Démocrate Géorgien.

№ 16-17 17-18

## შინაარსი:

- 1. მარშალი პილსუდსკი . . . . . \*\*
- 2. იტალია - აბისინიის დავა და მსოფლიო აღრევა ალ. ასათიანი
- 3. მხედრებს . . . . . რ. გაბაშვილი
- 4. მოსკოვის და კომინტერნის ახალი გზები . . . ალი
- 5. საზავო სიტყვები და საომარი საქმეები . . . ელ. პატარიძე
- 6. რუსეთის ძლიერებაზედ . . . . . რაე
- 7. ჩრდილოეთის როლი საქართველოს საგარეო მდგომარეობაში უწინ და დღეს . . დავ. ვაჩნაძე
- 8. გიორგი მაჩაბელი (ნეკროლოგი) . . . . . \*\*
- 9. ჯოტო შარვაშიძე " . . . . . \*\*
- 10. ალექსი მდივანი " . . . . . \*\*
- 11. საგარეო ამბები . . . . . \*\*
- 12. სომეხ - ქართველთა ურთიერთობა . . . . . მსმენელი
- 13. ემიგრაციაში . . . . . \*\*
- 14. ბიბლიოგრაფია . . . . . \*\*

6-496





ქართული  
ბიბლიოთეკა



მარშალი კილსუდსკი

(გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო)





# საქართველო



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
პერიოდული ორგანო.

„La Patrie” organe du parti National-Démocrate Géorgien

ოქტომბერი 1935

№ 17-18

OCTOBRE 1935

## მარშალი პილსუდსკი

ცხოვრებასა და ისტორიას სხვა და სხვა საზომი აქვს სახელმწიფოებრივ მოღვაწეთა დაფასებისათვის. ცხოვრება წლებისა და ხშირად დღეთა ჯამზედ აშენებს თავის დასკვნებს — ხალხის მიერ მოკლე მანძილზე განაცადზე ამყარებს თავის დაფასებას. ამის გამო იგი მერყევი და ცვალებადია. ისტორიას კი საუკუნეთა საზომი უპყრია ხელში და ცხოვრების მოვლენები უკვე დამთავრებული და ამის გამო ყოველ - დღიურ ვნებათა ლეღვას დაშორებული. ისტორია დროს მოითხოვს და მანძილს, რომ ამა თუ იმ მოღვაწეს სათანადო ადგილი მიუჩინოს თავის წიაღში.

მაგრამ არის გამონაკლისებიც, როდესაც მოღვაწე თავის ცხოვრების დასრულებისთანავე დაიკავებს თავის ადგილს ისტორიაში და ისეც ხდება, რომ ეს ადგილი სიცოცხლეშივე მიეკუთვნება.

ახალი პოლონეთის პირველი მარშალი იოსებ პილსუდსკი ასეთს წრეს ეკუთვნის. მისი მოღვაწეობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როდესაც გარკვეული და ნათელი გახდა ყველასათვის, შინაურთა და გარეშეთათვის, ის ადგილი, რომელსაც დაიჭერდა მარშალი პილსუდსკი პოლონეთის ისტორიაში. მის მოღვაწეობას, რასაკვირველია, ყველანი ერთნაირად არ აფასებენ. ზოგნი მის საქმეთა ერთ მხარეს სთვლიდნენ უმთავრესად, ზოგნი მეორეს, ზოგნი ყველაფერს მის ნაღვაწს მთლიანად ლებულობდნენ, ზოგნი კიდევ არა სავსებით, მაგრამ ყველასთვის უდავოდ იყო მიჩნეული ის აზრი, რომ მარშალ პილსუდსკის უკვე დამკვიდრებული ჰქონდა და მოპოებული ადგილი პოლონეთის უდიდეს მოღვაწეთა პირველს რიგებში.

ამის გამო ყველას ბუნებრივად მოეჩვენა, როდესაც პოლონეთმა იშვიათის სემგლოვიარო ზემით დაკრძალა თავისი უდიდესი შვილი პოლონეთის ისტორიის უდიდეს მოღვაწეთა აკლდამაში.



ჩვეულებრივი ადამიანური ბუნების მიხედვით გასაგებია, როდესაც სხვა ხალხთა ამა თუ იმ მოღვაწის დაფასების დროს, ჩვენ ქართველები ვიგონებთ მის ჩვენი ერისადმი დამოკიდებულებასა და განწყობილებას. მარშალ პილსუდსკის მიმართ დიდაც რომ ბევრი რამ აქვს ჩვენს ერს მაღლობით მოსაგონარი და დასაფასებელი. მაგრამ მარშალ პილსუდსკის დიდი ხსოვნა არ საჭიროებს, რომ ეს მხარე მისი ბუნებისა ჩვენ გამოვეყოთ და მხოლოდ მის პიროვნებას მივაკუთვნოთ. ქართველ ერისადმი კეთილსა და მეგობრულს განწყობილების მიმართ პოლონეთის მარშალი იყო, მხოლოდ ჯარის კაცი თავისი ერისა. ის ღირსეულად გამოსახავდა ქართველი ერისადმი იმ კეთილშობილურ რაინდულ გრძობას, რომელსაც განიცდიდა ყოველი პოლონელი, განურჩევლად მიმართულებისა და მდგომარეობისა.

თავის ერის ეს საერთო განწყობილება მარშალ პილსუდსკიმ თუ ამაღლა და ერთგვარ რაინდულ კულტად გახადა, ეს მან შესძლო იმის გამო, რომ მისი ბუნება გადაურჩა თანამედროვე ვითარების ზეგავლენას და უცვლელად შეინარჩუნა ის რაინდული მორალი და იდეალიზმი, რომელიც წინად ბევრს ჰქონდა ევროპაში, მაგრამ ჩვენ დროს იშვიათად თუ ვისმე გამოჰყვა. ეროვნული ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის დაფასება და პატიისცემა მარშალ პილსუდსკიმ ამ ჩვენ დროს, მთელს მსოფლიოში მორალურ დებრესიის ხანაშიაც შეინარჩუნა ისეთივე მაღალი შინაარსით, როგორც ეს მას ჰქონდა წინად. კეთილშობილურ იდეალიზმის ეპოქაში.

როდესაც მარშალ პილსუდსკის ქართველ ერისადმი დამოკიდებულობის ბუნებას მთელს პოლონეთს მიუთვლით და იოსებ პილსუდსკის მივიჩნევთ როგორც ამ განცდათა ღირსეულ გამომსახველს, ჩვენ ამით სიმართლეს არ აცვილდებით და ამავე დროს უფრო გაგვიადვილდება მიუდგომლად და პირუთენელად დავაფასოთ მისი მოღვაწეობა მშობლიურ ერის მიმართ.

როდესაც ამ საკითხს თვით პოლონეთის საზღვრებით შემოვფარგლავთ, ჩვენ არ შეგვიძლიან არ შევამჩნიოთ, რომ მარშალი პილსუდსკის მოღვაწეობის მეორე ნახევარია ის ხანა, რომელიც ავსებს თითქმის საცხებით ამ დიდი პოლონელის ეროვნული ღვაწლისა და ამავსი ჯამს. ეს ის ეპოქაა, სადაც იოსებ პილსუდსკი ეროვნულ ასპარეზზე სჩანს, როგორც ეროვნული ბრძოლის აქტიურა ხელმძღვანელი. ეს ხანა გრძელდება იოსებ პილსუდსკის ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე და ის აღვსილია უდიდესი მიღწევებით ჯერ



განმათავისუფლებელ ბრძოლისა და შემდეგ უკვე დამოუკიდებელ პოლონეთის ასპარეზზე.

ეს ხანა მარშალ პილსუდსკის მოღვაწეობისა დროთი უფრო ახლოა და ამასთანავე საყოველთაოდ უფრო ცნობილი, რადგან ის უდიდეს საერთაშორისო საკითხებთანაა გადახლართული. სავსებით გასაგებია, რომ ის ერთგვარად ჩრდილავს პილსუდსკის მოღვაწეობის პირველ ნახევარს, როდესაც იგი თავის ქვეყანაშია ც ფარული მოქმედების გზებით მიდიოდა და საიდუმლო წრეების ფარგალს არ სცილდებოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ხანა პილსუდსკის მოღვაწეობისა არამც თუ არ ჩამოუვარდება თავისი არსებითი მნიშვნელობით მეორე უფრო ბრწყინვალე ეპოქას, არამედ წარმოადგენს იმ მტკიცე საძირკველს, რომელზედაც მხოლოდ შეიძლებოდა თანამედროვე პოლონეთის დაფუძნება და აშენება. იოსებ პილსუდსკის მოღვაწეობა რომ ამ პირველი ხანით დამთავრებულიყო და პოლონეთის აღდგენის საქმე სხვებს დაესრულებინათ, მიუდგომელი და დაკვირვებული მკვლევარი მაშინაც აღნიშნავდა, რომ იოსებ პილსუდსკის მოღვაწეობამ ჩაუყარა მტკიცე საძირკველი პოლონეთის განთავისუფლებისა და აღორძინების საქმეს.

ეს ხანა იყო ის ხანა პილსუდსკის ცხოვრებისა, როდესაც ახალგაზრდა პილსუდსკიმ საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ მოძრაობას პოლონეთში, იდეურად და ორგანიზაციულად ჩამოაყალიბა პოლონეთის სოციალისტური პარტია. ჩვენ აქ სრულებით იმის თქმა არ გვინდა, რომ პოლონეთის განთავისუფლების საქმე დიდათ წააგებდა, უკეთეს ეს პარტია არ დაარსდებოდა. წინააღმდეგ ამისა ის დიდათაც მოიგებდა, უკეთეს ამ პარტიის მიერ დახარჯული ენერჯია ეროვნულ სახემლწიფოებრივ მიმართულებათა ასპარეზზე გაიშლებოდა. მაგრამ იმ ეპოქას სოციალისტური მიმართულება თანდასდევდა და თუ პილსუდსკი არ იქნებოდა, მ.ს. უთუოდ სხვები დაარსებდნენ.

იოსებ პილსუდსკის უდიდესი ღვაწლი იმაშია, რომ მან გადააჩინა სოციალისტურად განწყობილი წრეები ინტერნაციონალურ იდეათა უკიდურესობას და ნილილიზმს ეროვნულ მიზნებისადმი, რომელსაც მყინდენ და ნერგავდნენ თავის გარშემო რუსულ სოციალიზმის მებაირალტრენი. პილსუდსკიმ თავიდანვე ეროვნული მიმართულება მისცა მუშათა მოძრაობას და ამ წრის კლასიური ინტერესები და სულისკვეთება საერთო ეროვნულ მიზნებსა და ინტერესებს დაუმორჩილა. მისი ასეთი მოღვაწეობის დიდი ნაყოფი მალე გამომჟღავნდა. როდესაც პოლონეთის აღდგენისათვის ახდელი ბრძოლის ასპარეზი გაიხსნა, ამ ასპარეზზე თავი მოიყარა ერის ყველა



სასიცოცხლო ძალებმა, ყველა წრემა და მიმართულებამ. ადვილი წარმოსდგენია თუ რამდენად სახიფათო იქნებოდა პოლონეთისათვის, თუ ამ დროს პოლონეთი ორს, ერთმანეთთან დაპირდაპირებულ ბანაკად იქნებოდა გაყოფილი. ვიწრო კლასიური სულისკვეთებით გამსჭვალულსა და ეროვნული ნიღბიზმით შეპყრობილს, შედარებით მცირე ძალასაც შეეძლო შეფერხება ეროვნულ დროშის ქვეშ მებრძოლ ძალების მოქმედებისა, მისი შებორკვა და პარალიზაცია. თუ ეს საბოლოოდ საქმეს ვერ წააქცევდა, ყოველს შემთხვევაში ახლად აღდგენილ პოლონეთს დიდათ დაასუსტებდა და დაასახიჩრებდა.

პილსუდსკიმ გაატარა სოციალისტური წრეები პოლონეთის აღდგენისათვის გადახდილ ყველა ბრძოლებში და ეროვნული დროშით მიიყვანა განთავისუფლებულ პოლონეთში. აქ უკვე ახალი და საკუთარი ასპარეზი უჩნდებოდა ამ წრეებს — შინაური წყობის, სოციალური ინტერესების, რომლის ნიადაგზე ისინი სხვებს უპირდაპირდებოდნენ. და აქვე სრულდება პილსუდსკის სოციალისტური მოღვაწეობის ხანა. ცნობილია ის სიტყვები, რომლითაც მან უბასუხა თავის ძველ ამხანაგებს, რომლებმაც ამის გამო საყვედურებით მიჰმართეს.

— დიახ, ჩვენ ყველანი ერთი მატარებლით მოვდიოდით, მაგრამ როდესაც მატარებელმა მიაღწია პოლონეთის სადგურს, მე აღმოვხტი და ამ სადგურს იქით წასვლას არ ვფიქრობ. თქვენ კი კიდევ შორი გზა გაქვთ სოციალიზმისაკენ და კეთილ მგზავრობას გისურვებთო.

მარშალ პილსუდსკის ასეთი სიტყვები არავის გააოცებს, ვინც აურაცხელით განიხილავს იმ აზრებსა და სულისკვეთებას, რომლითაც გაჟღენთილია ყოველი მისი სიტყვა და საქმე მთელს მის სოციალისტური მოღვაწეობის გასწვრივ. და ვინც ეს შესძლო და სოციალურ ბრძოლის ასპარეზზე გამოსულ წრეებში, შინაური ანგარიშებით გაჟღენთილ ატმოსფეროში შეუბღალავათ შეინარჩუნა საერთო ეროვნული მიზნის უზენაესობის სულისკვეთება, თვითონ არ დაეშვა ძირს ამ სიმაღლიდან და ეს წრეებიც ამ მწვერვალს მიუახლოვა, არ არის გასაკვირველი, რომ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ერთ ეროვნულ დროშის ქვეშ თავმოყრილ მებრძოლ ძალებს ღირსული წინამძღოლობა გაუწვია და როდესაც ამ ბრძოლამ მიზანს მიაღწია, მოპოებულ თავისუფლებას ფხიზელ დარაჯად ჩაუდგა.

განთავისუფლებულ პოლონეთს სამი წელიც არ დასცალდა, რომ მის საზღვრებს დიდი რუსეთის ტალღები მოასკდა, ახლად ანა-



გებ სახელმწიფოებრივობის დასანგრევად და წასალეკავად. პოლონეთის ერმა განსაცვიფრებელი მხნეობა და თავდადება გამოიჩინა ამ დიდი განსაცდელის უამს და თუ ამ ბრძოლებში დიდი როლი ითამაშა მარშალ პილსუდსკის მხედრულმა ნიჭმა და ხელოვნებამ, უთუოდ გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მორალურ ძალას, რომელიც მან ერს შთაბერა.

ამის შემდეგაც, ამ უკვე შედარებით მშვიდობიან სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ასპარეზზეც მარშალ პილსუდსკის ეს დიდ-მორალური ბუნება და გავლენა იყო უმნიშვნელოვანესი მისი ნიჭი და უნარი.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე პოლონეთმა ბრწყინვალე გზა განვლო. სასახელო იყო მისი ბრძოლა თავის ეროვნულ მეობის აღდგენისათვის, სასახელოა მისი ბრძოლა და შრომა მოპოვებულ თავისუფლების დასაცავად, განსამტკიცებლად. საშინელს გარემოცულობასა და შინაურ ცხოვრების უმძიმეს პირობებში მან შექნა ისეთი ძლიერება, რომ მსოფლიო ოჯახში შესვლის შემდეგ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში უდიდეს სახელმწიფოების რიგში მოექცა.

ამ დიდ მიღწევათა წარმოშობის ჯამში თავს იყრის პოლონეთის ერის მრავალი კარგი ღირსება, წარსულ თაობათა ნაანდერძევი და ცოცხლთა გადანახადი. მაგრამ ამ მოვლენათა შორის ფრიად თვალსაჩინო ფაქტორია მარშალ პილსუდსკის მოღვაწეობა და მისი მორალური პიროვნება. აწ ის დასრულებულია, როგორც თვალხილული საქმე, მაგრამ ის სამარადისოდ დარჩება მშობელ ერისათვის, როგორც ცოცხალ თაობათა ამამაღლებელი და განმამტკიცებელი ძალა და მორალური ფაქტორი. მაგრამ ასევე დიდ მორალურ მაგალითად დარჩება ის ყველასათვის, ვინც იღწვის და იბრძვის თავისი ერისთვის.

განსაკუთრებით დიდია ასეთი მაგალითების მნიშვნელობა იმ მორალურ დაქვეითების დროს, რომელსაც განიცდის კაცობრიობა ამ უამად. ჭეშმარიტად იმედის აღმძვრელია, როდესაც ამ საერთო დაძაბუნების სივრცეზე აქა იქ კვლავ აღიმართება ასეთი მწვერვალები.



## იტალია - აბისინიის დავა

### და მსოფლიო აღრევა

ხალხთა შორის დავა და უთანხმოება მუდამ მრავალი ყოფილა და ჩვენს დროში ის თუ გამრავლდა, თორემ არ შემცირებულა; და რომ გადავარჩიოთ ეს უმრავი დავების და ბრძოლების ამბები, რაც კი არის აღნიშნული კაცობრიობის ისტორიაში, არ ვფიქრობ, მოვიპოვოთ იტალია - აბისინიის დავის მსგავსი მეორე მაგალითი. თვით ეს საქმე სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში დაფუძნებული და დაკანონებული, ხოლო ამ დავის გამოძახილი მთელს მსოფლიოს სივრცეზე არის უთუოდ უხილავი და გაუგებარიც.

ერთა ლიგაში შეკრებილი 54 სახელმწიფო აქტიურად არის ჩარეული ამ დავაში და ერთა ლიგის გარეშე მყოფი სახელმწიფოებიც ამა თუ იმ სახით ამ საერთო ფერხულში ებმიან. ერთა ლიგის სახელმწიფოები, თითქმის ყველანი, იტალიისათვის გზების დასაკეტ საშუალებების ძებნაშია, მაგრამ ამავე დროს ყველა ამ ქვეყნებში ხალხთა განწყობილება ორად არის გაყოფილი. ერთი მხარე აბისინიისა ან უფრო მისი ნეგუსის სუვერენობის დაცვას სთვლის უმაღლეს და უკეთილშობილეს მისიად თანამედროვე კაცობრიობისათვის; მეორე მხარე კი წინააღმდეგია, რომ აფრიკულ იმპერიის დაცვისათვის ხიფათში იქნეს ჩაგდებული ზავი და მშვიდობიანობა ევროპაში.

ეს დავა არ ეხება უშუალოდ ჩვენი ერის ინტერესებს, თუმცა ეს მას უფრო ახლო ეხება, ვიდრე დიდს უმრავლესობას იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც ამ დავაში არიან ჩაბმულნი. მრავალ საუკუნის მანძილზე საქართველო ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აღმოსავლეთ - დასავლეთის ურთიერთობის გზაზე. მთელი თაობები უამრავი სისხლი და დოვლათი ამსხვერპლა ჩვენმა ერმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მუღმივ ომებსა და შემოსევებს.

ჩვენმა ბედმა მოიტანა, რომ ამ უამად ქართველი ერის სიტყვას არავითარი ძალა არ აქვს ამ დავის სასწორზე და ეკვადორისა და ჩილის წარმომადგენელნი სჯიან ამ დავას ერთა ლიგის მიერ შექმნილს ორგანოში. რა გაეწყობა, დრონი შეფობენ... მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი ერი კვლავ დაიბრუნებს თავის ადგილსა და მნიშვნელობას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯვარედინზე, რაც მას მოპოებული აქვს ზღვა სისხლით და არა დიპლომატიური კომბინაციებით.



მაგრამ ამ დავის გარშემო ატეხილი ამბის გაგება და გაშუქება ფრიად საყურადღებოა ჩვენთვის. ის ამჟღავნებს ხალხთაშორის ურთი-ერთობის მრავალ ავადმყოფურ მოვლენებს და თვით ხალხთა შინაურ ცხოვრების და მისი სულის დასნეულებას, რომელიც წინ დაგვხვდება ჩვენი ბრძოლის და მოქმედების ყველა გზებზე.

იტალიამ განიზრახა კოლონიების მოპოება ჩრდილო აფრიკაში იმავე გზითა და იმავე საშუალებით, როგორც ეს ბევრ სხვა სახელმწიფოს მოუხდენია წინად და სულ უკანასკნელ დრომდეც. ასე რომ იტალიის განზრახვა სავსებით უდგება იმ ფაქტიურ მდგომარეობას, რომელიც დამყარებულია მთელი მსოფლიოს სივრცეზე. მაგრამ ეს ფაქტი არ უდგება იმ ფორმულებს და სტატუტებს, რომელიც შემუშავდა მსოფლიო ომის შემდეგ, ერთა ლიგის სახით. ამ ნიადაგზე ორი ქვეყნის დავა ერთა ლიგაში შეყრილ 54 ქვეყნის დავად იქცა და სინამდვილე ქალღმერთს დაწერილ წესდებებს დაუპირდაპირდა.

იტალიამ თავისი განზრახვა, აბისინიაზე პროტექტორატისა თუ მანდატის დაწესებისა, დაასაბუთა იმით, რომ მისთვის შეუძლებელი გახდა აბისინიის ტომებთან მშვიდობიანი მეზობლური განწყობილების დამყარება, და იტალია ამ თავაშვებულ ტომების მუდმივ თავდასხმებს განიცდის. იტალიის დაფასებით, აბისინია არ არის არც სახელმწიფო და არც ერი, რომ ამ ქვეყნის ერთი ტომი ჰფლობს შვიდ მილიონს, სრულს მონობაში მყოფ ტომებს, მაშინ როდესაც ეს გაბატონებული ტომი, თვითონაც რამოდენიმე სატრაპის მონობას განიცდის. ორი ათასი წლის მანძილზე ეს ტომები ერთსადაიმაც ველურობის დონეზე რჩებიან და მათი პროგრესის გზაზე შეყენება მხოლოდ დაწინაურებულ ქვეყნის პროტექტორატის ქვეშ შეიძლებაო. ერთა ლიგამ სავსებით დაადასტურა იტალიის ასეთი შეხედულება და დაადგინა, რომ აბისინიაზე დამყარდეს პროტექტორატი, მაგრამ არა იტალიის, არამედ ერთა ლიგის...

იტალიამ ამ საბუთს კიდევ მეორე საბუთი დაუმატა. იტალიის ხალხი იხუთება მიწის სივიწროვისაგან, ხოლო აბისინიის ნევუსს იტალიაზე სამჯერ უფრო ვრცელი ტერიტორია აქვს, სანახევროდ ცარიელი, თავის კოლონიებად გადაქცეული. არც ამ საბუთს შედავებია ნაციათა ლიგაში შეკრებილი სახელმწიფოები და თვით ინგლისიც, რომელიც უმთავრესს როლს თამაშობს ამ დავაში. მისმა წარმომადგენელმა არა ერთხელ აღიარა საჯაროდ იტალიის ექსპანსიის კანონიერება და აუცილებლობა. ხოლო ინგლისის ოფიციალური „ტიმისი“ იტალიის საბუთს თვითონ ასე მკაფიოდ გამოსთქვამს: „იტალიის მოსახლეობა ნახევარი მილიონით მატულობს წლიურად;



ამავე დროს იტალიას არ მოეპოვება თავისუფალი მიწა და მის ემიგრაციას ყველა გზები დაკეტილი აქვს. როგორ უნდა გამოვიდეს იტალია ასეთი მდგომარეობიდან? გაზეთი დასკვნის: ერთი რამ ნათელია, რაც უნდა მოხდეს, ამის პასუხისმგებლობა არ დაწევება მხოლოდ მუსოლინს და მის ერს“.

მიუხედავად ამისა, ერთა ლიგა და ინგლისი კატეგორიულად აუშხედრდენ იტალიის განზრახვებს. საბუთად ის მოჰყავთ, რომ იტალიის გეგმა ეწინააღმდეგება ერთა ლიგის სტატუტს. ეს უთუოდ მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ერთა ლიგის კოვენანტი არა ერთხელ დარღვეულა ამ უკანასკნელ წელთა მანძილზე და ამისთვის ერთა ლიგას და მაში შეყრილ სახელმწიფოებს არც ომისა და არც ეკონომიურ სანქციებისათვის არ მიუმართავს.

ერთა ლიგას ამოფარებულ წრეებს საბუთად მოჰყავთ კიდევ საომარი ასპარეზის გაფართოვების საშიშროება, აფრიკაში ანთებულ ცეცხლის ევროპაში გადასვლის შესაძლებლობა. ასეთი შიში არ ჩაითვლება სრულიად უსაფუძვლოდ, თუმცა აფრიკაში მრავალი ომი წარმოებულა ამ უკანასკნელ საუკუნეში, ეს ომები ათეულ წლებითაც გაგრძელებულა და არც ერთი მათგანი ევროპაში არ გადასულა. ყველაზე უცნაური ის არის, რომ ვინც იტალიის ზრახვებს ეწინააღმდეგება ასეთი პოლიტიკური საბუთებით, სწორეთ ისინი მოითხოვენ იტალიის წინააღმდეგ ეკონომიურ ბლოკადას და თვით შეიარაღებულ ძალით ხელის შეშლას. ასეთი გზა რომ უფრო ადვილად მიიყვანს კაცობრიობას ევროპის ომის კარებთან, ვიდრე შორეულ აფრიკაში დაწყებული კოლონიალური ექსპედიცია, ეს უთუოდ ნათელი უნდა იყოს თვით იმათთვისაც, ვინც მას ჰქადაგებს. ასეთი პოზიციის პროპაგანდამ მთელი მსოფლიოს სივრცეზე, თვით მსოფლიო მშვიდობიანობის დარაჯის, ერთა ლიგის სახელით, უკვე შექმნა მრავალ ქვეყნებში საომარი სული და განწყობილება, რაც საუკეთესო ნიადაგია ომის ფაქტიურად დაწყებისათვის. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთი ლოზუნგი — ომი ომის წინააღმდეგ გამომდინარეობს ისეთ წრეებისაგან, რომელნიც ღღემდე ყოველგვარ ომს კანონის გარეშე აცხადებდენ. სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერები ღღემდე თავის ქვეყნის თავდაცვის საქმესაც კი ებრძოდენ და ეხლა იტალიის წინააღმდეგ ომის წარმოებას ჰქადაგობენ, ვითომდა იმისთვის, რომ ამით პაციფისტურ იდეას გამარჯვება მოუპოვონ. ნათელია, რომ ამას ადგილი არ ექნებოდა, უკეთუ საკითხი სხვას შეეხებოდეს და არა ფაშისტურ ქვეყანას. სოციალისტ-კომუნისტურ ფრონტს მსოფლიო ფაშიზმისათვის ომი აქვს გამოცხა-



დებული და ეს მათ მიერ რადიკალურად პოზიციის გამოცვლაც ომისა და ზავის საკითხში ამით აიხსნება. ასე რომ პაციფისტურ ფრაზების ქვემოთ რომ ჩავიხედოთ, ერთა ლიგის ამ ზომად დიდი აქტივობა ამ საქმეში აიხსნება იმით, რომ ზოგს თავის საკუთარი კოლონიალური საკითხები აწუხებს და ზოგს კიდევ ფაშიზმთან ანგარიშების გასწორება.

იტალია ახდლად და გაბედულად ამჟღავნებს თავის გეგმებსა და ზრახვებს. ასევე რომ იქცეოდეს მეორე მხარეც ეს სამართლიანი იქნებოდა და გამოსავლის ნახვაც უფრო გაადვილდებოდა. თორემ საერთაშორისო ზავისა და მშვიდობიანობის სამოსელში გახვეულ უფრო მარტივ და ეგოისტურ ინტერესების ზრახვებს შეცდომაში შეჰყავს პიროვნებანი, ხალხებიცა, და შესაძლოა, თვით სახელმწიფოთა მმართველი წრეებიც.


როდესაც იტალია ამბობს, რომ მას სურს თვითონ წაიღოს ის კოლონიები, რომელიც აბისინიის იმპერატორს უპყრია, მისი იმპერიალიზმის წინააღმდეგ არაფერი ეთქმის იმ ქვეყნებს, რომელთაც მრავალჯერ უფრო კულტურული ქვეყნები აქვთ კოლონიებად ქცეული. იტალიის იმპერიალისტური ზრახვები, ყოველს შემთხვევაში მიმართულია მეორე იმპერიის წინააღმდეგ და იტალიის განზრახვების მორალური დაგმობა შეუძლიან მხოლოდ იმათ, ვინც საყოველთაოდ შეებძოლებს სხვა ქვეყნის კოლონიად გადაქცევასა და სხვა ერების სუვერენიტეტის შეზღუდვას. ასეთს ნიადაგზე ვერ დადგებიან, რასაკვირველია, ვერც მოსკოვის კომუნისტები და ვერც ინგლისის კონსერვატორები და სოციალისტები. რუსეთს რომ თავი დავანებოთ, დასავლეთ ევროპის სამს სახელმწიფოს, რომელთა მცხოვრებთა რიცხვი ას მილიონს არ აღწევს, ხელთ უპყრია კოლონიები ექვსასი მილიონი მცხოვრებით. ამ ექვსას მილიონში ექვსი მილიონიც არ მოიპოვება ისეთი, რომ აბისინიის იმპერიის მცხოვრებზე მაღლა არ იდგეს კულტურულათ. იტალიის 44 მილიონს კი მხოლოდ ორათ ორი მილიონის კოლონიები აქვს, მაშინ როდესაც მას ექვსასი მილიონის მესამედი ეკუთვნოდა თუ სოლიდარობასა და სამართლიანობაზეა საქმე. მესამედს რომ თავი დავანებოთ, მესამედის მეთაღიცი რომ დაეთმოთ იტალიისათვის ის ადვილად იბრუნებდა პირს აბისინიიდან, თუ აბისინიისაკენ იტალიის წასვლა ასე საშიშია მსოფლიო მშვიდობიანობისთვის. იტალიის ექსპანსიის კანონიერებას ყველანი ცნობილობენ, ხოლო მას არაფერს უთმობენ არც აფრიკასა და არც სხვა კონტინენტზე. და ვისაც კოლონიებად აქვთ დედა-მიწის მეოთხედი და მთელი კაცობრიობის მესამედი იტალიას უსა-



ყვედურებენ იმპერიალიზმსა და ეგოისტური მიზნებისათვის საერთა-  
შორისო სოლიდარობის დარღვევას. ლოიდ ჯორჯი ასე გამოთქ-  
ვამს თავის წყრომას: „ორი ათასი წელი აბისინია ეკუთვნოდა აბი-  
სინელებს, ესლა უპირებენ წართმევას“. განა ლოიდ ჯორჯმა  
არ უწყოდ. 1920 წლის დამლევს, რომ საქართველო, სომხეთი და  
მთელი კავკასია ვაცილებით მეტი ხანი ეკუთვნოდა ჩვენს ერებს. და  
ამ ერებს აქვს არა მარტო ოცი საუკუნის არსებობა, არამედ კულ-  
ტურული არსებობა და რომ ამ ერებს ვაცილებით მეტი სისხლი აქვთ  
დაღვრილი თვის მიწაწყლის და თავისუფლების დაცვისათვის, ვი-  
დრე თვით ახალი დროის დიდს იმპერიებს? ამ ქვეყნების კარები თა-  
ვისი ხელით გაუღო ლოიდ ჯორჯმა ბოლშევიკებს 1921 წელს, რო-  
დესაც განუცხადა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს, რომ ინგლისს  
არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ საბჭოთა რუსეთმა გაანადღოს  
თავისი ინტერესები კავკასიაში, ე. ი. დაიპყროს იგი, რაც მალე  
შესრულებული იქმნა. და როდესაც წმინდა წყლის პაციფისტი  
ლოიდ ჯორჯი კავკასიის კარებს უღებდა მეორე დიდ პაციფისტს,  
სტალინს, „იმპერიალისტური“ იტალია ორმოცი ათას ჯარის კაცს  
გზავნიდა კავკასიაში, მისი საზღვრების დასაცავად, მაგრამ ეს ჩაშა-  
ლა უკვე თვით იტალიის პაციფისტმა ნიტტიმ; ასე რომ ჩვენ დიდ  
ბედნიერება არ გვიხილავს სიტყვიერად მუდმივი ზავის შეადგენელ-  
თავან და არც სხვას ვხედავთ მისგან გაბედნიერებულს.

იყო მძიმე დავა და ამიერიდან იგი ომად იქცა. იტალიის ჯარე-  
ბი უკვე შეიჭრენ აბისინიის საზღვრებში და მნიშვნელოვანი ადგი-  
ლები დაიკავეს. მეორეს მხრივ ერთა ლიგა ირაზმება და კოვენანტის  
დარღვევისათვის, იტალიას მძიმე ეკონომიური სანქციებით ემუქრე-  
ბა. ინგლისის ესკადრა ხმელთა შუა ზღვაშია თავმოყრილი და მსო-  
ფლიო მშვიდობიანობის მოციქული ერთა ლიგის წრეებიც გამოს-  
თქვამენ შიშს, რომ ეს სანქციები ერთ დღეს ბლოკადათ იქცევა და  
შემდეგ, შესაძლოა, ნამდვილ ომად. ამ რიგად, უენევის ორგანომ თვი-  
თონვე მოუახლოვა ევროპას შორეულ აფრიკაში დაწყებული კო-  
ლონიალური ომი და ხალხთა შორის უთანხმოებათა დაცხრომისა  
და ზავის განმტკიცების საქმეში ძრავალ სხვა წინანდელ თავის მარ-  
ცხებს ეს ახალიც შეჰმატა. ფრიად მოსალოდნელია, რომ ეს გარემო-  
ება საბედისწერო გახდეს თვით ამ იდეურად მაღალ, მაგრამ ხორ-  
ციელად მეტად დაავადებულ დაწესებულებისათვის. მსოფლიო ომით  
გამოწვეულმა შიშინობამ დაჰბადა ეს მსოფლიო მშვიდობიანობის






ყენევის ილიუზია, მაგრამ ამ ილიუზიამ ხორცი ვერ შეისხა და რეალობად ვერ იქცა ჩვიდმეტი წლის მანძილზე და, როგორც სჩანს, დრო დაგდა, რომ იგი ან გაჰქრეს და მოისპოს ან და რადიკალურად გარდაიქმნეს და გაჯანსაღდეს, უკეთუ კიდევ მოეპოვება ამის ნიადაგი და შესაძლებლობა ხალხთა ეხლანდელს ურთიერთობაში.

ერთა ლიგის ბუნება და შინაარსი საკმაოდ გამომჟღავნებულია. ყენევის კოვენანტის ლამაზ სამოსელში დაბუდებული იყო მდაბალი თვალთმაქცობა და ვიწრო ეგოიზმი. ასეთმა მისმა ბუნებამ მრავალი გულუბრყვილო იმედები დასთესა ხალხთა შორის და, ყველაზე მეტად, თავისუფლება აყრილ ერებში. ერთა ლიგა ბევრს ასეთი ერების დამცველად მიაჩნდა, მათი ეროვნული უფლებებისათვის მებრძოლ რაინდად. მაგრამ ასეთი ილიუზიები საბოლოოდ გაუფანტა ამ ერებს ერთა ლიგამ მრავალი სხვა თავის საქციელით და, ყველაზე მეტად, საქართველოსადმი უხილავის ცინიზმით მოქცევამ. ამიერიდან ყველასთვის ნათელი უნდა გახდეს, რომ ერთა ლიგა სრულიადაც არ ჰფიქრობს დაცვას იმ ერებისა, რომელნიც იბრძვიან უცხო ძალის ბატონობის წინააღმდეგ. მისი მორალი და პოლიტიკა ასე შორს არ მიდის. იგი იცავს იმ სახელმწიფოთა სუვერენობასა და საზღვრებს, რომელნიც ყენევის ორგანოში შედიან. ამით აიხსნება, რომ ერთა ლიგამ მრავალი დაპირება მისცა ქართველს ერს, მაგრამ ყოველივე ეს უკუაგდო, როდესაც საბჭოთა რუსეთი მის კარებს მიაღდა. ასევე არ დაიცავდა ლიგა აბისინიის ნეგუსის მიერ დაპყრობილ ერებს, უკეთუ ისინი მონობის უღლის გადაგდებას განიზრახავდნენ და შავს იმპერატორთან ომსა და ბრძოლას ასტეხდნენ. სამაგიეროდ ლიგა თავდადებით იცავს ნეგუსს, როდესც იტალია ამ დაპყრობილ ქვეყნების ჩამორთმევით ემუქრება. ასე რომ ლიგა დღეს შავს ნეგუსს იცავს, ხვალ მოსკოვის წითელ ნეგუსს დაიცავს, უკეთუ ის ასეთს მდგომარეობაში ჩავარდება.

ერთა ლიგა დღეს არ იწყნარებს, რომ ნეგუსის იმპერიის სუვერენიტეტი მცირედ იქნეს შეზღუდული და მაზედ კულტურულ იტალიის მანდატი დამყარდეს. მაგრამ ეს ლიგა სავსებით ხელს აწერს, რომ უარეს მდგომარეობაში დარჩენ მრავალი სხვა, აბისინელებზე გაცილებით უფრო კულტურული ერები. იგი იმასაც იწყნარებს, რომ ქართველები, სომხები, უკრაინელები და საბჭოთა რუსეთის ყველა სხვა ერები ვანიციდნენ უმძიმეს ეროვნულ ჩაგვრასა და მონობას. ერთა ლიგის ასეთს მორალს ამ ორგანოს დამცველნი, კაცობრიობის სინიდისს უწოდებენ და ეს უთუოდ დიდი დაცინვაა ამ კაცობრიობის სინიდისისა, უკეთუ იგი კიდევ არსებობს.





ესე გადაგვარდა ის იდეალები, რომლითაც აშენდა ენევეის ორგანო ამ ჩვიდმეტი წლის წინად და გასაგებია, რომ ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლი ერები ამიერიდან მაზედ დიდს იმედებს ვერ დაამყარებენ. უკანასკნელი საუკუნის მანძილზე მრავალმა ერმა აღიდგინა თავისი სახელმწიფოებრივი არსებობა. ერთა ლიგა რომ ასე წლის წინათ დაარსებულიყო და ეს ერები მისი შემყურე ყოფილიყვნენ, უთუოდ ვერც ერთი მათგანი ვერ მიალწვედა თავის მიზანს. ასე რომ სახელმწიფოებრივობას აყრილ ერთა ბრძოლა და საქმე ისევ იმ საფუძვლებზე რჩება, რომელიც დამყარდა მრავალ საუკუნეთა მანძილზე და ამ მხრივ არავითარი ახალი ნიადაგი და დასაყრდნობი არ შეუქმნიათ ერთა ლიგის კოვენანტს და მის შავსა და თეთრ ნეგუსებს.

დიდი გულთ მისნობა და სიბრძნე არ უნდა იმის შემჩნევას, რომ ხალხები, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის, იყოფიან ორ ნაწილად: ერთ მხარეს არაფერი არ სურს გარდა მუდმივი ზავისა, მშვიდობიანობისა და ნაციათა „სოლიდარობისა“, ყოველივე არსებული მდგომარეობის სამუდამო დატოვების ნიადაგზე. ხოლო არის მეორე მხარე, რომელიც ასევე ეტრფის ზავსა და მშვიდობიანობას, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ რაც მიალწვეს თავის მინიმალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ამ ორი ბანაკის მოთავსებას ცდილობდნენ ერთა ლიგის ჭერ ქვეშ, მაგრამ ეს ხანგრძლივ არ მოხერხდა. გერმანიის და იაპონიის ლიგიდან გასვლას, შესაძლოა იტალიის გასვლაც მოჰყვეს და, ამბობენ, კიდევ პოლონეთსა და უნგრეთზე. ერთა ლიგა შევიწროვდება და ერთნაირს მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოთა კავშირად გადაიქცევა, ან და კვლავ გაფართოვდება, ხოლო უთუოდ უფრო რეალურ კოვენანტის საფუძვლებზე. მაშინ უთუოდ წინასწარ იქნება მოგვარებული არა ერთი, არამედ მრავალი სადაო საკითხები და დაკმაყოფილებული იქნება არა მარტო იტალიის, არამედ გერმანიის, პოლონეთის და სხ. ინტერესები. მხოლოდ ასეთს ნიადაგზე დამყარდება ხალხთა შორის ცოტათ თუ ბევრად ხანგრძლივი დაზავება და მშვიდობიანობა.

ალ. ახათიანი



## მ ხ ე ღ რ ე ბ ს

ჩვენ დიდის ყურადღებით ვკითხულობთ „ქართველ მხედართა ორგანოს“ ნომრებს და გვახარებს მისი თანდათან გაუმჯობესება (მეტადრე № 13-დან, სადაც დაიბეჭდა ლენ. ჩხეიძეს „სამხედრო სკოლა“), გვწყინდა — შეცდომები. ქართველ „იუნკრებს“, — ეხლა უკვე განათლებულ ოფიცრებს, რომელთაც ერის ღირსეული ნდობა და სიმპატია დაიმსახურეს, ჩვენ პირად მეგობრებათა ვთვლით მაგრამ, ბერძნებისა არ იყოს: — „მე ძალიან მიყვარს პლატონი, მაგრამ უფრო მეტად ჭეშმარიტება“-ო, სიმართლე არ შეიძლება შეეწიროს მეგობრობას, სიმპატიებს ან სხვა რაიმე მოსაზრებას. მეცნიერება და ნამეტნავად სამხედრო, ხათრს და ფანტაზიებს ვერ დაეყრდნობა: ხიფათია არა პერსონალური ან პუბლიცისტური, არამედ ეროვნული. ამიტომ, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, ზოგიერთი არსებითი შენიშვნები გამოვსთქვათ.

ემიგრანტულ პრესაში ჟურნალი „მხედარი“ ირჩევა დარბაისლური კილოთი, უშინაარსო პოლემიკისა და ღვარძლიანობის განდევნით, საკითხების კეთილსინდისიერი დასმით და გაშუქებით, ემიგრაციისათვის სათანადო სამხედრო ცნობათა მიწოდებით და სხ. საწყენი იყო, რომ პოლიტიკური და ჯგუფური კინკლაობის ანარეკლები ხანდახან იქაც გამოკრთებოდა; ახალგაზრდულ გულწრფელობას, ძველი თაობის ხინჯიც ერეოდა და ობიექტივობა იზრდილებოდა. მაგრამ, ვიდრე ამ წერილის მთავარ საგანზედ გადავიდოდე, ხაზგასმით მინდა დავიწყო იქიდან, რომ მეოცე საუკუნეში და ევროპაში ისეთი ორთოგრაფიული, კორექტორული, სტილისტური და ქართული ენის ყოველგვარი კანონების შემბლაღავი შეცდომებით ბეჭდვა ჟურნალისა — დაუშვებელი ბარბაროსობა და ველურობაა. ამ ჟურნალს ყოველად მიუღებელი შეცდომები თავიდანვე ისე მრავლად დაჰყვა, რომ ხშირად აზრიც ძნელად გასაგები, ან მთლად ბუნდოვანი ხდებოდა. ზოგი სწერს პოლონურად, ზოგი რუსულად, ზოგი ფრანგულად და თითქმის არც ერთი—ქართულად. ადამიანმა რომ ტექსტი შეასწოროს, შეცდომები უფრო მეტი გამოდის, ვიდრე სწორე ადგილები. თუ დანარჩენ ემიგრანტულ პრესას, ქართულის ასევე გადამგვარებელს, გასამართლებელი (?) საბუთი აქვს უმწეობასა და ეფემერობაში, „მხედარს“ ესეც არ ეპატიება, როგორც აკადემიურობისა და სერიოზულობის მაძიებელს.

მაგრამ მთავარი მაინც სხვაგანაა. რასაკვირველია, სასიამოვნოა, როცა ქართველი მხედრები, ემიგრაციაში მაინც ეცნობიან და




ისიც პოეზიისა და ანექდოტების საშუალებით — **ქართულ** (და **კავკასიის**) ისტორიას და მის **სამხედრო** ნაწილს (იხილე „თორნიკე ერისთავი“ — „მხედარში“, „საქართველოს გუშაგში“ და „კავკაზში“; „რჩევა ომისა“ და შამილის ამბები — იმავე ჟურნალებში), მაგრამ ცნობილია, რომ **სამხედრო ხელოვნება** თუ წინად აღლოსა და პრაქტიკულ ცნობებს ემყარებოდა, ეხლა მჭიდროდ დაკავშირებულია — **სამხედრო მეცნიერებასთან**. საერთოდაც ხელოვნება უსწრებს მეცნიერებას რამდენიმე საუკუნით და აქედან წარმოიდგენთ, თუ რამდენად... ჩამორჩენილები ვყოფილვართ. ცნობილია ისიც, რომ ქართული, ე. წ. „ისტორიული პოემები“, — **უახლოვდება** ისტორიას („არჩილიანი“, „თეიმურაზიანი“, „დიდმოურავიანი“, „დავით-გურამი-იანი“ და სხ. და სხ.), მაგრამ ჯერ არსადაა გამორკვეული, თუ რამდენად უახლოვდება. აკაკის „თორნიკე ერისთავი“, ხომ pure fantaisie არის და მისი გარჩევა სამხედრო თვალსაზრისით — აღტაცებასა ჰგავს; ამიტომ სიტყვას აღარ გავავარძლებ. სულ სხვაა „რჩევა ომისა“. შ. ამირეჯიბი სწორედ აღნიშნავს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არჩილი იყო არა მარტო პოეტი (როგორც აკაკი), არამედ მეფეც და, მაშასადამე, სამხედრო საქმე კარგად ეცოდინებოდა, როგორც ქართველი მეფეების დიდ უმრავლესობას. ვარდა ამისა, „მარაბდის ომზედ“, რომელსაც წინ უსწრობდა ზემოაღნიშნული „რჩევა ომისა“, — არსებობს სხვა პოეტური („დიდ მოურავიანი“) და ისტორიული წყაროები („ქართლის ცხოვრება“; ე. წ. — „პარიზის ქრონიკა“ და ბევრი სხვა) და უფრო ზედმიწევნით შეიძლება სათი (რჩევისა და ომისა) შესწავლა და გარჩევაც.

მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ა) „თეიმურაზიანი“ ისეთივე შეუსწავლელი ისტორიული პოემაა მხოლოდ, როგორც სხვები; რომ ბ) მისი ადგილების ზოგიერთი „თარგმნა“ ბ-ნ ამირეჯიბისაგან — თავისუფალია; რომ გ) იგი განმარტებულიც არის მისი საკუთარი მოსაზრებით, რაც \*) მეტად ართულებს ფაქტების და გარემოებათა წარმოდგენას იმ სისწორით, როგორც ისინი ლაგდებოდნენ ისტორიულ სინამდგლეში და, თუ ამ შეცდომათა გრაგნილს დაუმატებთ ამ „რჩევა ომისა“ გარჩევას ჩვენი მხედრებისაგან — ისტორიული ამბების შეუმოწმებლად, რომლის მოტანა ბ-ნ შალვასაც დავიწყებია (?), — დავგრჩება ფანტასტიური ამბების ფანტასტიური გარჩევა, სასკოლო ვარჯიშობისათვის ეგებ გამოსადეგიც, მაგრამ სამხედრო მნიშვნელობას მოკლებული. მერმე რისთვისაა საჭირო ასეთი საოცნებო პაექრობა, როცა ათასობით

\*) ა, ბ, გ.





არის და სრულიად საკმაოც — **ნამდვილი ისტორიული სამხედრო** ამბები ქართულ ისტორიაში, თუ კი ვინმე იკისრებს და შესძლებს მის გარჩევას, ქართული სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების მომავლისათვის გამოსაყენებლად? განა უხსოვარ დროიდან მოყოლებით, დავით კურაპალატისა და თორნიკე ერისთავისა, დავით აღმაშენებლისა' და თამარის, გიორგი სააკაძისა, ირაკლი მეორისა და სხვათა და სხვათა რეალურად ნაწარმოები ომები, გაცილებით მეტ მასალას არ იძლევიან შესწავლისა და გარჩევისათვის, ვიდრე პოეტური ზღაპრები? ან რომთან, ბიზანტიასთან, არაბებთან, ოსმალებთან, სპარსელებთან, მონღოლებთან და სხვებთან ბრძოლები არ ჰმეტებენ ნაპოლეონების, ჰანიბალების, ცეზარების და სხვათა საინტერესო ამბებს, შესწავლის გამოსადეგობით **ჩვენი** მომავალი ისტორიის წარსამართავად?

ამ საინტერესო საკითხავებზედ შეიძლებოდა ყურადღება არ შეგვეჩერებინა, რომ ჟურ. „მხედარს“, — რომელიცა სცდილობს მეტად პატივსადები და პასუხისმგებელი ამოცანა იტვიროს, სახელოდ, **ქართული სამხედრო დოქტრინის შემუშავება**, — არ გადაება (ზოგიერთი ავტორის პირით) პოეზია და ფანტაზია, ჩვენი დროის ნამდვილ ამბებთან. უბრალო თანამიმდევრობის ლოლიკით კი შეიძლება წარსული პოეზიის გადაბმა მხოლოდ პოეზიასთანავე და მხოლოდ რეალური ისტორიული (სამხედრო) ამბებისა, — ჩვენი დროის და მომავალ ისევ ამბებთან, თუ არ გვინდა სინამდვილეზედ თვალის დახუჭვა, ან საკუთარის ან სხვისა.

მართლაც, ჯერ ერთი „მარაბდის ომი“ სინამდვილეში სულ სხვანაირად მოხდა, ვიდრე იგი წარმოდგენილია „მხედრის“ ფურცლებზედ, ამიტომ მისი გარჩევა - შეფასებაც მცდარია და, მეორეც, არავითარი შესადარებელი მხარე არა აქვს ჩვენს, 1921 წლის ომთან (თუმცა სწარმოებდა დაახლოვებით იმავე არეში და იმავე მიზნებით, როგორც მტრისა, ისევე ჩვენგან) და ამ ორი ომის ერთად მოხსენება ვერაფერი პედაგოგიური საშუალებაა ახალგაზრდა მხედართათვის... თუ არა დაპირისპირებით.

მოკლედ სინამდვილეში ასე იყო: ყორჩიბაში დიდძალი სპარსელთა ჯარით **გამაგრებულ ბანაკად** იდგა მარაბდის ველზედ, რადგან, იმის და მიუხედავად, რომ სამჯერ მეტი ჯარი ჰყავდა ქართველებზედ, — ვერა ბედავდა თბილისზედ გალაშქრებას და **უცდიდა** მაშველ ჯარების შემოერთებას, საერთო შეტევისათვის. აღნიშნულ „რჩევის“ შემდეგ, საცა, საუბედუროდ, უდიდესი და უნიჭიერესი გამოცდილი სარდლის — გიორგი სააკაძის — **სტრატეგიულმა** მო-




საზრებამ ვერ გასჭრა და გადაწყდა „შებმა“, თვით ეს „შებმა“ — თამაშდა **მაინც** გიორგი სააკაძის **ტაქტიკური** გეგმით: მოულოდნელად, გაუთენებლივ მიატანინა „ყალბი იერიში“ ჯერ ქვევითა ჯარის ნაწილს (დიდი ყიჟინით და ხმაურობით) და შეტაკების დროს, წინასწარ განზრახვით, **დაახევენა** ამ ნაწილს. ამით **გამოიტყუა** სპარსელნი გამაგრებული (თხრილებით, ურმებით, ზარბაზნებით და სხ.) ბანაკიდან და მხოლოდ მაშინ დაჰკრა მთავარი ძალებით: შუბლში — დანარჩენი ქვეითით და ფრთებიდან — ცხენოსანი ჯარით. სპარსელთა ჯარი ისე შედრკა და აირია, რომ ყორჩიბაშმა ველარაფრით მოახერხა მისი დალაგება და ეს პირველი **ბრძოლა** (და არა **შეტაკება**, როგორცა ფიქრობს ბ-ნი შალვა და მხედრები), უფრო სპარსელების უღეტას დაემსგავსა, ვიდრე ჩვეულებრივ ხელმართულს.

სპარსელები საშინლად დამარცხდნენ **საბოლოოდ** და მდევარმა ზოგი მტკვრისაკენ მიაჰყლიტა, ზოგი გაჰფანტა; დიდძალი ტყვე წამოიყვანეს, მთელი ბანაკი ხელთ იგდეს და ათასობით დაჭრილ-დახოცილით აივსო ველი და მინდორი. ეს ბრძოლა იყო **სრული განადგურება**, ნამდვილი სამხედრო თვალსაზრისით. მაგრამ ამის შემდეგ რა მოხდა? **ბრძოლაში** გამარჯვებულ ქართველობას ეგონა, რომ ამით გათავდა **ომიც**. და მხოლოდ **აღლოთი** მიმხედარი სააკაძის — („სულ ერანს გამოგზავნიდა, იქ არ დამქერი ხანისა“-ო), რომელსაც აგრეთვე ნამდვილი ცნობები არა ჰქონდა, — გაფრთხილება, დანარჩენი სარდლებისა და ჯარისათვის საკმაო არ აღმოჩნდა და ქართველობა სპარსელთ ბანაკს ალაფობდა, ტყვეებს აგროვებდა, ისვენებდა, „იარაღს ჰფერავდა“-ო, როცა **საღამოთი**, ე. ი. პირველი ბრძოლის სრული გათავების რამოდენიმე საათის შემდეგ, მოულოდნელად თავს დაესხა სრულიად **ახალი** ცხენოსანი ჯარი, ერევნის ბეგლარბეგისა, რომელმაც ვერ ჩამოუსწრო ბრძოლას. გაიმართა **მეორე ბრძოლა** (და არა პირველი შეტაკების გამგრძელებელი მეორე შეტაკება), რომელიც თავისი სისასტიკით აგრეთვე უფრო უღეტას დაემსგავსა, რადგან ქართველობა უკვე „დანდობილა“ იყო, ომი გათავებულად მიაჩნდა და სამხედრო წყობა სრულიად დარღვეული ჰქონდა. მხოლოდ ღამემ გადაარჩინა სრულ განადგურებას. ამ **ორივე** ბრძოლაში დაიხოცა სპარსელი 14 - 18.000 (სხვა და სხვა წყაროებით) და ქართველი 9 - 10.000. მაგრამ უმრავლესობა სპარსელებისა ამოწყდა — პირველ ბრძოლაში და ქართველებისა კი — მეორეში.

აი ამ ორი ბრძოლის სურათის სინათლეზედ — „რჩევაც“ სხვა





ელფერს იღებს და „მრჩეველთა“ აზრებიც და, ალბად, გამრჩევი მხედრებისაც სხვანაირი იქნებოდა.

ამიტომ, ჩვენი აზრით, „მხედარი“ და მხედარნი გაცილებით მეტ მასალას და **მიზანშეწონილ** სამხედრო ცნობებს შესძენენ საზოგადოებას, თუ რეალურ ქართულ ისტორიულ სამხედრო ამბებს გაარჩევენ\*).

მით უფრო, რომ მხოლოდ ამ **ისტორიული** ამბების გარჩევით, თანამედროვე **მეცნიერებასთან**, ტექნიკასთან და ბრძოლის მეთოდებთან შეფარდებით და ისტორიული **სულიერების** გათვალისწინებით შეიძლება, არა მარტო **შეთვისება** ქართული სამხედრო უნარიანობისა, არამედ ქართული **სამხედრო დოქტრინის** შემუშავებაც მომავალსათვის; რაშიაც სრული ჩვენი თანაგრძნობა უნდა ჰქონდეს „მხედრის“ წადილს. ეს, მით უფრო სავალდებულოა ახალი თაობისათვის, რომ ჩვენი დროის (დამოუკიდებლობის) პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა არა მარტო სრულიად გადაუდგა **ისტორიულ** მეთოდებს (ამას თავისი გასამართლებელი (?) მიზეზები ჰქონდა: უცოდინარობა, რუსეთის სკოლა და სხ. და სხ.), არამედ **ეხლაცა** სცდილობს გაამართლოს ეს მცდარი ვითარება. და რამდენადაც თეორიულად, ცოტად თუ ბევრად, სწორე აზრებს გამოსთქვამს, იმდენად კონკრეტულად მომხდარ ამბებს შემცდარ მოსაზრებათა რიგით — ამართლებს. იმის მაგიერ, რომ ჩვენი შეცდომები ვალიაროთ და მიზეზები საბოლოო დამარცხებისა გამოვიკვლიოთ, ჩვენა ვცდილობთ საზოგადო მხედრულ დებულებათა და თეორიების ბუნდოვანობაში გავხვიოთ.

აი მაგალითებიც. ყოფილი მთავარსარდალი, მაგ., გამოსთქვამს სრულიად ჭეშმარიტ სამხედრო (და პოლიტიკურსაც, რ. გ.) საზოგადო აზრს, რომ „მართალნი ისინი არიან, ვინც საბოლოო **გამარჯვებამდე** მიიყვანს საქმეს“, მაგრამ კონკრეტულ საკითხში — 1921 წ. ომში — მართალნი გამოდიან ისინი, ვინც საბოლოო **დამარცხებამდე** მიიყვანა საქმე: თქვენაო, — სწერს, ბ-ნი კვინიტაძე იუნკრებს — „მიიღეთ მონაწილეობა იმ ომში\*\*), რომელიც ჩვენი შვილების და შვილთა - შვილებისთვის დარჩება სიამაყედ. არიან ისეთი პირები, რომელნიც სძრახავენ ტფილისის ბრძოლას. მათ არ გაეგებათ,

\*) მაგ. ნა - შვილის ცდები „მხედრის“ პირველ ნომრებში. რაც შეეხება მის უკანასკნელ წერილს № 18-ში — ამ ფართო საკამათო საგანზე — შემდეგ.

\*\*\*) ხაზი ჩემია. რ. გ.








რომ ისინი ამით თავის - თავს ლაფს ასხამენ, თავის - თავს ლანძღვენ; ეს არ გახლავს ქართველთა ჩვეულება, — ეს არის რუსებისაგან შეთვისებული“-ო („მხედარი“ № 17). დევანებით თავი ამ აბზაცის ორთოგრაფიას და ქართულობას და გაცხინჯოთ აზრი, **მისივე** „საბოლოო გამარჯვების“ დებულებასთან შედარებით. 1921 წელს ჩვენ საბოლოოდ დავმარცხდით და როგორ უნდა იყოს ეს სამარცხვინო **ომი** შვილიშვილებისათვის საამაყო, სრულებით გაუგებარია. სულ სხვაა ტაბახმელის **ბრძოლები** თბილისთან, რომელიც საამაყო იქნება. მაგრამ კარგმა მხედარმა უნდა გააჩიოს ბრძოლა ომისაგან და ერთმანეთს არ ამოაფაროს. და არც არიან ისეთი პირები, რომელნიც „სძრახავენ თბილისის ბრძოლას“; — სძრახავენ თბილისის **დატოვებას** 24 თებერვალს უბრძოლველად და არა წინადღეების ბრძოლებს... განსხვავება ისეთია, როგორც ლაფისა და თავლის, ან ლანძღვისა და ქების შორის. ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარაბდის ომში დაიხოცა რამდენიმე სარდალი და ნახევარი ქართველი ჯარისა, მაშინ როდესაც 1921 წ. თბილისთან ბრძოლაში — არც ერთი სარდალი და მხოლოდ ასიოდე ჯარისკაცი «Дистанция огромного размера!» 1624 წელს სპარსელების ჯარი აღემატებოდა 60.000-ს; 1921 წ. რუსის ჯარი ძლივს აღწევდა — 16.000-ს.

სპარსელები მაშველებით ოთხჯერ მიანც მეტნი იყვნენ ქართველებზე; რუსები კი ერთ ნახევარს პროპორციას ძლივს აღწევდნენ 1921 წ. და სხ.

არა სპეციალურ ჟურნალში შორს წაგვიყვანდა მრავალი ამისთანა შეუსაბამობის აღნიშვნა (და ისეთ სპეციალურში კი, როგორიც „მხედარია“ ჩვენ ვინ გვალაპარაკებს), მაგრამ არ შეიძლება უპასუხოდ დარჩეს მეორე საზოგადო მოსაზრებაც ბ-ნ მთავარსარდლისა **დედა - ქალაქის მნიშვნელობაზე**, რომელიც იმავე 1921 წ. **საბოლოო დამარცხების გამართლებას** ემსახურება. ბევრ საინტერესო ცნობასთან ერთად, სამხედრო ამბებსა და მეთოდებზე საუკუნოების განმავლობაში, ბ-ნი კვინიტაძე გამოსთქვამს საზოგადო დებულებასაც, რომ „სახელმწიფოს დაცვა დედა - ქალაქის დაცვით არ გამოიხატება“ და ამას წაუძმდვარებს ქართველ მეფეების, ჟურ. „მხედრის“ და სხვათა მოსაზრებათ და აგრეთვე თავის შედარებას — მოსკოვთან და პეტერბურგთან, ლონდონთან და პარიზთან, ბუქარესტთან და სხ., რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ, არც უროით, არც გარემოებით, არც ისტორიით, არც მნიშვნელობით და არც სხვა რითიმე, არც თბილისთან და არც 1921 წლის გარემოებათა ჯამთან და, მაშასადამე, თბილის დედა - ქალაქის დატოვებასთან. რუსული სამხედრო დოქტრინისათვის შეიძლება სრულიად





ბუნებრივიც იყოს ათას კილომეტრებით უკან დახევა და მოსკოვის დატოვებაც, რადგან რუსეთს კიდევ რჩება ათასი კილომეტრი და მილიონობით ხალხი (სხვა მრავალ ელემენტებს რომ ჯერჯერობით თავი დავანებოთ) და საქართველოს პატარა ფარგალს დასახევ ტერიტორიად მართო **სხვის** გემები აღმოჩნდა 1921 წ. მაშასადამე სრული სამხედრო და პოლიტიკური განადგურება და დედა - ქალაქის „უფრო ადვილად გადატანა სადმე საქართველოს შუა გულში“, ვიდრე საზღვრების გაფართოვებაზე ზრუნვა — რაც უცნაური სამხედრო **non sens-**ი იქნებოდა. არც პარიზი დაუტოვებიათ როდისმე ფრანგებს და არც მტრებს როდისმე იგი აუღლიათ — **უბრძოლველად**. არც ბუქარესტის მაგალითია მოსატანი ჩვენთან, რადგან ბუქარესტი აიღეს გერმანელებმა და ავსტრიელებმა (რომელთაც საფრანგეთის, ინგლისის და რუსეთის იმპერიებიც შეარყიეს თვისი ძლიერებით) და თბილისი აიღეს უნიფხო ბოლშევიკებმა. ლონდონთან შედარება ხომ სულ სასაცილოა: ინგლისის სწორედ კუნძულზედ მდებარეობამ შეჰქმნა განსაკუთრებული მსოფლიო მისი პოლიტიკა და ხმელეთით მისადგომი რომ ჰქონოდა საუკუნოების განმავლობაში, იქნება ისიც თბილისისავე 37-ჯერ აეღოთ? და ყველა ასეთი შედარებანი დედა - ქალაქებისა მხოლოდ საკითხის დასაჩრდილავად თუ გამოდგება, თორემ „სად ახმეტა სად წილკანო, სად თხა სძოვდა, სად ციკანო“, რომ იტყვიან — ისე უდგება **სხვათა** დედა - ქალაქების მოსარგები ამაბავი — ჩვენს დედა - ქალაქს.

1921 წ. თბილისის დატოვების შემდეგმა გარემოებით აშკარა გახადეს, რომ ის არ იყო უბრალო „გეოგრაფიული“ პუნქტი, არამედ სული, გული, და თავი საქართველოსი; ამიტომ ჩვენი წინაპრებისა იყო და ჩვენი უნდა იყოს, — მხოლოდ აქტიური ბრძოლის დოქტრინა და თეორიებით თავს ვერ ვიმართლებთ, რომ „სატახტო ქალაქი — გეოგრაფიული პუნქტია“ („მხედარი“, № 14-15, მა - შვილი), ან რომ ომი დედა - ქალაქის აღებით არ თავდება („მხედარი“, № 18 — კვინიტაძე) და სხ. ისტორიულმა **ფაქტებმა** იმ ხანად (1921 წ.), იმ გარემოებაში (24 თებერვალი) და თბილისის იმ დროის მნიშვნელობის აწონვით (ფსიხოლოგიურად, საწყობებით, საომარი **საერთო** მომზადებით და სხ.) — დაამტკიცა, რომ დედა - ქალაქის დატოვება იყო მომაკვდინებელი სამხედრო შეცდომა: ვეღარც ვიომეთ, ვეღარც სადმე ფეხი მოვიკიდეთ, საკუთარი ტერიტორია დავტოვეთ, მთავრობა და სარდლობა **სხვის** გემებზედ გადასხდა და ჯარის ნარჩენები — **მტრის** განკარგულებაში გადავიდა. ე. ი. სრული სამხედრო და პოლიტიკური განადგუ-



რება მოხდა და თეორიები და შედარებანი — სულ ზედმეტად გახდა. და თუ ადამიანური თვალსაზრისით მართალნი ჩვენ ვიყავით და ვართ, ე. ი. ქართველობა, — მხედრული და პოლიტიკური თვალსაზრისით — „მართლნი მარტო ისინი არიან, ვინც **საბოლოო** გამარჯვებას მიაღწევს“ და არა ვინც მარტო ტაბახმელას მართლაცა და საამაყო ბრძოლებს კონდუიტში ჩაიწერს. სამხედრო მეცნიერების სასტიკი განაჩენი ერის ბედისათვის ამაში იყო, არის და იქნება მუდამ. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ ახალგაზრდა მხედრებს, იზრუნონ საქართველოს სამხედრო აქტიური დოქტრინის შემუშავებაზე და არა ეძებონ უიმედო გამართლება ჩვენი პასიური და მომაკვდინებელი დამარცხებისა. პოლიტიკანობა და კვებნა, ერთია, მოვალეობის შესრულება და შეგნება მეორე... თქვენ ღირსეულად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და არ უნდა გაახუნოთ იგი იაფ-ფასიანი კვებნით ან ვისიმე თავზე ხელის მოსმით, არამედ განამტკიცოთ დარბაისრული შეგნებით და ვიწრო **ჯგუფური** რკალიდან გადახედეთ უფრო ფართე **სამხედრო** ფარგალზედ, რასაც მეტი ობიექტიური მნიშვნელობა ექნება და მეცნიერული სარგებლობაც სამშობლოსათვის.


რ. გაბაშვილი.

## მოსკოვის და კომინტერნის ახალი გზები

კომინტერნის მეშვიდე კონგრესი არც კი იყო დასრულებული, რომ ჩრდილო ამერიკამ საბჭოთა რუსეთს ფრიად მკაცრი პროტესტი გამოუცხადა. ამერიკამ მოაგონა საბჭოთა რუსეთს ხელშეკრულობის სათანადო მუხლები და, უდავოა, ნათელ ჰყო კომინტერნის საქმის და სტატუტის სიტყვის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება და შეუთავსებლობა. მხოლოდ გაუგებარია, თუ რად შეიწუხა თავი ამერიკამ ასეთი პროტესტით?

ევროპის სახელმწიფოები კარგა ხანია შეურიგდნენ კომინტერნის მოღვაწეობას, თუმცა ეს მოღვაწეობა მუდამ სხვა იყო, ვიდრე მოსკოვთან დადებული პირობები. ისინი კიდევ მეტსაც შეურიგდნენ — თვით მოსკოვის მოქმედებათა წინააღმდეგობას მის აღთქმა დაპირებებთან. ასეთს ამბებს უკვე თვრამეტი წლის ისტორია აქვს და ამის შემდეგ ამერიკა მოსკოვს პროტესტს უცხადებს — რათ იქცევა ამ წელსაც ისე, როგორც მუდამ წინათაო!





ამავე დროს ისიც გამოაშკარავდა, რომ კიდევ ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებსაც უცნობებიათ მოსკოვისათვის თავისი უკმაყოფილება. ზოგიერთ მთავრობათა წევრების განცხადებანი და მმართველ წრეთა გამოცემებიც ამას საკმაოდ ადასტურებს.

ამავე დროს იმავე წრეებისა და მათი პრესის დაფასებით, კომინტერნის მეშვიდე ყრილობის დადგენილებანი გაცილებით უფრო ზომიერი იყო, ვიდრე ყველა სხვა წინანდელი. აქ არ იყო ახდელი მოწოდება ჯარებისადმი, — იარაღი თავის მთავრობის წინააღმდეგ მიემართათ და პროლეტარიატისადმი კიდევ, რომ ყოველგან და ყოველთვის საბოტაჟი და გაფიცვა ეწარმოებინათ და კაპიტალისტები მათსავე სისხლში ჩაეღწოთ. კიდევ მეტი — თითქოს უფრო რადიკალური დაცვა აქ ზავისა და მშვიდობიანობისა. ბრძოლა, რასაკვირველია, კაპიტალისტურ და იმპერიალისტურ სისტემებთან, მაგრამ სულ სხვა გზით — ყველა სოციალისტურ წრებთან, და თვით წვრილ ბურჟუაზიულ, დემოკრატიულ ძალებთან შეთანხმებითა და დაკავშირებით.

მართალია, კომინტერნი ახდელ ბრძოლას უცხადებს ფაშიზმს. მაგრამ ამას ხომ კომუნისტების გარდა სხვა მიმართულებანიც აწარმოებენ — სოციალისტური და თვით ბურჟუაზიული, თვით სხვა და სხვა სახელმწიფოს მმართველი პარტიები და მთავრობის წევრებიც.

მაშასადამე, კომინტერმა დასტოვა თავისი ძველი გეზი — ყველა სოციალისტურ და არა სოციალისტურ ძალებთან შეუთრეგბელი ბრძოლისა და მათ მეგობრული ხელი გაუწოდა. ჩვენის აზრით, სწორედ ეს გარემოება იმის მიზეზი, რომ კომინტერნის მეშვიდე ყრილობის დადგენილებებმა ასეთი უკმაყოფილება გამოიწვია ევროპისა და ამერიკის ზომიერ წრეებში.

მოსკოვის ძველი, ყველასადმი შეუთრეგბელი და უკიდურესი გეზი უკვე სავსებით ამოწურული იყო და დამარცხებული. ევროპის და ამერიკის კომუნისტებმა ვერ შესძლეს საკუთარი ძალით ვერც მსოფლიო რევოლიუციის მოწყობა და ვერც რომელიმე სახელმწიფო წყობილების დამხობა. ამის შემდეგ ისინი ფრონტს იცვლიან და ახალი გეგმით გამოდიან და ეს გეგმა უთუოდ უფრო რეალური და საშიშია თანამედროვე მსოფლიოში დამყარებული პირობების მიხედვით. პოლიტიკურ სექტებს და თვით მუშათა კლასს არსად არ მოუხდენია რევოლიუციები. ყოველგან და თვით რუსეთში, ის ბურჟუაზიული წრეების მიერ მომხდარა. ის ამ ხანადაც არ არის შეუძლებელი, თუ რომელიმე ძალა შესძლებს და ამ



წრების მნიშვნელოვან ნაწილს რევოლუციურ ფსიხოზს შეუქმნის და რევოლუციურ გეზს მისცემს. კომინტერნის ახალი გეზიც სწორედ ასეთია. რევოლუციური მეთოდები მას კარგათ აქვს დამუშავებული და მთელს მსოფლიოში დამყარებულ ეკონომიურ და მორალურ დებრესიასთან შეგუებული ლოზუნგებიც გამოიხატა — ზავი, მშვიდობიანობა, განუსაზღვრელი თავისუფლება და უფლებები და ბრძოლა ფაშიზმთან, რომელიც ამას ემუქრება.

ასეთს ლოზუნგებს უთუთოთ ამერიკის პრეზიდენტიც მოაწერდა ხელს, უკეთეს ეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ბუნება უფრო გარკვეული იყოს. კომინტერნის მიერ ომის გ. მოცხადება რომ მართო ფაშისტურ ქვეყნებს ეხებოდეს, სხვები ამისთვის თავს არ აიტკივებდნენ. მაგრამ კომინტერნი მოითხოვს, რომ ასეთი ბრძოლა ყველგან სწარმოებდეს, როგორც ფაშისტურ ქვეყნებში, ისე იქაც, სადაც ეს ფაშიზმი არა მძლავრობს. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ როგორი იქნება ეს კომინტერნის ნაკარნახევი ანტიფაშისტური მოძრაობა ასეთს ქვეყნებში. ამის საუკეთესო მაგალითს საფრანგეთი იძლევა. აქ უკვე დამყარებულია საერთო ფრონტი იმ სახით, როგორც ამას კომინტერნი მოითხოვს. ამ საერთო ფრონტში თავმოყრილია კომუნისტები სავსებით და სოციალისტებისა და რადიკალ - სოციალისტების ის ნაწილი, რომელიც კომუნისტებთან შეთანხმებულ მუშაობას ემხრობა. ყველა სხვა ძალები, სოციალისტური და არა სოციალისტური, ფაშისტურ რეაქციად არიან გამოცხადებულნი. ასე რომ, როდესაც ასეთი ფრონტი შეიქმნება, ვთქვათ, ამერიკაში, ფაშისტურ რეაქციად ვახდება რუსველტი და მისი, ყველაზე უფრო მემარცხენე ბურჟუაზიული პარტიის უდიდესი ნაწილი, ვინაიდან ძალა - უფლება მათ ხელშია და კომუნისტებიც მათ ებრძვიან. მთელს მსოფლიოში დამყარებულ აღრევის დროს არ არის შეუძლებელი, რომ ასეთმა მუშაობამ ბევრგან მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღოს. ხალხის სულიერი განწყობილება უმთავრესი ფაქტორი იყო ყველა რევოლუციების და ეს ხალხის სულიერი განწყობილება ამ უკმაოდ ბევრგან მეტად არეული, მშფოთვარე, და ამის გამო ადვილად ცვალებადია.

1917 წლის თებერვალში საკმარისი იყო ცნობის მიღება, რომ რუსეთის მეფე გადადგა ტახტიდან, რომ რესპუბლიკანელი გამხდარიყო 130 მილიონიანი რუსეთი, რომლის 90% ამ წუთამდე მეფეზედ ლოცულობდა.

გასაგებია, რომ ასეთს პირობებში ბევრმა ინსტიტუტურად იგრძნო საშიშროება კომინტერნის ისეთი გეგმისა, რომელსაც რევოლუციური ცეცხლი შეაქვს მრავალმხრივ აღრეულ ხალხთა



ფართე მასებში. შესაძლოა ამ გზითაც არ მოხერხდეს დიდი რევოლუციებისა და კატაკლიზმების მოწყობა, მაგრამ ის კია შესაძლებელი, რომ კარგა ხნობით მრავალი ქვეყნები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ და ამით თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება პარალიზაციაში ჩააგდონ.

მეორეს მხრივ, ფართე მასების ამხედრება ფაშისტების წინააღმდეგ უთუოდ სასარგებლოდ არ მიაჩნია რეალისტურად მოაზროვნე ბევრს ისეთს წრეებსაც, რომელნიც ფაშიზმს სავსებით არ იზიარებენ. ამათთვის ფაშისტური სისტემა თუ სხვა რომელიმე პოლიტიკური წყობა არ არის საკითხი დოგმისა, არამედ კონკრეტული სინამდვილისა.

ცხოვრების მსვლელობის სრული დაშორება იქნებოდა თუ თანამედროვე პოლიტიკის მეთაურნი დაჟინებით შეეცდებოდნენ უცვლელად დატოვებას იმ პოლიტიკური წყობილებისა, რომელიც მსოფლიო ომამდე არსებობდა, როდესაც უდიდესი გარდატეხები მოხდა მის შემდეგ ხალხთა ცხოვრების ყოველ სფეროში. ამის გამო მრავალი ძველი ლიბერალური მიმდინარეობის მებაირალტრენი თავისავე ხელით ამყარებენ თავის ქვეყნებში ფაშისტური მიმართულების უმთავრეს საფუძვლებს ეკონომიურსა და პოლიტიკურს სფეროში და გასაგებია ამ გზაზე სვლას ხელს არ შეუწყობს ფაშიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის გამოცხადება.

არა ნაკლებ საყურადღებოა ამ საკითხის სხვა მხარეც, როგორი შედეგი ექნება კომინტერნის ასეთს ახალ გეზს თვით კომინტერნის სამშობლოში, საბჭოთა რუსეთის ფარგლებში? საყოველთაო ლოლიკის მიხედვით ასეთი კითხვის დასმა სრულიად უადგილოთ უნდა იქმნეს მიჩნეული. კომინტერნის მეთაურები იგივე საბჭოთა რუსეთის მეთაურები არიან. მთელი ძალა - უფლება მათს ხელშია და თავის ქვეყანაში ამ გეგმის დაუყონებლივ განაღდებას მათ ვერაფერს დაუშლის, ვერც მსოფლიო ფაშიზმი და ვერც სხვა ვინმე. მაშასადამე, ამ გეგმას მოსკოვი ჯერ თვითონ განაღდებას და ამით სხვებსაც მაგალითს მისცემს. ასე უნდა იყოს საყოველთაოდ მიღებული ლოლიკის მიხედვით, მაგრამ მოსკოვის მეთაურებს თავისი საკუთარი ლოლიკა აქვთ, რომლის მეოხებით სავსებით საწინააღმდეგო ხდება. მოსკოვის ეს გეგმა ყველგან რომ განაღდდეს, მოსკოვი მას მაშინაც არ განაღდებას და მით უფრო ნაკლებად განაღდებას, რამდენადაც ის სხვაგან განხორციელდება.

მართალია, ჯერ კიდევ შარშან, საბჭოების ყრილობაზე მიღებულ იქმნა ამავე მიმართულებით ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილებანი. საბჭოთა რუსეთში თითქმის დემოკრატიული წყობილება




უნდა დამყარებულიყო. სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები უნდა არჩეულიყო მთელი ხალხის მიერ საიდუმლო და საყოველთაო ხმის მიცემით. მაშასადამე, უნდა მომხდარიყო მოქალაქეთა უფლებრივი გათანასწორება კანონისა და მმართველობის წინაშე. ეს, რასაკვირველია, ქალაქებში დაიწყო. ამის ნაცვლად სასტიკად დასჯილ იქმნენ ზოგიერთი დიდი კომუნისტები იმისთვის, რომ მათ უბრალო ადამიანური ურთიერთობა ჰქონდათ არა კომუნისტურ წრეებთან.

ფრიად საეჭვოა მრავალი მიზეზების მიხედვით, რომ საბჭოთა რუსეთის მეთაურებმა ის საერთო ფრონტი დაამყარონ თავის სახლში ამ წრეებთან, რომელსაც ისინი სხვა ქვეყნებისათვის ქადაგებენ. ჯერ ერთი, ეს ერთგვარი განაწილება იქნება მათთვის ძალაუფლებისა და მნიშვნელობის. მორეს მხრივ, მათ უთუოდ არ ეპრიანებათ ლეგალური საშუალების მიცემა დანისა, აბრამოვიჩისა და სხვებისათვის, რომ მათ მუდამ ნიშნი მოუგონ და უსაყვედურონ მარქსის ანდერძის მრავალი გადახვევა და ღალატი, რეაქცია და ტერმიდორი. რომ მარქსისა და ლენინის სახელით ბევრი რამ უცნაურობა განიზრახეს და კიდევაც გაანადგეს, მის ბედნიერ შედეგებს დიდხანს ვერ გაუძღეს და შემდეგ მრავალჯერ მიატოვეს, კვლავ დაიწყეს და კვლავ გადაადგეს მრავალი თავისი კომუნისტური მიღწევანი, ეს ყოველივე სხვებზე უკეთ იციან კომუნისტების მეთაურებმა. მაგრამ ეს ცოდვები მათ შინაურ საიდუმლოებათ სურთ დასტოვონ და სრულიად არ ეპრიანებათ, რომ ეს მათი მარქსისტული ცოდვები სხვა „ყალბ“ მარქსისტებმა გაუმჟღავნონ და ქუჩაში გაიტანონ.

მაგრამ მათთვის უფრო დაგამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ერთს გარემოებას. საბჭოთა რუსეთის მეთაურები არ შეიძლება არ ხედავდნენ, რომ საფუძვლიანად შეიცვალა ხალხთა ცხოვრება და რომ ამ ჟამად აღარ არსებობს ის კაპიტალიზმი, რომელიც იყო წინა დროს და არც მაშინდელი კაპიტალისტური თუ პროლეტარული კლასები. თავისი მუშაობის პრაქტიკიდან დაინახავდნენ ისინი, რომ ეხლა შეუძლებელია თვეობით გაფიცვების წარმოება და სამუშაო დროს შემცირებისათვის ბრძოლა, როდესაც მუშები ეხლა სწორედ ამ სამუშაო დროს მომატებისათვის იბრძვიან. ამის მიხედვით თანამედროვე ვითარებას სრულიად არ უდგება ძველებური სახის დემოკრატიული დემოკრატიული წყობა, რომელსაც კომინტერნი უკარნახებდა ყველა ერებს. მათ კარგად უწყიან, რომ თანამედროვე აშლილსა და აღრეულს პირობებში ასეთი წყობისათვის ბრძოლა თავისთავად დაასუსტებს ევროპის ქვეყნებს და თუ სადმე ასეთმა ბრძოლამ მიზანს მიაღწია ეს კიდევ დასუსტებისა და დამბლადაცემულობაში ჩაგდება იქნება ამ ქვეყნებისა.





მოსკოვის კომინტერნი სხვებს ასეთს რეცეპტს აძლევს, ხოლო თვითონ მისგან თავს იზღავს. აქ უთუოდ ჩვეულებრივი სახელმწიფოებრივი ეგოიზმი უკარნახებს — სხვები დასუსტდნენ, თვითონ კი ძალა შეინარჩუნოს. საბჭოთა რუსეთის სინამდვილეში ძრავალია იმის ნიშნები, რომ საბჭოთა პოლიტიკა სხვებს რომ პარალიზაციას უწყობს, თვითონ ჩუმად და სისტემატიურად სულ საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის — არა დემაგოგიურ დემოკრატიისაკენ, არამედ თავისებურ ფაშიზმისაკენ.

საყოველთაო არჩევნებიც რომ შემოიღოს მოსკოვმა, თუ ის ერთ პარტიულ რეჟიმს დასტოვებს, მისი მეთაურობა ადვილად შეინარჩუნებს ძალა - უფლებას. მართალია მას დიდად გაუძნელდება ფაშისტურ ქვეყნებში არსებულ კანონების ძალისა და პიროვნულ თავისუფლების დამყარება. მაგრამ ამის მცირე ნაწილიც რომ განაღდდეს, ესეც დიდი რამაა მონურ ქვეყნისათვის.

მარქსისტული ფსიქოლოგიის მიხედვით უფრო ძნელი უნდა იყოს უკან დახევა სოციალურს სფეროში, მაგრამ საბჭოთა მეთაურებმა ამ მიმართულებითაც არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი შებრუნება მოახდინეს. როგორც პურის თავისუფალი ყიდვა - გაყიდვა შემოიღეს და შემდეგ სამკურნალო საგნების, ასევე შეუძლინთ სხვა საყოველიო საჭიროების საგნების შესახებ. გლეხებს თუ დეზერტუნეს საკუთრად ეზოები და მცირე სახნავ - სათესი, ამის შემდეგ მათ არ გაუძნელდებათ აღდგენა წვრილი წარმოების, ალებ - მიცემლობის და ხელოსნობის. დიდი წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის მთავრობის ხელში დარჩენა საგნებით საკმარისი იქნება იმისთვის, რომ საბჭოთა რუსეთი კვლავ სოციალისტურ ქვეყნად მიიჩნიონ...

ერთი თვის წინად საბჭოთა რუსეთის სამრეწველო დაწესებულებათა მეთაურების ყრილობა შესდგა, რომელზედაც კომუნისტურ კაპიტალისტებს ახდელი კამათი ჰქონდათ ასეთი საკითხების გარშემო. ერთმანეთისათვის არ დაუფარავთ საბჭოთა ეკონომიკის უიმედო მდგომარეობა: წლებზე ფეხს ვიდგამთ, რომ წარმოება ავამაღლოთ, გავაფართოვოთ, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ დიდი ნაწილი ჩვენი განაკეთებისა სრულიად უვარგისი გამოდის, ნაჯახი ნაჯახად არ ვარგა, ხერხი ხერხადო. კომუნიზმის მოცქეულებმა დიდი გაბედულობა გამოიჩინეს ამ მოვლენის ასახსნელად. კერძო თაოსნობა არ არის ჩვენს ეკონომიკაში, კერძო ინტერესის ფაქტორი აკლია საბჭოთა წარმოებებსო. ეს უთუოდ მართალია და უდავო ქეშმარიტებაა. ასეთი აზრების გამჟღავნებაც კარგია, მაგრამ



მათს განაღდება თანდათანობით უთუოდ დიდი შედეგები ექნება საბჭოთა ეკონომიურ ცხოვრებისათვის.

ასეთი გეზის აღების გამართლება მათ სრულიად არ გაუჭირდებათ მარქსისა და ლენინის ნაწერებით. იქ მრავლად მოიპოვება ბუნდოვანი და გაუგებარი აზრები. მაგრამ ამის გამართლება უფრო ადვილი იქნება რეალური ცხოვრების მოთხოვნილებით. საბჭოთა რუსეთის მეთაურები უთუოდ ნათლად ხედავენ, რომ მათ მიადწიეს უკანასკნელ საზღვარს, რომლის შემდეგ იწყება ეკონომიური კატასტროფა, უკეთუ მათ არ მოახდინეს სახელმწიფოს განტვირთვა და 130 მილ. ყმა მოხელეთა დიდს უმრავლესობას ლიკვიდაცია არ უყვეს და თავისუფალი თვითმოქმედებისა და შრომის ნიადაგზე არ გადაიყვანეს.

რომ საბჭოთა რუსეთი მიიმართება ამ თავისებურ სისტემისაკენ, რომელიც გაცილებით უფრო მიუახლოვდება ფაშიზმსა, ვიდრე ძველი ყაიღის დემოკრატია, ამის ნიშნები სხვა სფეროშიაც მოიპოვება. უკანასკნელს დროს საბჭოთა სწავლა - განათლების ორგანოები და თვით კომსომოლთა დაწესებულებანი და გამოცემები დიდს პრობაგანდას აწარმოებენ ისტორიულ წარსულის შესწავლის საჭიროებაზე. სამშობლო, სამშობლოს სიყვარული, მსოფლიო რევოლუციის ლოზუნგების ადგილს იჭერს საბჭოთა გამოცემებში. ოჯახის სიმტკიცე, ოჯახის მნიშვნელობა და მისდამი მოვალეობა, მშობლებისადმი მორჩილება, მათი ავტორიტეტის განმტკიცება და სხ., სათავიდან დაკანონებულ წესდების მსგავსად ცხადება. საბჭოთა პოლიტიკის შებრუნების ეს მორალური მხარე, რასაკვირველია, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ცვლილებები, და ის დიდად სცილდება არა თუ ძველ კომუნისტური ინტერნაციონალის ბუნებას, არამედ თვით იმ უფრო ზომიერ წრებისასაც, რომელნიც მათთან საერთო ფრონტს ჰქმნიან სხვა და სხვა ქვეყნებში.

რასაკვირველია, ეს არის მხოლოდ დაწყება ახალი გეზის, ახალი მიმართულების, ხოლო მისი განაღდება ფრიად დიდ სიძნელეთ შეიცავს. რევოლიუციებს მოჰყოლია ტერმიდორები და ტერმიდორებს რევოლიუციები, მაგრამ ერთსა და იმავე წრეს რამოდენიმე რევოლიუცია და რამოდენიმე ტერმიდორი არასოდეს გაუნაღდება.

ასეთია საერთო კანონი, თუმცა ისიცაა მისაღები მხედველობაში, რომ რუსეთისათვის არავითარი კანონები არ არსებობს. საუკუნეთა მანძილზე არსებობდა დიდი და ძლიერი რუსეთი. ყველას მიერ ის იყო მიჩნეული ნაციონალურ ნიადაგზე აშენებულ სახელმწიფოდ და ამავე დროს ამ სახელმწიფოს არ ჰყავდა ნაცია, არამედ ხალხი,



არ ჰქონდა პატრიოტიზმი და არც ოჯახი იმ სახით, როგორც ეს სხვაგან არსებობს და ამ ნაციონალურ სახელმწიფოს მეთაურობას არასოდეს უზრუნვია მის დანერგვისა და განმტკიცებისათვის.

შემდეგ მოვიდა რუსეთი არა ნაციონალური, არამედ ინტერნაციონალური და მისი მეთაურობა ეხლა იწყებს ნაციონალური შეგნების და პატრიოტიზმის დანერგვას და ეროვნული ცხოვრების საძირკვლის, ოჯახის დაფუძნებას...

ჩვენ ვერ ვიკისრებთ წინასწარმეტყველებას, თუ როგორ შორს წავა ეს პროცესი. შესაძლოა მოსკოვის მეთაურები უკვე სუსტნი არიან ამ ახალი ტერმინორის განაღდებისათვის. ყოველ შემთხვევაში, წარსული მაგალითების მიხედვით, არ უნდა მივიჩნიოთ შეუძლებლად, რომ საბჭოთა რუსეთის მეთაურობა კიდევ ერთს ახალს ეტაპზე შედგება და კომუნისტურ სამოსლის ქვეშ ზოგიერთ ფაშისტურ იდეებსა, მორალსა და მეთოდებს შეაპარებს. ძალა-უფლების კიდევ ერთ ხანს თავის ხელში შენარჩუნებისათვის, შესაძლოა, მათ ეს ყველაზე უფრო საიმედო გზათ მიიჩნიონ.

მაგრამ თუ ეს მოხდა და განაღდა, ეს ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს. საბჭოთა პოლოტიკის ამ გზით წასვლა კიდევ უფრო მტკიცე საფუძველს მოუშადადებს საბჭოთა კავშირის საფუძვლიანად გარდაქმნას და მასში მომწყვდეულ ერთა განთავისუფლებას. ნაციონალური სულისკვეთების გაღვივება, პატრიოტული შეგნების გამძლავრება და ეროვნულ ოჯახის საფუძვლის, კერძო ოჯახის აღდგენა და განმტკიცება არის ის ურყევი მორალური ნიადაგი, რომელიც აამაღლებს საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ერთა შორის საბჭოთა კონსტიტუციით დამყარებულ დაბალ კედლებს. ეროვნული იდეა, პატრიოტიზმი და ოჯახი ერთია ქართველისათვის, სომხისა, აზერბაიჯანელისა, და უკრაინელისათვის და მეორეა რუსეთისათვის. ეს მორალური საფუძველი შექმნის ამ ერთა სიმტკიცეს, ხოლო ძირს გამოუთხრის იმ არა ნორმალურ კავშირს, რომელსაც საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი ეწოდება.

ალი.



## საზავო სიტყვები და საომარი საქმეები

ამ თხუთმეტი წლის მანძილზედ მსოფლიო დიპლომატთა მოღვაწეობამ, ერთა და სახელმწიფოთა შორის არსებული ინტერესების შეთანხმებასა და მორიგებას რომ ცდილობდა, დიდი შედეგები ვერ გამოიღო. **ჟენევის** ერთა ლიგამ შესძლო აქა იქ შეეჩერებინა თუ აეცდინა პატარა ადგილობრივი ომები პატარა სახელმწიფო. შორის ხოლო სადაც კი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს ინტერესთა დაყუჩება მოინდომა, ფეხი წაიტეხა მათ ძლიერს ეროვნულ-სახელმწიფოებრივს ნებასყოფაზედ. აზიის უდიდესი სახელმწიფო იაპონია ამ ნიადაგზედ გაეთიშა ერთა ლიგას. ევროპის ერთ-ერთი ძლიერ სახელმწიფოთაგანი გერმანეთიც ასევე მოიქცა, ერთა ლიგა მიატოვა და მოქმედების თავისუფლება მიიჩნია; ევროპის მეორე ძლიერი სახელმწიფო იტალიაც არ უმორჩილებს თავის ეროვნულ-სახელმწიფოებრივს ინტერესებს ერთა ლიგას. უკანასკნელი საბოლოოდ ვერ შეაჩერებს იმ დიდს ეროვნულ-სახელმწიფოებრივს გეგმიანს ლტოლვასა და ექსპანსიას, რომელიც ძლიერის ეროვნულის შეგნებითა და იშვიათის ნებისყოფით დაისახა ძველი რომის იმპერიის მემკვიდრე იტალიის ერმა.

ვერსალის ხელშეკრულება, რომლითაც დიდი ომი დაგვირგვინდა და რომელიც მსოფლიოს მშვიდობიანობას ფუძედ დაუდო გამარჯვებულთა კოალიციამ, სჩანს დროთა განმავლობაში გაიცვითა; მის მოცულობაში ველარ ეტევა აბოზოქრებული მსოფლიო. მას აუმხედრდა და მის მიერ დადებული ზღუდეები გადალახა დამარცხებული კოალიციის სახელმწიფოებმა, ყველაზე თვალსაჩინოდ გერმანეთმა, ლეგალურისა თუ არა ლეგალურის საშუალებით. გამარჯვებულთა კოალიციამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ ამხედრებულს ძალებს, და ვერ შესძლო მისი დაცვა, რადგან ამ კოალიციაში შემავალი სახელმწიფოებიც აღარ არიან ერთის აზრის ამ ხელშეკრულების შესახებ; ზოგნი მათთაგანი აშკარად აღიარებენ და ქადაგობენ ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგო აზრებს; ერთა ლიგა, რომლის დანიშნულება იყო ვერსალის ხელშეკრულების დაცვა, სუსტი აღმოჩნდა ამ საქმისათვის; მისი შემადგენლობა ამ სისუსტეს ამართლებს. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც დროსა და მის სიგრცეზედ მომხდარს მოვლენებს არ დაეცვიოთ. „სახელმწიფო აღარ არის ვალდებული დაიცვას მის მიერ დადებული თუ ხელმოწერილი ხელშეკრულება, მას შემდეგ, რაც განვითარებული მოვლენები მას აზრს დაუქარგავენ და მისთვის მავნებლათ და სახიფა-




თოთ გახდიან“. მაკიაველის ამ გაშიშვლებულს აზრს, რომელსაც საერთაშორისო უფლების წარმომადგენელი დიპლომატიურს ფრაზებში გახვეულს იმეორებენ, დღემდე ვერც - ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება ვერ გაქცევია.

განიარალების კონფერენციამ, ვერსალის ხელშეკრულების ნიშნის და ერთა ლიგის ფარგლებში და მისი ხელშეკრულებით უფლების განმავლობაში რომ ინტენსიურად მუშაობდა, მიზანს ვერ მიაღწია: შეიარაღებული სახელმწიფოები არ განიარაღდნენ და ვერსალის ხელშეკრულების ძალით, განიარაღებულნი სახელმწიფოები კი პირიქით შეიარაღდნენ. ის სახელმწიფოები, რომელთა წარმომადგენელნიც განიარაღების კონფერენციაზედ მარცხენა ყბით განიარაღებას ქადაგობდნენ, მარჯვენა ხელით და ძლიერ მარჯვედაც იარაღდებოდნენ. ამ უკანასკნელი ათის წლის მანძილზედ, განიარაღების ნიშნის ქვეშ რომ მიმდინარეობდა, განიარაღების კონფერენციაზედ მილიარდი ტკბილი სიტყვა, ხოლო სახელმწიფოთა სამხედრო უწყებებში მილიარდები დაიხარჯა სამხედრო შეიარაღებისათვის. შეიძლება ითქვას, არასოდეს ყოფილა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზედ ასეთი ხანა მეთოდური და ინტენსიური შეიარაღებისა. დიდი და პატარა სახელმწიფოები საუკეთესოდ შეიარაღდნენ.

ამ რამოდენიმე წლის წინ, მსოფლიო მშვიდობიანობის მოციქული ბრიანის თაოსნობით, პარიზში დიდმა და პატარა სახელმწიფოებმა, ოქროს კალმით ხელი მოაწერეს ეგრედ წოდებულს „ბრიან-კელოვის“ ხელშეკრულებას, რომელმაც უარჰყო ომი, როგორც სადაო საკითხების გადამწყვეტი საშუალება. ამით თითქოს ომი საერთაშორისო კანონს გარეშედ გამოცხადდა. მოწინავე სახელმწიფოებმა საჯაროდ აღიარეს მშვიდობიანობის შეურყეველი სურვილი და უხეში ომი დაჰკმეს. ჯერ შევიდოდე წელიც კი არ გასულა, ეს გულწრფელი პაციფისტი — ბრიანიც მოჰკვდა და „ბრიან-კელოვი“-ს პაქტიც შორს არ არის სიკვდილისაგან. პაქტზედ ხელგანხორციელებას, ზოგიც მის იმპერიალისტურს მიზნებს ფარავს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები, მათის ბუნებრივის გზებით განვითარდა და იმდენად მკაფიოდ გამოისახა, რომ ცხოვრების ამ შიშველმა სინამდვილემ შევიდოდე წლის განმავლობაში ოქროს კალმსაც ყანგი დასდო.

სახელმწიფო მოღვაწენი და დიპლომატები დარწმუნდნენ, მსოფლიო მშვიდობიანობის დასაცავად ნახმარ ყოველი საშუალებათა უშედეგობაში, მათ დიპლომატიური მუშაობის მეთოდი შესცვა-





ლეს : დაიწყო ცალ - ცალკე სახელმწიფოთა შორის აშკარა თუ ფარული ხელის მოწერა, არააგრესიობის, ომის დროს ურთი - ერთისადმი მიშველების პაქტებზედ. ამავე თავდაცვის მიზნით დაიღო სხ. და სხ. სახელმწიფოთა შორის საჰაერო თუ საზღვაო ძალების კოორდინაციის პაქტები. ყველა ამ აქტებიდან აშკარადა სჩანს, რომ ომის საშიშროება მოახლოვებულა; ზოგი დიდი სახელმწიფოთაგანი აშკარად აღიარებს თავის იმპერიალისტურს მიზნებს და ნებით და მშვიდობიანობის გზით თუ ვერა ძალით და ომით ცდილობს მათს განხორციელებას, ზოგიც მის იმპერიალისტურს მიზნებს ფარავს და ხელსაყრელი შემთხვევისათვის ემზადება მათი განხორციელებისათვის. ზოგი კმაყოფილია დიდი ომის შემდეგ დამყარებული მდგომარეობით და მისი დაცვისა და შენარჩუნებისათვის ემზადება; ზოგი არსებული მდგომარეობით უკმაყოფილოა, მიწა - წყლის ნაკლებლოვნებას განიცდის, თავის სახელმწიფოს ფარგლებში ველარ ეტევა, ახლობელი თუ შორეული ქვეყნებისაკენ უჭირავს თვალი პოლიტიკური თუ ეკონომიური ექსპანსიისათვის.


სახელმწიფოებრივად გადახალისებულს გერმანეთს რუსეთის ვრცელი მიწა - წყლისაკენ უჭირავს თვალი, ამ მიმართულებით იწიწებს, ამ მიზნისათვის მოკავშირეებს ეძებს, ირაზმება და მათაც იკავშირებს და რაზმავს.

სახელმწიფოებრივად და პოლიტიკურად აცოცხლებული და გაძლიერებული იტალია იხუთება მისი სახელმწიფოს ფარგლებში, მისი ჭარბი მოსახლეობა და ეროვნული სული და ენერჯია ველარ ეტევა ამ ფარგლებში, და ბუნებრივად აფრიკისა და შორეულ აღმოსავლეთისაკენ უჭირავს თვალი.

აზიის დიდი სახელმწიფო იაპონიაც თავის სახელმწიფოს საზღვრებს შიგნითგან ეხეთქება. მისი განვითარებული ინდუსტრია და ჭარბი აქტიური მოსახლეობა ველარ ეტევა მის საზღვრებში, საექსპლოატაციო ადგილებსა და ბაზრებს ეძებს. მას თვალი რუსეთის განაპირა კუთხეებისაკენ უჭირავს. ამ უკანასკნელი წლების მანძილზედ ამ მიზანს ის ეტაპებით ანხორციელებს, საიმედო პოზიციებს იპყრობს - იკავებს, საბოლოო დიდი ბრძოლისათვის ემზადება.

საბჭოთა რუსეთი, რომელმაც ცეცხლითა და მხვილით დაიპყრო თავისუფალი საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი, მთა და სხვა პატარა ერები, რომელთა სისხლით შეღებილ დროშათ კაცობრიობას მშვიდობიანობის დამცველად თვალთმაქცურად ევლინება. გულის სიღრმეში ატარებს ყველაზედ მეტს იმპერიალისტურს მიზნებს. მისი იმპერიალიზმი ორმაგი ს.ხისაა : რუსული - სლავიანური





და კომუნისტური. საბჭოთა რუსეთი არ განთავისუფლებულა და ვერც განთავისუფლდება ძველი რუსეთის რუსულ-სლავიანური იმპერიალიზმისაგან, მას ჯერ კიდევ სავსებით ვერ აღუდგენია ძველს ფარგლებში რუსეთის იმპერია, ამისათვის ხელსაყრელს დროსა და პირობებს უცდის. მახლობელ აზიის ქვეყნებისაკენაც უჭირავს გაუმძღარი თვალი და მესამე ინტერნაციონალის საშუალებით მთელს კაპიტალისტურს მსოფლიოსაც ხიფათს უმზადებს. მისი ეს რევოლუციონური მისწრაფება ვერ შეანელა საფრანგეთთან და სხვა სახელმწიფოებთან „მეგობრულმა“ დაკავშირებამ და ვერც მისმა ერთა ლიგაში შესვლამ.

დაკვირვებულნი პოლიტიკური მოღვაწენი აღარ მალავენ ომის მოახლოვებას, აღნიშნავენ, რომ დღეს მეტია ომის წარმომშობი მიზეზები და უფრო თვალთსაჩინონი, ვიდრე დიდი ომის დასაწყისისას. დანამდვილებით არავის შეუძლიან იწინასწარმეტყველოს თუ როდის გავარდება თოფი, ხოლო ერთი კი ცხადია: ამ მოსალოდნელ ომის თავიდან აცდენას ვერავინ მოახერხებს. შეუძლებელია ცარიელი დიპლომატიური ფრაზეოლოგიით გაფანტვა და დაშლა იმ შავი ღრუბლების, ევროპა - აზიას რომ თავს დასტრიალობენ და სისხლის წვიმებითა და ქვამეხებით ემუქრებიან.

საბჭოთა რუსეთი იმდენათ ჩაიყოლიეს და გააბეს ევროპის სახელმწიფოებმა საერთაშორისო პოლიტიკურს საქმიანობაში, რომ წარმოუდგენელია მან ნეიტრალობა დაიცვას და არ ჩაებას ისეთ ომში, რომელშიაც ევროპის სახელმწიფოები მონაწილეობას მიიღებენ.

საქართველო დაპყრობილია რუსეთის მიერ. დაპყრობილი ქართველი ერი, მისი მებრძოლი ბუნებისა და დამპყრობელის მიერ იქ შექმნილი აუტანელი პირობების და მიხედვით, სამხედრო მდგომარეობაში იმყოფება. დაპყრობილი ერისათვის არ არსებობს მშვიდობიანობა. ისტორიას არ ახსობს მაგალითი, დაპყრობილს ერს რომ თავისუფლება მოუბოვებინოს ბრძოლისა და ომის გარეშე. საქართველო ებრძვის დამპყრობელ რუსეთს, და მისი პოზიციაც გარკვეული იქნება იმ ომში, რომელშიაც რუსეთი მონაწილეობას მიიღებს.

შეიძლება დიდი მოვლენების წინაშე დავდგეთ, ამ მოკლე ხანში და ეს გვავალებს ჩვენი ეროვნული შიდა მდგომარეობის გადასინჯვას, განხილვასა და შესწავლას იმ საკითხებისა, რომელთაც ეს დიდი მოვლენები ჩვენ დაგვიყენებენ საპასუხოდ. ჩვენი ერის ხ.ნგრძლივი ისტორია უმდიდრესი თავისუფლების დაცვისა თუ მო-



პოემისათვის გადახდილი ბრძოლებით უძვირფასეს მასალას გაც-  
 წვდის, ამ მიზნისათვის გამოყენებული უნდა იქმნას სხვა პატარა  
 ერთა თავისუფლებისათვის გაწეული ბრძოლების მაგალითებიც.  
 როგორც არიან ჩვენს თვალის წინ გარდახდილი ბრძოლები და  
 გაწეული მუშაობა პოლონეთის განმათავისუფლებელის და აღმდგე-  
 ნელის პილსუდსკისა და ჩეხო-სლოვაკიის ეროვნული მოძრაობის  
 მეთაურის მასარიკის. ყველაფერი აქედანვე უნდა გვექონდეს გასინ-  
 ჯული - გათვალისწინებული და მოფიქრებული, რომ მოსალოდ-  
 ნელს დიდს მოვლენებს მზად შევხვდეთ და შევძლოთ ამ მოვლენე-  
 ბის ჩვენი ეროვნული მიზნებისა და ინტერესებისათვის გონივრუ-  
 ლად და უზიფათოდ გამოყენება.

ბევრი რამ დავკარგეთ, ძაგრამ ჯერ კიდევ შეგვრჩენია ის უხი-  
 ლავი ძალა, რომელმაც შეგვაძლებინა ბევრჯერ მტრის ზელით წა-  
 ქცეული კერისა და ეროვნული ცხოვრების აღდგენა. კონიერება  
 და საკმაო ზოგიერება გვმართებს, რომ ესეც არ დავკარგოთ და იმ  
 დიდი მოვლენების დროს, როდესაც მსოფლიოს დიდი ძალები ერ-  
 თნი - მეორეს შეეხეთქებიან, ჩვენი ეროვნული ფიზიკური არ-  
 სებობა არ დავკარგოთ და დაკარგული ეროვნული თავისუფლება -  
 სუვერენობა კი მოვიპოოთ.

ელ. პატარიძე

## რუსეთის ძლიერებაზე

ადვილად გასაგებია ფსიხოლოგიურად, როცა რუსეთთან კავ-  
 შირის მომხრე ფრანგები აზვიადებენ რუსეთის სამხედრო შესაძლე-  
 ბლობას და მოსახლეობის რიცხვს. თითქმის გასაგებია, როცა მე-II  
 ინტერნაციონალის „ფაციფისტები“ ასევე იქცევიან. გაუგებარია,  
 როდესაც ქართველი „ობივატელები“ (და ზოგიერთი პატივცემული  
 პოლიტიკური მოღვაწეც) — უფრო შორს მიდიან და დღესაც წარ-  
 მოდგენილი აქვთ, საგაზეთო ცხელ - ცხელი ამბების მიხედვით, რომ  
 რუსეთში ასამოცდახუთი მილიონი მოსახლეობაა და „ოცი მილი-  
 იონი ჯარის გამოყვანა შეუძლიან“-ო.

ყველამ იცის, რომ დიდ ომამდე, ოფიციალური სტატისტიკით,  
 რუსეთში ითვლებოდა ას სამოცი მილიონი. როგორ მოხდა, რომ  
 დღეს, — ფინლანდიის, ესტონიის, ლატვიის, ლიტვის, პოლონე-



თის, ბესარაბიის და კავკასიის ნაწილის\*) ჩამომორების შემდეგ, რომელნიც ერთად 42 მილიონს უდრიდა, როდესაც ომმა და რევოლუციამ თვისი შედეგებით—გასწყვიტა ოც მილიონამდე ხალხი; ე. ი., როდესაც რუსეთს დააკლდა 50.000.000-მდე ხალხი მაინც (რადგან შესწორებაა საჭირო პოლონეთზედ, რომელიც მთლად არ ეკუთვნოდა რუსეთს)—და დღეს უფრო გაზრდილია? მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ რუსები კურდღლის ბაჭიებივით მრავლდებიან და წელიწადში მილიონზე მეტი ხალხი ემატება, — მაინც ვერ მივიღებთ იმ სათუო რიცხვს, რომელიც ითვლებოდა ომამდე, არამც თუ რომელსაც აწერენ ეხლა.

ახლა გადავიდეთ ჯარზედ. მართალია ცნობილია, რომ სახელმწიფოს შეუძლიან გამოიყვანოს 10% თავის მოსახლეობისა **მოზაღიზაციით**, უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ, მაგ., ინგლისს თავისი 450 მილიონი მოსახლეობიდან, შეუძლიან გამოიყვანოს 45 მილიონი, ან ჩინეთს — 40 მილიონი, ან რუსეთს — 14 მილიონი, რადგან ერთ ეროვნულ სახელმწიფოს არ წარმოადგენენ ეს სახელმწიფონი.

დიდ ომამდე რუსეთსა ჰყავდა თოფიანი 450.000 ყოველ წლიურად (Rambau, Hist. Univ) ეხლა ჰყავს 73 დივიზია  $\times$  8.500 კაცი = 620.500 („მხედარი“ № 18—„დოიჩე ვეჰრის“ № 37-დან)

დიდ ომში რუსეთმა გამოიყვანა თანდათანობით: 1915 წ. — 1.200.000; 1916 — 3 მილიონი და ბოლოს — 4.700.000-მდე, რომელთაგან მეოთხედს არა ჰქონდა იარაღი\*\*) და არამც თუ ვერ ითამაშა, „კომპრესორის“ როლი, რომელიც გადასთელავდა გერმანიას (როგორც ფიქრობდნენ საფრანგეთსა და ინგლისში), არამედ სასტიკად დამარცხდა და რევოლუციის ქარ-ცეცხლმა წაიღო. წარმოვიდგინოთ გაზვიადებით, რომ დღევანდელი რუსეთი შესძლებს ისეთსავე მობილიზაციას, როგორც მეფის რუსეთი და თოფიანი ეყოლება იგივე სამი მილიონი (დაახლოვებით) ჯარი და შევადაროთ 1914 - 17 წლის მდგომარეობა ამ ქვეყნისა — დღევანდელს. მაშინ რუსეთი არა მარტო ითვლებოდა, არამედ იყო განუყოფელი და

\*) ფინლანდია — 3.667.000; ესტონია — 1.119.000; ლატვია — 1.900.000; — ლიტვა — 2.348.000; პოლონეთი — 32 მილიონი (იხ. ფრანგ. გეოგრ. სტატისტიკა); ბესარაბია და კავკასიის ნაწილი რომ 1.000.000 ვიანგ., სულ = 42 მილიონს,

\*\*) იხ. ლოიდ ჯორჯის „მემუარები“, გვ. 308 და 314 და ინგლისის სამხედრო შტაბის უფროსის რობერტსონის „მემორანდუმი“ 1916 წლის ღვინობისთვეში.





ჰყავდა ერთხარისხოვანი ჯარი; დღეს კი, წინა ომითა და რევოლუციის წყალობით, ის გადაქცეულია ერთა კონგლომერატად და დიდი ნაწილი ჯარისა არის ტერიტორიალური, რაც მეტად ასუსტებს მის სამხედრო უნარიანობას.

მაშინ მოპირდაპირედ ჰყავდა ერთმხარეზე (O, S.)—გერმანია-ავსტრია-ოსმალეთი და მოკავშირეთ — იაპონია. დღეს იგივე გერმანია და პოლონეთი (რომელიც თამამად ავსებს ავსტრიის დანაკლისს)—დასავლეთით და იაპონია, მოკავშირეობის მაგიერ, მოპირდაპირედ—აღმოსავლეთით. ძალთა გაყოფის **აუცილებლობისა** გამო (იქნება ომი ერთდროულად თუ ცალ-ცალკე), რუსეთის ჯარის რაოდენობა ერთ რომელიმე ფრონტზედ — ვერ გადასცილდება შემადგენლობის ნახევარს, ე. ი. 1,5—2.000.000-ს; და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თურქისტანი, უკრაინა, კავკასია და ბელორუსია არ არიან სანდონი, როგორც ცენტრო - მლტოლველი ქვეყნები; რომ მთელი დასავლეთი ფრონტი, გაყინულ ოკეანედან შავ ზღვამდე (ე. ი. მურმანსკიდან ოდესამდე), თითქმის სამი ათასი კილომეტრის მანძილზე — საფრთხეში იქნება; ადვილად წარმოვიდგენთ, რომ რეალურად არსებულ ჯარების ნახევრის ნახევარი მაინც, ამ გართულებულ საშინაო და საგარეო „ვიწრო ადგილებზე“, ანუ უკეთ, ფართო ტერიტორიებზე იქნება დაბანდებული.

ამ რიგად, ძალების უკიდურესი დაჭიმვით, რუსეთს შეუძლიან დასავლეთის ფრონტზე გამოიყვანოს არა უმეტესი ერთი მილიონი მეომრისა და ამდენივე აღმოსავლეთისაზედ; და რაც უნდა საუცხოვოდ ჰყავდეს შეიარაღებული ტექნიკურად, გაწვრთნილი — პერსონალურად და გაფანატიკოსებული — კომუნისტურად\*), სასტიკი დამარცხება მოელის ყველგან.

აი, რატომ არის, რომ ავაზაკი ლიტვინოვი დღეს **პრინციპიალურად** მშვიდობიანობის მოციქულად გამოდის „ავაზაკების“ ერთა ლიგაში, სამ მილიონ ეთიოპელთა დასაცავად, რომელთაც ცხრა მილიონი შავკანიანი ჰყავთ დაპყრობილი და ყმად გადაქცეული და ყურსაც არ იბერტყავს, როცა **კონკრეტულად** მიუთითებენ სამ მილიონიან კულტურულ საქართველოზედ, რომელიც ძალით დაიპყრა ასმილიონიანმა ველურმა რუსეთმა.


აი რატომ არის, რომ მე-III ინტერნაციონალის ავაზაკთა ბრბო, გულში ეხუტება მე-II ინტერნაციონალის „ავაზაკთა ბრბოს“ და

\*) ტენ., პერსონალურ. და იდეურ მომზადებაზედ იხ. დაწვრილებით ჟურნ. „მხედარი“, № 18.









„მოლაღატე, კაპიტალიზმის ლაქია დემოკრატიასთან“ ერთად, — გაშმაგებით იცავს ველურ იმპერიას განათლებული „იმპერიისაგან“... თუმცა მარქსის დოგმით, ეს ორივე ინტერნაციონალი „ებრძვის“ ველურობას, ფეოდალიზმს, ბატონ-ყმობას, კაცუკამიობას, ერთნაირად გაფურჩქნულს ეთიოპიასა და... რუსეთში.

აი რატომ არის, რომ რუსეთის საბჭოთა იმპერია, რომელიც სჭამს სამოცდაათმილიონ უცხო ტომის ერებს, — ნებას არ აძლევს იტალიას, „შეჭამოს“ ცხრამილიონ შავკანიანების მკამელი ეთიოპია.

ჩვენ მხოლოდ არ გვესმის, რა შუაში არიან ჩვენი მეორე (სა-რისხოვანი) ინტერნაციონალისტები, რომელნიც მხარში უდგებიან ამ საჯაყ საქმეში, თავიანთ მოსისხლე მტერს, — ს.ს.ს.რ.-ს, და ებრძვიან „მთელი ქვეყნის ფაშისტებს“, რომელნიც ერთად-ერთ ძალას წარმოადგენენ, ამ მათს მოსისხლეს რომ ემუქრებიან?


რად.

## ჩრდილოეთის როლი

### საქართველოს საგარეო მდგომარეობაში უწინ და დღეს

„უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოს იმიერ კავკასიაში მცხოვრებ ერებთან ჰქონდა დამოკიდებულება და ხშირად კავშირიც, არა ერთხელ იბერიის მეფეს თავის მოწინააღმდეგებთან საბრძოლველად ისინი გამოუყვანია და მათთვის მიუსევია. ასე მოიქცა, მაგალითად, ფასმანი (395 - 404 წ. ქრ. შ. შ.), რომელსაც ე. წ. „თეთრი ჰუნნები“ (ამ სახელით იმ დროს იყვნენ ცნობილი ჩრდილო კავკასიის) გამოუყვანია და ბიზანტიელებისათვის მიუსევია. ამავე ჰუნნების მეშველ ტომის დახმარებაზე ვახტანგ გურგასალსაც (446 - 449 წ.) დაუმყარებია იმედი, როდესაც სომხებთან ერთად სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლა დაუწყებია. სპარსელებმა ხანგრძლივი გამოცდილებით იცოდნენ, რომ ქართველებს მთიელებითა ჰქონდათ ზურგი მაგარი; გამოიყვანდნენ პირქითელ ხაზარებსა და ჰუნნებს და მიუსევდნენ სპარსეთს“. (ივ. ჯავახიშვილი: „ქართველ ერის ისტორია“ წ. I, გვ. 217 - 251, 1928 წ.).





„14 აგვისტოს 1121 წ. სოფ. დიდგორთან მოხდა საშინელი ბრძოლა, სადაც დავით აღმაშენებელის მთელი სამეფოს ძალები და მათი მოკავშირე ოს - ჩერქეზ - შირვანელთ მეომარნი და მეფის საკუთარი მუდმივი ჯარი წინა აზიის საუკეთესო მხედრობის, არაბ-სპარსელ - თურქებისას შეეჯახა“ (ზ. ავალიშვილი : „ჯვაროსანთა დროიდან“ გარშემო ერთი თმისა, გვ. 48 - 49).


ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელის დროიდან (1029 - 1125 წ.) დაარსებულ ქართულ მუდმივ ჯარის საგრძნობ ნაწილს შეადგენდა ე. წ. როქის სპა (როქა — ჯამაგირი ბერძნულად), რომელშიაც შედიოდნენ ყიფჩაღნი, ალანები (ოცსნი) და სხვანი. ყიფჩაღთა ყოფნა საქართველოს ლაშქარში შენიშნულია შემდეგ ხანებშიაც, გიორგი III და თამარის მეფობაში. მაგალითად 1203 წელს ივანი იყვნენ შამქორის ომში სადაც თამარ მეფის ლაშქარმა დაამარცხა სპარსელები (მ. ჯანაშვილი: „აღწერა ქართულ საეკლესიო მუზეუმის ხელთნაწერებისა“ (რუსულად) წ. III, გ. 91, საბუთი № 864, ტფილისი 1908 წ.; თათარყან დადგეშკელიანი: „მოკლე მიმოხილვა საქართველოს მხედრობისა 1089—1222 წლამდე“; ყურ. „ივერია“ 1885 წ., № 10).

ასეთ და სხვა გვარ მრავალ უტყუარ და ურყევ საბუთებითა მტკიცდება, რომ ძველი და საშუალო საუკუნოების საქართველოსათვის პირიქით (იმიერ კავკასიური) ანუ ჩრდილოეთის მოსახლდრე მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ახალ საუკუნოების ეპოქაში ჩრდილოეთის გავლენა ხომ უფრო და უფრო ძლიერდება. შორეულ ხნიდან აღმოსავლეთ ევროპის ველებზე აზიიდან შემოსულ თურქ-მონღოლთა ურდოების მიერ სხვა და სხვა დროს დაარსებულ და დაქცეულ სახელმწიფოების\*) მაგიერ

\*) თითქმის ათასი წლის მანძილზე აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთ ველების სივრცეზე, მდ. ვოლგიდან მდ. დმესტრამდე, დანავარდობდნენ აზიიდან შემოსული თურქ-მონღოლთა ურდოები. 375 წ. ქ. დ. შ. ამ ადგილებში შემოიჭრნენ ავარები, მათ მოჰყვნენ ჰუნნები, ჰუნნები შესცვალეს უნგრებმა, უნგრები — ხაზარებმა. ხაზართა იმპერია დაანგრიეს პეჩენეგებმა და პოლოველებმა და ბოლოს მე-13 საუკუნეში ამ მხარეებში აღმოცენდა ყიფჩაღთა (თათრების) სახელმწიფო. ყიფჩაღთა წინამორბედი ურდოები ზოგი დასავლეთ ევროპაში შეიჭრა და გაითქვიფა (ჰუნნები, უნგრები),





მე-15 საუკუნიდან საბოლოოდ ეწყობა და იზრდება ახალი სლავიანთა სახელმწიფო. მე-18 საუკუნის დასაწყისში პირიქითელი ხალხები ჩრდილოეთიდან მოწოლილ მათ მძლავრ ტალღებში გაეხვევიან.

\* \* \*

თუ დავით აღმაშენებლის და თამარის დიდ საქართველოს დრომდე და მათ დროსაც ჩრდილოეთის მხარე ხშირად დამხმარე ძალად ევლინება, მე-13 საუკუნიდან იგი სამტრია მოვლენად გადაექცევა. თითქმის ორასი წელიწადი (1405 წლამდე) საქართველო და მთელი კავკასია, გარშემორტყმული მონღოლთა რკინის რკალით, მათი უხეში გაუმაძღარი ურდოების სათარეშოთა ზღბა. ნამეტნავად დააზიანა კავკასია ისლამის მეზაირალტრე მრისხანე თემურლენგის შემოსევამ (1380, 1399, 1404 წწ.). თუ მისი წინამორბედი მონღოლები წარმართნი იყვნენ და თავიანთი სარწმუნოების გავრცელება ფიქრადაც არ მოსვლიათ, ეხლა თემურლენგის მონღოლები ხმლითა და იძულებით ცდილობენ დამორჩილებულ ერთა შორის ისლამის გავრცელებას. წინანდელ ხოცვა - ჟლეტას და აოხრებას ეხლა სარწმუნოებრივი მძულვარება და დევნილობაც თან დაერთო (ივ. ჯავახიშვილი).

საერთოდ, მე-15 საუკუნის დამდეგს თემურლენგის თავდასხმებმა დიდი ცვლილებანი შეიტანა პირქითელ კავკასიელ ხალხთა ცხოვრებაში. თავის უკანასკნელ შემოსევისას (1404 წ.), თემური აოხრებს საქართველოს და ამიერ კავკასიას. მერე გაარღვევს დარუბანდის კარს, საბოლოოდ დაამარცხებს თერგის ნაპირზე ყივჩაღთა დიდ ყაენს თახთამიშს, მიანგრ - მოანგრევს მთელ მის სამფლობელოს რიაზანამდე, მობრუნდება ქვევით ჩრდილო კავკასიისაკენ, მოსრესავს ჩერქეზ - ყაბარდო - ალანების (ოვსების) მხარეებს და გადავა აზიაში, სადაც მოკვდება (1405 წ.). მის მიერ დანგრეული ყივჩაღთა სახელმწიფო დღეშლება სამ ნაწილად: ყაზანის, ასტარ-

ზოგი მთლად გაჰქრა (ავარები, პეჩენეგ - პოლოველები). მათ შექმნილ სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო ცნობილი და ძლიერი აღმოჩნდა ხაზართა საკახანო (მე-7—მე-9 საუკ.) და ყივჩაღთა საყაენო ანუ „ოქროს ურდო“ (1240—1400 წწ.); ჩრდილო კავკასიის ხალხები შედიოდნენ აღნიშნულ სახელმწიფოთა გავლენისა და ბატონობის საზღვრებში (პროფ. ს. გ. პლატონოვი: „კურს რუსკოი ისტორიი“, წიგ. I, ს. გ. ბიკადოროვ: „ისტორია კახაჩესტვა“, წიგ. I-ლი, პრაგა, 1930 წ.).



ხანის (ნოღაელების) და ყირიმის თათართა სამეფოებად. განადგურებულნი, განახევრებულნი პირიქითელი ხალხები სცლიან ჩრდილო კავკასიის ველ-მინდვრებს და კავკასიის მთის კალთებს ეფარებიან, მათ მოსაზღვრედ ხდება, მონღოლთა ბატონობისაგან განთავისუფლებული მოსკოვის სამეფოს სახით გაერთიანებული რუსთა სამთავროები.

ამავე დროს კავკასიის სამხრეთით ჩნდება ორი ახალი ძალა : ფეხზე დგება მონღოლთაგან წაქცეული სპარსეთი. მის მეზობლად განახლდება თემურლენგისაგან დამარცხებული, მაგრამ მისი ნამდვილი მემკვიდრე და ტრადიციების გამგრძელებელი თურქ - ოსმალისების სახელმწიფო.


1453 წელს ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი, მიითვისეს ბიზანტიის იმპერიის სახრავი და სახელიცა (იმპერია), გამაგრდნენ ბოსფორისა და შავი ზღვის სამხრეთ ნაპირებზე და გაეშურნენ ჩრდილოეთისაკენ, — აღმოსავლეთ ევროპაში მობინადრე თურქ - მონღოლთა ნაშთების ჩასაბარებლად. 1475 წ. აიღეს კაფა (თეოდოსია) და ქ. აზოვი; მოიწყეს ვასალურ ყირიმში მაგარი საბინადრო და მაშველი ხელი გაუწოდეს ასტარხან - ყაზანის ერთმორწმუნე და მონათესავე თათართა ქვეყნებს.

ამ ბრძოლებში ოსმალებს წინ მიუძღოდა თემურლენგის ძველი, მეგრძოლ ისლამის დროშა. ოსმალეთის იმპერიამ თამამად დაუპირისპირა მაჰმადის მოკაცული მახვილი—ქრისტიანულ ერების ჯვაროსნულ ხმალს, თუმცა ამ რთულ ბრძოლებში ხშირად ზოგი საქრისტიანო ან სამაჰმადიანო ქვეყანა ემხრობოდა მოწინააღმდეგე რჯულისას. ამ ხანად აღმოსავლეთ ევროპის ველებიდან მოყოლებული ვიდრე მცირე აზიამდე ერთმანეთს დაეჯახა ორი ძველი მოქიშვე სარწმუნოება : ქრისტიანობა და მაჰმადიანობა. ერებიც თითქმის ამ ორ მთავარ ხაზზე გაიმიჯნენ. ერთის მხრივ ქრისტიანნი : სლავიანები, ყაზახები, ჩერქეზ - ყაბარდოელები \*), ოსები, ქართველები და სომხები; მეორეს მხრივ მაჰმადიანნი : ყაზანისა, ასტარხანისა, ყირიმის თათრები, დაღესტნელთა თემები (უძველესი მაჰმადიანები), სპარსელები, რომელნიც სარწმუნოებრივ ბრძოლაში მაჰმადიანების ჯაჭვში იყვნენ ჩაბმულნი, და თურქები.

დარდანელის სრუტის ჩაკეტვით, ოსმალეთმა გადაუჭრა საქა-

\*) მრავალი ისტორიული საბუთი ამტკიცებს, რომ უძველეს დროიდან ყაზახები, უმთავრესად „დონის ყაზახები“ (ჩერქეზ - ყაბარდო - სლავიან და მონღოლთა ნარევი) იყვნენ და დარჩნენ თა-





როველო—კავკასიას ორივე სავაჭრო გზა, რომელიც უწინ გენუ-ელების საშუალებით. მას აკავშირებდა ევროპის ქვეყნებთან და ეკონომიურადაც ხელს უწყობდა: ჩდილოეთით ჩაეკეტა გზა მომავალი შავი ზღვის ნაპირებიდან სარაია - თურქესტან - ჩინეთისაკენ და მეორე—ფოთი - სპარსეთ - ინდოეთისაკენ.

ჩრდილოეთიდან ზურგ გატეხილი საქართველო, მისი მიწა-წყალი და მოსახლეობა, ისედაც აოხრებულ - ვავერანებულ, დაქუცმაცებული მონღოლთა წინა ბატონობით, ეხლა ისევ ორ მოქიშვე ძლიერ მაჰმადიან ქვეყნის, სპარსეთ - ოსმალეთის, გასაჯიჯგინი საგნადა ხდება. მარტო 1510 წლიდან 1553 წლამდე საქართველომ გადაიტანა ოსმალეთ-სპარსეთის რვა მძვინვარე შემოსევა. 1553 წ. ოსმალეთის ვაგლენით საქართველო ორ ზონად გაიყო: დასავლეთი ნაწილი მიიკუთვნა ოსმალეთმა, აღმოსავლეთი კი სპარსეთმა (ს. კაკაბაძე: „ახალი საუკუნოების ეპოქა“, ტფილისი, 1920 წ.), და თანდათან, ისარგებლა რა სპარსეთის შფოთით, დაეპატ-წ.), და თანდათან, ისარგებლა რა სპარსეთის შფოთით, ოსმალეთი დაეპატრონა მთელ კავკასიას (ოტომანთა ისტორია ჟონკიერისა, გვ. 219).

მაგრამ ძლევა მოსილ ოსმალეთის იმპერიის შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებზე გამაგრებას და მის ჩრდილოეთის გეგმებს უკვე დახვდა იოანე მე-IV მრისხანეს გაერთიანებული მაგარი მოსკოვის სამეფო. მე-16 საუკუნიდან ეს ორი ძლიერი სახელმწიფო გადაეკიდა ერთმანეთს სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლაში. იოანე მრისხანემ დაასწრო ოსმალეთის ზრახვებს და 1552 წ. დაიპყრო ყაზანის სამეფო და 1553 - 57 წლებში ყაზახთა მაშველი ჯარების შემწეობით ასტარხანის სამეფოც. ამის საპასუხოდ ოსმალებმა 1569 წელს მოაწყეს დიდი ლაშქარი ასტარხანის გასანთავისუფლებლად

ვისებურ ეთნიურ - პოლიტიკურ ერთეულად, საკუთარ განსაზღვრულ ტერიტორიით, ზნე - ჩვეულებით, წესწყობილებით. ძველ მონღოლურ სახელმწიფოებში შედიოდნენ გარკვეულ ყაზახურ კლანად. ასევე შევიდნენ რუსეთის იმპერიის ფარგლებში. რევოლუციის დროს დაეყრდნენ თავის ძველ ატამანურ „დონის კონსტიტუციას“ (პროფ. სვატიკოვ: „დონ ი როსია“; ს. გ. ბიკადოროვ — „ისტორია კაზახესტა“ წიგ. I-ლი).

ჩერქეზ - ყაბარდოელებში ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა მე-4 საუკუნიდან ბიზანტია საქართველოს გზით. მე-13 საუკუნეში ვენეციელების და გენუელების შემწეობით ამათში გავრცელდა კა-



და იქიდან ყაზანელებისათვის მისაშველებლად; მაგრამ ამ დიდი გეგმის შესრულებისათვის ოსმალებს არ ჰქონდათ მოწყობილი სათანადო ორგანიზაცია, არც საღსარი და ეს დიდი ლაშქრობა დიდი კატასტროფით დამთვრდა. მოსკოვის საზღვრები ახლა შეიჭრნენ ჩრდილო - კავკასიის ველების წიაღში. საქართველოს ჩრდილოეთიდან ეხლა ძლიერი რუსული ფაქტორი მოეცვლინა.

\* \* \*


აი, ამ მოკლედ მოთხრობილ ისტორიულ ამბავთა ასპექტში მე-16—17-ე საუკუნის საქართველოს და კავკასიის ქრისტიანულ ერებს მოახლოვებული ერთმორწმუნე რუსთა სამეფოს სახით, ჩრდილოეთი კვლავ ევლინება ერთად ერთ მაშველად საგულეებელ ძალად, სამხრეთიდან მოწოლილ მაჰმადიანურ სტიქიის დამღუპველ ძალმომრეობისაგან, უმთავრესად ოსმალთა სახით. და საქართველოს აღედგა იმედი მოსკოველებთან კავშირის გაწყობისა.

აქ არის საჭირო ისტორიულ სინამდვილის აღდგენა, თუ ვინ გადადგა კავკასიელთა შორის პირველი ნაბიჯი მოსკოვის მფარველობის სათხოვნელად? დღემდის გავრცელებული აზრი, ვითომდა ამის პირველობა საქართველოს ეკუთვნის, არ არს სწორი. იგი მიეკუთვნება ქართველების ჩრდილო მეზობლებს, მის ხშირ მოკავშირეებს ჩერქეზ - ყაბარდოელ ხალხს, რომელიც მაშინდელ დროს რიცხვითა, ძალითა თუ გავლენით იმიერ კავკასიაში არ ჩამოუვარდებოდა ამიერ კავკასიაში მთავარ მობანაკე ქართველ ერს.

ისტორიული საბუთები მოწმობენ, რომ როდესაც ოსმალებმა ყირიმის სახანო თავის ვასალურ ქვეყნად გაიხადეს და შესდგეს ფენი ჩრდილო კავკასიის შავი ზღვის ნაპირზე, ყირიმის ხანი მეჰმედ გირეი სულთანის ბრძანებით შეუდგა ყუბანის ჩერქეზების და ყა-

თოლიკობაც, მხოლოდ მთავარი ადგილი ეჭირა ბერძნულ სარწმუნოებას. მე-16 საუკუნემდე ამ ხალხში მაჰმადიანობის ბსენებაც არ ყოფილა. 1600 წლიდან ოსმალ - ყირიმელების გავლენითა და ძალით ჩერქეზ - ყაბარდოს მოწინავე წოდება მაჰმადიანდება, მდებიო ხალხი კი რჩება ქრისტიანობის რიტუალში. ჩრდილო კავკასიელებში, კერძოდ ჩერქეზებში, ისლამმა გაიმარჯვა საბოლოოდ მე-18 საუკუნის ბოლოს. ამას ხელს უწყობდა რუსეთის უმგვანი ნაციონალური პოლიტიკაც. მიუხედავად ამისა წარსულ საუკუნეში ხალხში კიდევ მაგრად იყო გამჯდარი ქრისტიანული ადათ - წესები (ნ. დანილევსკი : „ჩერკი ისტორიი კავკაზკის პლემიონ“ 1846 წ.).





ბარდოელების დაპყრობას და ძალით გამაჰმადიანებას. ყაბარდო - ჩერქეზები იძულებულნი ხდებიან მიმართონ მოსკოვის მეფე იოანე მე-IV მფარველობის სათხოვნელად. 1555 წელს იოანე მე-IV მიიღო თავის მფარველობის ქვეშ ყაბარდოელები და რამოდენიმე წლის შემდეგ შეიერთო ყაბარდოელ თავადის ქალიც. 1559 წ. მან გაუგზავნა ჩერქეზებს თურქ - ყირიმელ თათრების წინააღმდეგ თავისი მაშველი ჯარი თ-დ ვიშნევეცკის სარდლობით. „ყაბარდოს მაგალითს მიბაძა საქართველომაც, კახეთის მეფე ალექსანდრე მე-II-ს სახით“ (პროფ. პ. ნ. კოვალევსკი: „ისტორია კავკაზა“, ტ. II, გ. 15, 1915 წ. \*).

კახეთის მეფე ალექსანდრე მე-II (1574 - 1605 წწ.) ძალზე შეწუხებული ოსმალეთ - სპარსეთის ძალადობით (ორივეს ხარკს აძლევდა), რომელსაც თან დაემატა კახეთზე ზურგიდან ლეკების \*\*) თავდასხმები, 1586 წ. გაგზავნა მოსკოვში თავისი რწმუნებულები --- ჩერქეზი ხურშიდი, მღვდელი იოაკიმე და ბერი კირილე; ალექსანდრეს კაცნი სთხოვნენ მოსკოვის მეფეს თევდორეს დახმარებას და მფარველობის აღმოჩენას კახეთის მტრების ასალაგმავად. შემდეგ წელს კახეთში ჩამოვიდა მოსკოვის მეფის საგანგებო რწმუნებული ბირკინი. 28 ენკენსთვეს 1587 წელს მან თან წაიყვანა კახეთის მეფის პირველი ელჩი თ-დი ყაფლან ვაჩნაძე. ამ უკანასკნელმა საჩუქრებთან ერთად მოსკოვის მეფეს მიართვა, მოსკოვის მთავრობის მოთხოვნით შედგენილი, კახთბატონის ალექსანდრე მე-II ხელმოწერილი „ქვეშერდომობის აქტი“. ამ აქტის ძალით ალექსანდრე ვალდებული გახდა მოსკოვის მეფისათვის ეძლია ხარკი თავის ქვეყნის „საუმჯობესო ნაწარმოებიდან“ და მოსკოვის მეფემ კი ივალა ალექსანდრესი და მისი სამფლობელოს ყველა მტრებისაგან დაფარვა (მ. ბროსე: „პერეპისკა გრუზინსკიხ ცარეი ს როსიისკიმი ვოსლუდარამი“, გ. I-IV, 1861 წ.). რუსეთ - საქართველოს დაწყებულ „საკავშირო“ ხანას თავიდანვე ცუდიპირი გამოუჩნდა. მოსკოვის მეფემ ვერ შესძლო დაფარვა ვერც კახეთისა და ვერც ალექსანდრესი. სპარსეთის ახალ-

\*) საქართველოს ჰქონდა მისვლა - მოსვლა რუს მთავრებთან ჯერ კიდევ თამარის მეფობის დროიდან. მე-15 საუკუნეშიც კახეთის მეფე ალექსანდრე I და მისი შვილი ლევანი ანახლებენ დაახლოვებას მოსკოვის ბატონებთან მიღებულ მეზობლურ წესების საშუალებითა — საჩუქრების გაგზავნითა, მილოცვებითა და სხვა.

\*\*) იმ ხანად დაღესტანი ეჭირათ ოსმალებს. *Hist. de l'Empire Ottoman, par de la Jonquière; p. 217 - 219*);



მა მეუფემ შაჰ აბაზმა I (1587 - 1628), რომ გაიგო კახეთის დაკავშირება მოსკოვთან, 12 მარტს 1605 წელს თავის ყულის ჯარს (გვარდიას), მოსკოვის ელჩის ტატისჩევის თვალწინ, ვერაგულად მოაკვლევინა ალექსანდრე და მისი შვილი გიორგი (იქვე: გვ. 14 - 17) \*).


ალექსანდრე II-ის შვილი შვილმა თეიმურაზმა I-მა ამავე კავშირის განადღების ცდებისათვის გამოიწვია იმავე მრისხანე შახაბასის საშინელი შემოსევები (კახეთზე — 1614—1616 წ.; და ქართლ-კახეთზე ერთად 1623—1624 წ.), განადგურება კახეთისა და მისი ოჯახის დაღუპვა. 1658 წელს მოსკოვში წავიდა და ახდილად განუცხადა მოსკოვის მთავრობას „რომ იმ ხნიდან, რაც მისმა ქვეყანამ მიიღო მოსკოვის მფარველობა, შახაბასმა დაუნგრია მას სამეფო და დაუღუპა ოჯახი (დედა ქეთევანი ორი ვაჟით); ითხოვდა სამხედრო დახმარებას, მაგრამ მიიღო კვლავ მოსკოვის უარი და ძალიან უკმაყოფილო 1659 წ. დაბრუნდა სამშობლოში. ბოლოს გაათავა თავისი სიცოცხლე სპარსეთის ტყვეობაში, ასტარაბადს 1663 წელს (იქვე გ. 33) \*\*).

1692 წელს იმერეთის მეფე არჩილი და მისი ძმა ქართლის მეფე გიორგი სწერდნენ მოსკოვში: „რომ მათ ორივეს საწინააღმდეგოდ რუსეთის მომხრეობისათვის ოსმალ - სპარსთა ჯარები შეკავშირებულან—„ჩვენ ვთხოვდით მოსკოვის დიდ მეფეებს სამხედრო დახმარების აღმოჩენას, მაგრამ არავითარი შველა არ მივიღეთ“. (იქვე გვ. 132). განმარტოვებულნი იმერეთის და ქართლის მეფეები ოსმალ - სპარსელების მიერ გადაყენებულ იქმნენ ტახტიდან. მეფე არჩილი ოჯახობით სამუდამოდ გადაიხვეწა რუსეთში; მეფე გიორგი კი ჩაბარდა სპარსეთის შახს და დაიღუპა სპარსეთში. თავის გავლენის დასამკვიდრებლად ამ ხნიდან სპარსელებმა შემოიღეს წესად ქართლ-კახეთში უკვე მხოლოდ გამაჰმადიანებულ ბაგრატიონების დამტკიცება ტახტზე.

\*) რუსეთთან მოლაპარაკება და კავშირი საიღუმლოდ ხდებოდა სპარსელთაგან, რადგან ჯერ კიდევ 1602 წელს ალექსანდრე ეხმარებოდა ჯარით შახაბაზს—ოსმალების წინააღმდეგ.

\*\*\*) საერთოდ მაჰმადიანთა და კერძოდ შაჰაბაზის მძვინვარება საქართველოზე—გამოწვეული იყო სწორედ რუსეთის საფრთხის გამო, რადგან შაჰაბაზს ამ დროს დიდ ოსმალეთთან და პორტუგალიასთანა ჰქონდა ბრძოლა, რისათვის ინგლისელებსაც კი დაუკავშირდა სამხრეთში და ჩრდილოეთით კი პატარა საქართველო უკვე დიდ რუსეთს ეპატიებოდა. (Hist. de la Russie par Al. Rambaud: 1918)





ბოლოს, როგორც იყო, მე-18 საუკუნის დასაწყისში რუსეთი დაიძრა კავკასიის გზით, კასპის ზღვის პირით, სპარსეთისაკენ. 3 აგვისტოს 1722 წ. პეტრე დიდმა, თერგის ნაპირზე მოსულმა ჯარით, მისწერა ქართლის მეფეს ვახტანგს მე-VI: მივდივარ თარქისაკენ. იქიდან წავალ დარუბანდას და ბაქოსაკენ. ჩემის აზრით, თქვენის ჯარით უნდა შემიერთდეთ დარუბანდ - ბაქოს შუა“-ო (იქვე გვ. 145). ვახტანგ მეფე 40.000 ლაშქრით დაბანაკდა განჯაში და ელოდებოდა, თანახმად პირობისა, პეტრე დიდის შემოთვლას ბრძოლის გასაწყებად, მაგრამ ამოდ. პეტრემ ანაზღეულად შესწყვიტა ლაშქრობა და დაბრუნდა პეტერბურგში; ვახტანგის სამეფო გაბრაზებულ ოსმალ - სპარს - ლეკების ურდოების მსხვერპლად შეიქმნა. 1724 წ. ლეკების დახმარებით ოსმალებმა დაიჭირეს და გაანადგურეს ტფილისი\*). მეფე ვახტანგმა კი 2000 საუკეთესო მოწინავე ქართველობით დასტოვა სამშობლო და შეიხიზნა რუსეთში; უთავოდ და უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანა ახლა მთლად თურქ - ლეკების სათარეშო ასპარეზად გადაიქცა

1795 წელს ერეკლე მე-II-ს ელჩი პეტერბურგში თ-დი გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის მთავრობის სახელზე მიმართულ ნოტაში კატეგორიულად უყენებს სამხედრო დახმარების საკითხს: „ეხლანდელი სპარსეთის ბატონი ალა - მაჰმად - ხანი აპირობს საქართველოზე თავდასხმას და მე, ჩემი მოვალეობის თანახმად, უმორჩილესადაა გთხოვთ მაცნობოთ: ინებებს თუ არა რუსეთის უმაღლესი მთავრობა, 1783 წ. ტრაქტატიდან გამომდინარე ვალდებულებათა ძალით, მოგვაწოდოს ჩვენ სამხედრო დარაზმულობა? (პროფ. ა. ცაგარელი: „გრამოტები“, ტ. II, საბუთი № 247). როგორც ცნობილია, ალა მაჰმადხანმა აიღო ტფილისი 11 ეკენისთვის 1795 წ., რუსული რაზმი კი ჩამოვიდა ტფილისში მხოლოდ დეკემბერში 1795 წ., როდესაც საქართველოს დედა ქალაქი მთლად იყო დანგრეული, მთელი სიმიდირენი გატაცებული და 30.000 ქართველი ტყვედ წასხმული.

ხუთი წლის შემდეგ, 11 საუკუნოვანი ბაგრატიონთა სამეფო შემოსულ ძლიერ რუსულ ჯარით გაუქმებულ იქმნა, თვით ბაგრატიონები სამშობლოდან განდევნილნი და საქართველო შეერთებული რუსეთთან, როგორც დაპყრობილი ქვეყანა. ასეთი ბედი ეწვია ქართ-

\*) რადგან პეტრე დიდმა ვახტანგისაგან საიდუმლოდ, ფრანგების შუამავლობით, მორიგებით გაათავა საქმე ოსმალებთან, სპარსეთის ხარჯზედ. (Hist. Russe, A. Rambaud).



ველ მეფეებს და მათ სამეფოს, რუსეთთან დაკავშირებით და მისი დახმარების ძეგნით.

ამ ხნის განმავლობაში მას შეეწირა თითქმის ყველა დასახელებულ მეფის ტახტი, ზოგისა სიცოცხლე (კახეთის მეფე—ალექსანდრე მე-II, ქართლისა—გიორგი მე-XI), ზოგმა მტრის ტყვეობაში დაათავა დღენი (თეიმურაზ I-ლი), ზოგი სამშობლოდან განიდევნა (არჩილ მეფე და ვახტანგ VI). ამას თან დაერთო მათი საქრისტიანო სამფლობელოს მრავალჯერ აოხრება, უღელტა - განადგურება, გადასახლება; თბილისის აღება ორჯელ და დანგრევა (1724 წელს თურქებისაგან და 1795 წელს სპარსეთის შახის ალა - მაჰმად - ხანის მიერ). ამისავე წყალობით ქრისტიანთა სამეფოს ტახტზე, ძალით გამაჰმადიანებულ ბაგრატიონების აყვანა სისტემად გადაიქცა. და ამან სხვა მოტანილ დიდ უბედურობასთან ერთად ზნეობრივადაც დააქვეითა და დასცა ქართველ ხალხის ცხოვრება. ამ გაღებულ უდიდეს მსხვერპლის სანაცვალოდ რუსეთთან დაახლოვება - კავშირისათვის ქართველ მეფეებმა მიიღეს მათი ტახტის და ქვეყნის პოლიტიკური გაუქმება და საქართველოში რუსეთის იმპერიის გაბატონება.

მიუხედავად მუდმივი ზარალისა, ქართველ მეფეებს მაინც სწამდათ, რომ საბოლოოდ ქრისტიანული რუსეთი შეუსრულებდა წადილს. ხელმძღვანელობდნენ იმ უბრალო ანგარიშით, რომ მცირე აზიისაკენ მიმავალი რუსეთის ინტერესები მოითხოვდა წინა აზიის შესავალ კარებში ჰყოლოდა ერთგული მოკავშირე, გამთელებულ და გამაგრებულ საქრისტიანო საქართველოს სამეფოს სახით და მასთან ერთად მთელი კავკასიისაც.

მაგრამ ჩვენი წინაპრები სწორედ ამაში შესცდნენ; მოსკოვის სამეფო და მერმე მისი შემცვლელი პეტერბურგის იმპერია, შექმნილ ხელსაყრელ ისტორიულ პირობათა წყალობით, ისე არა ბუნებრივად და სწრაფად იზრდებოდა, რომ თავბრუდასხმული, — მუდამ დიდ მადიანი რუსობა სხვა არაფერზე და ფიქრობდა, გარდა იმპერიის საზღვრების გაბერვისა, ახალი სახრავის ადვილ გაჩენისა და სახელის მოხვეჭისა. მოკლებული სახელმწიფოებრივ ინტერესების ნამდვილ და ღრმა შეგნებას, რუსეთის იმპერიის მეთაურობა შედიოდა ახალ შემოერთებულ ქვეყნებში ყველგან ერთი პრიმიტიული იარაღით ხელში. ერთში შალაშინი ეჭირა, მეორეში კი ნაჯახი. სადაც შალაშინი არ სჭირდა იქ ურჩებს ნაჯახით ასწორებდა. ამით აიხსნება, რომ ასე უგუნურად სამიათასწლოვან კულტურულ ქართველ



ერის სხეულზე რუსულ შალაშინით გაიარა და თავის პირველი მოკავშირეები კი—უძველესი ნიჭიერი და მამაცი ხალხი ყაბარდო - ჩერქეზები ნაჯახით აიხეა : მრავალი ამოხოცა, ზოგი ზღვაში გადაყარა და დიდი ნაწილი კი ოსმალეთში გადარეკა.

\* \* \*

ყველაფერი ეს მწარე ისტორ. სინამდვილეა. მართალია რუსულ უგუნთრობას შეეწირა საქ. სამეფოს უძველესი ტახტი და ქართველების ეროვ. თავისუფლება, ორი საუკუნის მანძილზე აუარებელი მსხვერპლით, მაგრამ ქართული ღრმა, ბრძნული შეგნება დაადასტურებს, რომ მისი გამოჩენილი წინაპრები საბოლოო მთავარ ანგარიშში მაინც არ შემცდარან.

მათ გამოიყენეს ძლიერი ჩრდილოეთის ფაქტორი თავის ქვეყნის მახლობელი თუ არა მის შორეულ მომავლისათვის მაინცა: მოაშორეს კაი ხნით ქართველ ხალხზე მოწოლილი გამსრესი გელაზი ოსმალეთ - სპარსეთის ძალადობისა და ჩრდილოეთის საშუალებით ამ ქვეყნების განთქმული სამხედრო ძლიერება არარაობად აქციეს.

მიუხედავად რუსულ ასიმილატორულ, საზარად ბრიყვ და მსუსხავ პოლიტიკისა მე-19 საუკუნის მანძილზე ქართველობას მიეცა დრო თავისი უმთავრესი სამი იარის განკურნებისა: საგრძნობლად დაკლებულ მოსახლეობის ბევრად გაზრდისა, დაყოფილ დაქუცმაცებულ ქართველ ერის ორგანიზულად გამთვლებისა და ოსმალეთის მიერ წართმეულ ერთი მესამედი ქართულ მიწა - წყლის, ძველ ტაოსკარიდან მოყოლებული, უკან დაბრუნებისა.

მე-20 საუკუნის კარს იგი მოადგა ფიზიკურად მომაგრებული, მთლიანი და თავის ძველ ისტორიულ საზღვრებს მიბჯენილი.

\* \* \*

ახლა დავაკვირდეთ ჩვენი საუკუნის საქართველოს და მის გარშემო აღმოცენებულთ ახალ დიად მოვლენებს. ავწონ - დავსწონოთ და შევაფასოთ თანამედროვე ჩრდილოეთის ანუ რუსული ფაქტორის როლი, სიძლიერე და მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს საგარეო მდგომარეობაში?

ამისათვის აუცილებელია გავიხსენოთ მე-20 საუკუნის სათავიდან მომდინარე მთავარი ისტორიული ამბები. ჩავკვეთ მათ ქრონოლოგიურად.

1904 წელს შორეულ წყნარ ოკეანეს ნაპირზე გაჭრილ ბუმბე-




რაზ რუსეთს თავს დაესხა პატარა ქვეყანა — იაპონია; ერთი წლის განმავლობაში იაპონელები ზღვაზე და ხმელეთზე საშინლად ამარცხებენ რუსებს და აიძულებენ ზავის მოთხოვნას. ომში დამარცხებამ გამოიწვია რუსეთში 1905 წლის რევოლუცია. შუბითა და მახვილით გაზრდილ უზარმაზარ რუსეთის სხეულზე სახიფათო ბზარები აღმოაჩნდა. რუსულ ბუნტარულ რევოლუციურ მოძრაობას დაერთო დაპყრობილ არა რუსთა ერების ამოძრავებაც. ფინლანდიის, ბალტიკის, პოლონეთის, უკრაინის და კავკასიის მხარეები უკდურეს რევოლუციონურ პარტიების სარბიელად შეიქმნენ. ნიკოლოზ მე-II ჯარმა დიდის გაჭირვებით გარეგნულად აღადგინა იმპერიის სიმშვიდე; რევოლუციური ჯანყი მიუყრბულ მოძრაობის სიღრმეში მოექცა. ასე გაგრძელდა მსოფლიო ომამდე. ყველა გრძნობდა დიდ ომის მოახლოვებას და იმასაც, რომ ახალ ომს ნიკოლოზის იმპერია ველარ გაუძლებს და დაიშლება. ამ ნიადაგზე არა რუს ერების ქვეყნებში ომამდის ჩნდებიან სხვა და სხვა ფარული ნაციონალური ჯგუფები და ორგანიზაციები. ყველა ამათი ყურადღება ალლოთი მიქცეულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაკენ, სადაც საკმაოდ დაგროვილია ომის ასაფეთქებელი მიზეზები. საქართველოს გულის ყურიც დასავლეთისაკენა მიპყრობილი. ყველა ქართველი პატრიოტი დარწმუნებულია, რომ ომის შემთხვევაში საქართველო უსათუოდ მოხვდება დასავლეთ ევროპიდან გადმოსროლილ ძლიერ ტალღაში. ეს გამართლდა კიდევ: 1914 წელს იფეთქა დიდმა ომმა და მალე მთელ მსოფლიოს მოედო: რუსეთის ჯარმა ვერ გაუძლო გერმანულ რკინის ლეგიონების სამი წლის დარტყმებს; შეინძრა და 1917 წელს იწყო ნგრევა და ყველა ფრონტებიდან უეცრივი უკან დახევა: შეჭრილი მცირე აზიის შუა გულამდე (სომხეთის ქ. ვანამდე) რუსის ჯარმა მიუტოვა გახარებულ თურქებს საბოლოო გასაჯიჯგნად თავისი მოკავშირე საბრალო სომხის ხალხი და რამდენიმე კვირაში დასცალა ამიერ-კავკასიის გამაგრებული საზღვრები: ძველი ნავალი გზებითა და ძველის გეგმებით (იხ. ჯემალ ფაშის მემუარები) თურქების ჯარი ვეხიბ - ფაშის სარდლობით შემოიჭრა დაუფარავ საქართველოს და ამიერკავკასიის მიწა-წყალზე \*).

\*) ანაზღეული მიტოვება საქართველო-ამიერკავკასიისა რუსის ჯარის მიერ ძველი ქრონიკული ამბავია:

1722 წელს პეტრე დიდის რუსის ლაშქარმა უეცრივ მიატოვა თავისი მოკავშირის ვახტანგ VI მცირე ქართული ჯარი და მისი ქვეყანა თურქებს გადაულოცა : 1724 წელს 24 ივნისს რუსეთ - ოსმალე-





საქართველო იხსნა რუსეთზე გამარჯვებულმა გერმანიამ. მან შეაჩერა თურქების წინსვლა და დაიფარა მისი საზღვრები: თუმცა ქართველობა ამ დიდ ისტორიულ მომენტისთვის ჯერ არ იყო სათანადოთ მზათ, მას კიდევ აკლდა ეროვნულ - ორგანიზაციული სიმტკიცე და გახვეული იყო ასწლოვან რუსულ გავლენის ბურუსში, ნაგრამ ხალხი მიხვდა რომ მისი ჩრდილოელი ბატონის საქმე წამხდარია; დაინახა რომ დახეულ ჩრდილოეთის ზვირთს თან სდევს მხსნელი დასავლეთის ტალღა და მის ადგილს იჭერს: ევროპის ძალთა დახმარებით თავისუფლდება პოლონეთი, ფინლანდია, მათ ემატება ბალტიის ქვეყნები, უკრაინა.

26 მაის 1918 წელს გერმანულ ფარს ამოფარებული ქართველი ერი აცხადებს თავის ქვეყნის დამოუკიდებლობას: ამავე წლის ბოლოს დამარცხებულ გერმანიას—ამიერ კავკასიაში სცვლის გამარჯვებული ინგლისელთა ჯარი.

ოსმალეთის იმპერიაც იმსხვრევა: მას ჩამოსცილდა მრავალი მნიშვნელოვანი მხარე—მესაპოტამია, არაბეთი, სირია და სხვა, სადაც მტკიცდება გავლენა და ბატონობა უძლიერეს დასავლეთის ქვეყნებისა—ინგლის - საფრანგეთისა. იტალიაც იჭერს მთელ რიგ მნიშვნელოვან კუნძულებს მცირე აზიის ნაპირებთან.

ხუთი საუკუნის განმავლობაში ჩაკეტილი დარდანელის სრუტე გაიხსნა: შავი ზღვაც თავისუფალ ზღვად გადაიქცა. საქართველოს მოშორდა თავიდან ძველი გამანადგურებელი თურქული საფრთხე და კვლავ გაეხსნა თავისუფალი გზები დასავლეთ კულტურულ ქვეყნებისაკენ: ქართველები ენტუზიაზმით შეუდგნენ ხელ შემწყობ პირობებში თავის ძველ კერის აღდგენა - გამაგრების საქმეს. მათ ესაჭირობოდათ მხოლოდ ათიოდე წელიწადი, რომ გაეწმინდათ ქვეყ-

თის შორის დადებულ შეთანხმების ძალით ოსმალეთს დაეთმო: საქართველო, შემახია, შირვანი, თავრიზის მხარენი; რუსეთი კი იტოვებდა კასპიის ზღვის სპარსეთის კუთვნილ ნაპირებს—გილანის, მაზანდარანის, ასტრბადს, ბაქოს და დერბენტის სახანოებს. (ა. ცაგარელი: მე-18-ე საუკუნის სიგელები ტ.2 გვ.2 1902წ.)

1770წ. ასპინძის ბრძოლაში რუსების მაშველი ჯარი გენერალ ტოტლებენის სარდლობით სტოვებს მეფე ერეკლეს მცირე ქართულ ძალით მარტოს, მრავალრიცხოვან თურქთა ჯარის წინაშე (იქვე ტ. I, გვ. 14).

თანახმად რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატისა 1783წ: დეკემბერში პოლკ: ბურნაშევის უფროსობით საქართ-



ნის არე-ნარე და ჰაერი სულთამხტავ ტლანქ რუსეთის ბატონობის ნაშთებისაგან — იდეურსა და საქმიანობის სფეროში. მაგრამ ეს მათ არ დასცლდათ.

\* \* \*

1917 წელს, შემოდგომას, რუსეთში გაბატონდა ახალი რევოლუციური ძალა - უფლება: რუს ბოლშევიკურ (კომუნისტურ) პარტიისა.


3 მარტს 1918 წელს უძლური მოსკოვის ბოლშევიკური მთავრობა ქ. ბრესტიტოვსკში საზავო მოლაპარაკების დროს სდებს ხელშეკრულებას თურქებთანაც, რომლის ძალით მათ ეთმობათ საქართველო - სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილები: ყარსით, არდავანით, მთელი ჭოროხის ხეობით და ბათომით. ოსმალეთი კვლავ იჭერს ამიერ კავკასიაში მის მთავარ სამხრეთ სიმაგრეებს და ბათომის ხელში ჩაგდებათ ფეხს იკიდებს კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე (ნაწილობრივად სრულდება რუსეთის გენერალური შტაბის 1915 წლის ზრახვა).

ამავე დროს ბოლშევიკური დიპლომატია თავის საგარეო მიზნების მისაღწევად უკავშირდება მუსტაფა ქემალის მეთაურობით დაწყებულ სამხედრო რევოლუციურ მოქმედებას და მოძრაობას თურქეთში. ეხმარება მას უხვად ფულითა და იარაღითა. ქემალი იმარჯვებს და ხდება ბატონ-პატრონი ახალ თურქეთისა: ძველი მტრები — რუსეთი და ოსმალეთი — ეხლა მეგობრდებიან: საკმაოდ მომაგრებული ს მოსკოვის კრემლში, დაკავშირებულს ქემალის თურქეთთან.

ველოში შემოდის რუსული დამხმარე რაზმი სამი ბათალიონის შემადგენლობისა: 19 აგვისტოს 1787 წელს თავადი პოტიომკინი მოულოდნელად უბრძანებს ბურნაშევს გამოძევანოს საქართველოდან რუსული ბათალიონები: ეს ბრძანება ბურნაშევს მოუვიდა 13 ენკენისთვის, როდესაც მეფე ერეკლესთან ერთად ემზადებოდა განჯის ციხის იერიშით აღებისათვის: განჯელები ნებდებოდნენ, და მიუხედავად მეფე ერეკლეს ხვეწნისა, ბურნაშოვმა ახსნა ალყა და გასწია რუსეთისკენ: „რატომ მიგყავთ ბათალიონები და გვაგდებთ დიდ უბედურობაში, გაგვაგებინეთ“ სწერდა შეწუხებული მეფე პოლკ. ბურნაშევს. (ბუტკოვი, ტ. II, გვ.: 99, 179, 194, 197).

1796 წ. ოქტომბერს, ეკატერინემ გაგზავნა სპარსეთისაკენ სალ-აშქროდ გრაფი ვალერიან ზუბოვი დიდის ჯარით: ზუბოვი ჩავიდა მდ: არაქსამდე, მოიხზრო საბრძოლველად ყველა ქრისტიანენი — სომხები, აისორები და სხ. მაგრამ 6 ნოემბერს 1796 წელს გარდაიცვა-





ბოლშევიკურ მთავრობას ეძლევა იმედი ამიერ კავკასიის გამდგარ ერთა და მათ სიმდიდრეთა დამორჩილება და დაპატრონება. კავკასიიდან ინგლისის ჯარის ევაკუაცია 1920 წ. ხელს უწყობს მის უარულ განზრახვებს.

1920 - 21 წ. გაზაფხულამდე მოსკოვის წითელი ჯარები თანდათანობით და ბრძოლით იპყრობენ აზერბაიჯანს, სომხეთს და ბოლოს საქართველოსაც, მიუხედავად ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობის მათ მიერ ერთი წლის წინად ცნობისა (7 მაისს 1920 წ.).

ამიერ კავკასიის ახალი მებატონენი მაშინათვე მიიმართებიან თავის მოკავშირეებისაკენ — თურქებთან და 21 ოქტომბერს 1921 წელს, ყარსში, „ამიერ კავკასიის რესპუბლიკების“ სახელით განსაკუთრებულ ხელშეკრულებაში უდასტურებენ საქართველო - სომხეთის ერთი მესამედი კავკასიურ ტერიტორიისა (გარდა ბათუმისა) თურქეთის რესპუბლიკის საკუთრებად გადასვლას.

ამიერიდან საქართველო და მთელი კავკასია რუსეთ - თურქეთის პოლიტიკურ კავშირის რკალში მოექცა.

ლა დედოფალი ეკატერინე და პავლე 1-მა უბრძანა ზუბოვს დაუყონებლივი დაბრუნება ჯარით რუსეთში. თავზარდაცემული მრავალი სომხობა გაეკიდა უკან მიმავალ რუსის ჯარს და გადაიხვეწა სამუდამოდ სტავროპოლის გუბერნიაში. (დუბროვინი, ტ. III, გვ. 147—148).

ჩვენს დროში ასეთივე ამბავი მზადდებოდა 1915 წელს დიდ ომის ხანაში. როგორც გადმოგვცემს დენერალი ე. ვ. მასლოვსკი თავის წიგნში — „მიროვია ვოინა ნა კავკაზსკომ ფრონტე 1914-1917 წწ.“, გ. 421, ჯერ კიდევ დიდ ომამდე რუსეთის გენერალურ შტაბის რუსეთის თავდაცვის სტრატეგიული გეგმის თანახმად, გადაწყვეტილი ჰქონდა: მტრის ძალთა უპირატესობის და საზღვრების დაცვის შეუძლებლობის შემთხვევაში, მიტოვება ამიერ-კავკასიისა და გამაგრება კავკასიის უღელტეხილზე და თურქების წინსვლის აქ და... ბაქოსკენ შეჩერება

1915 წ. ზამთარში ენვერ-ფაშის შემოტევამ სარიყამიშის გზით მართლაც გამოაქედა რუსების ეს ფარული განზრახვა: ტფილისში დაიწყო რუსულ დწესებულების ევაკუაცია: ნაწილი გადაიხვეწა როსტოვში. მხოლოდ შემთხვევით ბედმა (სუსხმა ყინვიანმა ზამთარმა, რომელმაც რამოდენიმე ათასი თურქი გაყინა) არაგუნა გამარჯვება რუსის ჯარს. ენვერი დამარცხდა და რუსის ჯარის უკან დახევაც შეჩერდა.



\* \* \*


თუ მე-19 საუკუნეში რუსეთის ფაქტორი საქართველოს თავის დაუნებურად დამხმარე ძალად გამოადგა, ესლა იგი საწინააღმდეგო როლში გამოჩნდა. შეიძლება დარწმუნებით აღიარებულ იქმნას, რომ ბოლშევიკურ მოსკოვის ძალა - უფლების განმტკიცების ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში თბილისში და კავკასიაში მოსკოვ - ანგორის კავშირი ედო საფუძვლად \*).

ამიტომ არც არავის გაჰკვირვებია, ამ რამოდენიმე წლის წინად გავრცელებული ხმები (მერმე საბუთებით დამტკიცებული), რომ ომის შემთხვევაში თუ იაპონია თავს დაესხმებოდა რუსეთს, ამ უკანასკნელს, თურქებთან მორიგებით, გაჰყავდა თავისი კავკასიური ჯარი დაამიერ კავკასიის დაცვას ანებებდა თავის მოკავშირე თურქებს.. მხოლოდ ამ მიმართულებით მოსკოვი უფრო შორსაა წასული; ამ ხანად იგი სცდილობს განახლებულ სპარსეთის თურქებთან დაკავშირებით, კავკას. ერებს ყოველ მხრიდან მუხრუჭი მოავლოს და ამისათვის მოსკოვი მზად არის გააბათილოს თურქმანჩაის \*\*) ხელშეკრულება სპარსეთთან ე. ი. ომის შემთხვევაში, ბაქოს ნავთის წყაროების შენარჩუნებისათვის, მოსკოვი თანახმაა ამიერ კავკასიის ერები ფაქტიურად კვლავ თურქ - სპარსელებს გადულოცოს. ამ

\*) რუსის გამოჩენილი სამხედრო მეცნიერი პროფ. გენერალი გოლოვინი ჯერ კიდევ 1924 წ., თავის წიგნში „მოსაზრებანი მომავალ რუსეთის სამხედრო ძალის მოწყობაზე“ (გვ. 79 - 81), უკარნახებდა ახალ რუსეთს: მთავარი ბრძოლის ფრონტი რუსეთისათვის — **დასავლეთია**. რუსეთის სამხედრო ძალთა სტრატეგიული ანგარიში უნდა ეყრდნობოდეს დასავლეთთან ბრძოლის პირობებს. რაც შეეხება სამხრეთის ფრონტს (კავკასია-თურქისტანს), რუსეთის დიპლომატიას შეუძლიან ამ ფრონტზე ბრძოლის ლოკალიზაცია. ამ მხრიდან, მხოლოდ ოსმალეთისაგანაა მოსალოდნელი ომი. მაგრამ ახლა უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი დიპლომატია აღარ გაიმეორებს ძველ შეცდომებს (დიდი ომისა) და ოსმალეთის **მოკავშირედ** დარჩება. მით უფრო რომ დარდანელის სრუტეს დაპატრონებას თვით რუსეთი დიდ ხანს ვერ შესძლებს და ეს შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ **მოკავშირე და სუსტი ოსმალეთის** საშუალებით.

\*\*) თურქმანჩაის ხელშეკრულების (1828 წ. 10 თებ.) ძალით რუსეთმა ჩამოართვა სპარსეთს ერევნის და ნახჭევანის სახანოები (ს. კაკაბაძე „ახალი საუკუნოების ეპოქა“, 1920 წ. თბილისი).





უამად ეხლანდელი რუსეთის მიერ შექმნილ საკავშირო პოლიტიკურ კომბინაციებში საქართველო - სომხეთს სრული გამოჰყლელთა მოელის, რადგან მოსკოველთა პოლიტიკის კარნახით ორივე მხარე (ჩრდილოეთი და სამხრეთი) უსიტყვოდ მორიგებული არის ერთს მთავარ, საერთო და საბოლოო ამოცანაში: არ დაუშვან საქართველო — კავკასიის ერების ფეხზე წამოდგომა და თავისუფალ კავკასიის შექმნა. მით უფრო, რომ გაჭირვების უამს მოსკოვი მეტად ხელსაყრელ პირობებს უდგენს თავის სამხრეთ მეზობლებს: ამიერკავკასიის უხვ მიწა-წყლის და მისი სიმდიდრეთა ერთმანეთში გაყოფას.

\* \* \*

რუსულ პოლიტიკის მზაკვრული ბუნების ხასიათი თავისი შედეგებით საქართველოს სამი საუკ. მანძილზე კარგად აქვს გამოცდილი, ამიტომ ასეთი აბრუნდი დღესაც მისგან მოსალოდნელია. მით უფრო, რომ მისი შინაური და საგარეო საქმენი ამ ჩვენს დროს მეტად გართულებული აქვს.

უკვე კაი ხანია ქვეყნიერებას დაუმტკიცდა, რომ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში საბჭოთა მთავრობას თავის იმპერიაში ჩამბულ ერების ცხოვრება შედარებით ძველ დროსთან, არამც თუ გააუმჯობესა, არამედ ისეთ მდგომარეობაში ჩაადლო, რომ სხვა არა იყოს რა საბჭოთა მოქალაქეების დიდ უმრავლესობას, პურის ქვეყანაში, აქამდის შავი ლუკმა ბურიც კი ენატრება.

გამორკვა ცხადლივ ისიც, რომ არა რუს ერებში, მოსკოვისადმი გამჯდარ საშინელ სიძულვილთან ერთად, ეროვნულ თავისუფლებისადმი მისწრაფების სულისკვეთება უფრო გაღრმავდა, გაკაყდა და მხოლოდ შესაფერისს წუთს მოელიან, რომ მისი უღელი თავიდან აიწყვიტონ და შორს გადაისროლონ.

ასეთ შინაგან მდგომარეობაში მყოფ საბჭოთა სახელმწიფოს საკმაოა გარედან ვინმე დაეტაკოს, რომ მისი რუსული ბოლშევიკური შენობაც მაშინადვე დაიფუშოს.

ვინც ყურადღებით თვალს ადევნებს ჩვენი დროის მსოფლიო მოძრაობას, იგი უსათუოდ შეამჩნევს, რომ სწორედ მოსკოვის სამფლობელოს ემუქრება ქვეყნიერობის ამოძრავებული სტიქიონები.

დასავლეთიდან მის მთავარ საბინადროს — აღმოსავლეთ ევროპის ველებს, უმიზნებს მძლავრი ტალღა ევროპისა. შორეულ აღმოსავლეთიდან კი მოგორავს ზენი მრავალ მილიონიან ყვითელ კანიანთა ადამიანებისა.



ამ ორ სტიქიონთა შორის მანძილით და მიზნის მიხედვით უფრო მოახლოვებული და სახიფათო მოსკოვის საბატონოსათვის ევრობიელთა მოძრაობაა. უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთის ტალღა ჩვენს ხანაში ურალამდეც ვერ მოაღწევს, მაგრამ დასავლეთისა კი მოსკოვს კარსაა მიმდგარი. აქედან კაი ხანია მზადდება მთავარი და მაგარი საბედისწერო დაკვრა. საბუთიც აქვთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ევროპის ვიწრო სივრცეზე დასახლებულ ხალხებს, ამ ერთი საუკუნის სივრცეზე, ასი მილიონი მცხოვრები მოემატა. განსაკუთრებით გერმანია - იტალიის ქვეყნებში. ამასთანავე ვარგისი მიწების ნაწილიც გამოიფიტა, ნაწილი დაქუცმაცდა მომრავლებული მცხოვრებთა შორის.

წინად ევროპის ემიგრაციას სხვა ქვეყნებში კარი ღია ჰქონდა, ეხლა იგი ყველგან დაეკეტა (ამერიკის, აფრიკის და სხვა კონტინენტებზე), მათს ბუნებრივ და მძლავრ ექსპანსიას, ამოძრავებულს მიწისა და პურის მოთხოვნილებით, დარჩა ერთად - ერთი მახლობელი და მხსნელი გზის მიმართულება: რუსეთის უშველებელ მდიდარ ველ - მინდვრებისაკენ, სადაც დღეს, მოსკოველ მთავრობის უნიჭობისა და რეგენობის წყალობით 140 მილიონი მცხოვრები გაჭირვებასა და შიმშილობას განიცდის, როდესაც მის სამფლობელოს — 1/6 ნაწილი დედა-მიწის ზურგისა — შეუძლიან ყელამდის გამოკვებოს ნახევარი მილიარდი სული. და ეხლანდელი ევროპა შეუდგა მრავალ რიცხოვან, ძირმაგარ რკინის (მოტორიან) ლეგიონების მოწყობას აღმოსავლეთ ევროპაში შესასვლად. ამ სტიქიონის ავანგარდში 70 მილიონიანი გაჭირვებული გერმანია სდგას. მისი შემჩერებული არსადა სხანს, რადგან დამშეულ მილიტარისტულ გერმანიის ამ მდგომარეობაში ყოფნა ყველა მის მოსაზღვრე ევრობიელ მეზობელს აზინებს.. ბოლოს ყველა დაულოცავს გზას აღმოსავლეთისაკენ და ალბათ მათ ტალღას სხვა გაჭირვებული ევროპელიც აჰყვებიან.

გაუძლებს თუ არა ბოლშევიკური რუსეთი ევრობიელ მილიონიან არმიებს, განწყობილთ ერთი ბუნებრივი მისწრაფებით, შეკრულთ მაგარი დისციპლინით და მდიდარ საომარ ტექნიკურ საშუალებებით? პ.სუხი ზედმეტია, წითელ მოსკოვმა ყველაზე უკეთ იცის თავისი ავლა დიდება. იცის რომ ომის დაწყების პირველ მარცხის შემდეგ თავდაპირველად იგი ჩამოვარდება და ტერორითა, შიშითა და შიმშილით შეკრული მისი საბჭოთა იმპერია დაირღვევა.

ძველ რუსულ ჩვეულებისამებრ, დღესაც, მოსკოვი მიატოვებს თავის მოკავშირე ქართველ კომუნისტებს და მათ კომუნისტურ „ზაკ-



ფედერაციის“ მხარეს მხოლოდ უკანასკნელად, მობილიზაციის წესით, რამოდენიმე წლის მოსახლეობას მოჰკრევს საქართველოში და წაასხამს რუსეთში. ამ წესით უიარაღო, უბურო და უფულო ქვეყანას თავის მოკავშირე, ფეხზე დამდგარ, გაღონიერებულ, სამხრეთის ქვეყნებს მიუგდება. და თუ ამ უკანასკნელებს გარედან უკან დამწევი ძალა არ აღმოაჩნდა, ექვს გარეშეა, ამიერ კავკასიის ერები და კერძოთ საქართველო, მათ ბატონობის უღლის ქვეშ თავს ამოჰყოფენ და კვლავ დაუბრუნდებით მე-16 საუკუნის ცხოვრების სათავეს.

\* \* \*

ამ რიგად ჩვენი დროის, ამ გარკვეულ პირობებში, რუსების საქართველოში მეორედ შემოსევამ, ისტორიული ბედით მონაგები დიდი ომის შედეგები, ქართველ ხალხს წაუხდინა. წაუხდინა შიგნით, წაუხდინა გარედან. და თვითონაც წამხდარი დღეს - ხვალ ძალაუფლებურად, მიატოვებს კავკასიას.

ხედავენ და გრძნობენ ამას დღევანდელი საბჭოთა საქართველოს ხელისუფალნი მოსკოფილი ქართველები?

პროლეტარულ „სასახლეების“, დეკორატიულ ბაღების და სხვა ამ გვარ „ღმშენებლობით“ გატაცებულები, ალბათ ვერც ხედავენ, ვერცა გრძნობენ თუ რა ხდება და მზადდება მსოფლიოში და კერძოთ საქართველო - კავკასიის გარეშე. ვერ გრძნობენ, რა მიწის ძვრა იწყობა.. რომელიც თავშივე მოსკოვს დაემუქრება..

დიდი და მძიმე პასუხისგებლობა იკისრა ქართველმა კომუნისტურმა წრემ, წამხდარი რუსეთის საქართველოში მეორედ შემოსვლისათვის ხელის შეწყობით და კეთილშობილ პატარა ქართ. ერის აღრეულ, დამწეულ, მუდამ უზომოდ მაღიან და ბნელ რუსულ მუჟიკთა უძირო მორევში (იხ. რუსული ისტორია) ჩაყუდებით.

ნუ თუ ამ ჩვენს გარდამავალ დიდ ისტორიულ ხანაში მოსკოვოფილი ქართველები საბოლოოდ მაინც თვალს არ გაახელენ და არ დაინახავენ იმ სინამდვილეს, რომ შიგნით დაშრეტილი რუსის სტიქიონი იკუმშება და დიდი ომის დაწყებიდან ყველა განაპირა მხარეებიდან უკან და უკან იწევს ძველ მოსკოვის სამეფოს ფარგლებსაკენ; და რომ ამ დახვეის დროს, გარედ უძღური, დღევანდელი მოსკოვი, საარიერგარდო დაცვის ბრძოლაში, თავის იმპერიაში შემავალ არა რუს განაპირა ქვეყნების მიწა - წყალს და ქონებას, ისტორიული ჩვეულების მიხედვით, მოწოლილ მეზობელ სახელმწი-



ფოებს უთმობს (შორეულ აღმოსავლეთი, რიგის და ყარსის ტრაქტები, ისმეთ ფაშასთან საიდუმლო ხელშეკრულება და სხვა).

მოსკოვის ქვევრში ჩამწყვედულნი, სოციალისტურ საქართველოს მართველნი ქართველი კომუნისტები თუ ამას არ ხედავენ მათ სამაგიეროდ, ჩვენ, ევროპის სინათლეზე გამოსულნი და მყოფნი, თვალნათლივ ვხედავთ თუ რა ხდება და რა მოხდება იქნებ უახლოეს მომავალში :

ჩრდილოეთი მიდის \*). დასავლეთი მოდის. მისი წინამორბედი ზვირთები ამ ოციოდე წლის წინად გადმოვარდა. ეხლა გროვდება და მოგორავს მეორე ტალღა : მაღალი, ფართე და მაგარი.

თუ საქართველოს, დაყრდნობილს, მთელს კავკასიის სივრცეზე, კავკასიელ მეზობლებთან მტკიცე დაკავშირებით, ამ დროისათვის ექნება საკმაო იარაღი, პური და ორგანიზაცია, იგი გადაურჩება ამ სტიქიონთა შეჯახების გარამავალ ხანას, თუ არა და, ადვილი შესაძლებელია, იგი უძღური, ძველებურად, ახლად მოღონიერებულ სამხრეთ მეზობელთა ჯამში დაუმსახურებელ ლუკმად ჩავარდეს.

დ. ვაჩნაძე.

### † გიორგი შაჩაბელი

ამ რამოდენიმე თვის წინად, გარდაიცვალა ამერიკაში საქართველოს დიდი პატრიოტი, ქართ. სათ.-აზნ. გიმნაზიაში აღზრდილი და გერმანიაში უმაღლეს სწავლა დამთავრებული, უშიშარი რაინდი — გიორგი შაჩაბელი. მისი მოკლე მაგრამ გასაოცარი ღირსებებით

\*) იხ. გენერალ გოლოვინის წიგნი : „საით მიდის ველიკობრიტანია?“, თავი მეოთხე. 1935. გამომცემლობა „მირ“. რიგა.



დაჯილდოვებული სიცოცხლე მტკიცედაა ჩაქსოვილი საქართველოს განთავისუფლებასთან; და თუ აქამდის ღირსეულად არ არის შეფასებული, აიხსნება მხოლოდ მისი თავმდაბალი მორიდებით და ღრმა



შეგნებით, რომ დიდი საქმეები არ კეთდება კვეხნით, ბრახუნით და პრეკვიალა სიტყვებით. „საქართველოს განთავისუფლებელი კომიტეტი“, განთავისუფლებული საქართველო და მომავალი თაობანიც იამაყებენ იმ თავგადასავალით, რომლითაც ძვირფასმა გიორგიმ დაამშვენა ერთ - ერთი ულამაზესი, უსაშიშროესი და უღრმესი განცდებით სავსე ფურცელი ჩვენი ახალი ისტორიისა.

ჟურ. „სამშობლო“-ს შემდეგ ნომერში, რედაქცია ეცდება დაბეჭდოს მისი სრული ბიოგრაფია.



## † ჯოტო შარვაშიძე

მოულოდნელად გარდიცვალა სტამბოლში საქართველოში კარგად ცნობილი მრეწველი და საზოგადო მოღვაწე ჯოტო შარვაშიძე.

განსვენებული ეკუთვნოდა ქართველ თავად-აზნაურობის იმ წრეს, რომელმაც შესძლო საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი დიდ ცვლილებებთან შეგუება, ამის შესაფერისად შრომა და მოქმედება ს.ზოგადო, თუ კერძო ცხოვრების ასპარეზზე.

წინაპართა მემკვიდრეობა, აღზრდა და არც ის წრე, რომელშიაც ის ცხოვრობდა, არ უწყობდა ხელს განსვენებულის მოღვაწეობას ამ სრულიად ახალს სფეროში. მაგრამ განსვენებულის რეალისტურმა ბუნებამ და ნიჭმა გადალახა ეს დებრკოლებანი და ჯოტო შარვაშიძეს ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი მიანიჭა აფხაზეთის ეკონომიურს ცხოვრებაში.

მაგრამ საქართველოში და თვით აფხაზეთში კიდევ უფრო ცნობილია განსვენებულის მოღვაწეობა სხვა ასპარეზებზე.

რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში მუდამ გამსჭვალული იყო სურვილით, რომ აფხაზეთი სულიერად და ხორციელად დაემორჩინა საქართველოს და გამხდარიყო რუსიფიკატორული პოლიტიკის იარაღად. ქართული ენა, ქართული ეკლესია და ყოველგვარი ქართული საქმიანობა აფხაზეთში დიდს დევნას განიცდიდა. ჯოტო შარვაშიძე ფრიად აქტიური წევრი იყო აფხაზეთის მოღვაწელთა იმ წრისა, რომელიც სასტიკს ბრძოლას უცხადებდა რუსეთის ასეთს ზრახვებს. დიდძალი შრომა და მატერიალური საშუალება აქვს დახარჯული განსვენებულს ასეთი-ბრძოლის ასპარეზზე. საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაშიაც არ შემწყდარა რუსეთის ასეთი პოლიტიკა აფხაზეთში. მას სისტემატიურად აწარმოებდნენ თეთრი თუ წითელი რუსეთის ძალები და ჯოტო შარვაშიძე და მისი წრე გაორკეცებული ენერგიით იბრძოდა საქართველო - აფხაზეთის ერთობის დაცვისა და განმტკიცების ნიადაგზე.

როდესაც საქართველოში დაარსდა ეროვნულ - დემოკრატიული პარტია, რომელმაც დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების საღს ეროვნულ ნიადაგზე აშენებისათვის მუშაობა, ჯოტო შარვაშიძე ამ პარტიის აქტიური მოღვაწე გახდა და მის მუშაობას მეთაურობდა მთელს აფხაზეთში.

მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული ფრიად მომქმედი და



აქტიური მებრძოლი იყო ცხოვრების ყველა ამ ასპარეზებზე. დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ყველასთან და თვით მოწინააღმდეგეთა რიგებშიც. ეს აიხსნება იმით, რომ განსვენებული მეტად კეთილშობილი, გულკეთილი და რაინდული ბუნების ადამიანი იყო. სავსებით ბუნებრივია, რომ ჯოტო შარვაშიძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ერთსულოვანი მწუხარება გამოიწვია ქართულს ემიგრაციაში.

ასე ერთსულოვან მწუხარებით შეხვდებიან საქართველოში ამ ამბავს ყველანი, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა განსვენებულთან, საქვეყნო საქმიანობისა თუ პიროვნულ - მეგობრულ ურთიერთობის ნიადაგზე.

მეგობარი.

### † ა ლ ე ქ ს ი მ დ ი ვ ა ნ ი



უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა ისპანიის მიწაზე ჩენი თანამემამულე ალექსი მდივანი. განსვენებული იყო შვილი გენერალი ზაქარია მდივნის, რომელსაც უმაღლესი სამხედრო თანა-



მდებობანი, ეჭირა ჩვენში, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. თვით ალექსი მდივანი, ჯერ სულ ახალგაზდა, 28 წლის ჭაბუკი, უკვე საკმაოდ ცნობილი იყო ქართულს საზოგადოებაში.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განსვენებული აქტიურად იყო ჩაბმული ქართულს საზოგადოებრივს საქმიანობაში და დიდძალი დახმარებაც გაუწია ევროპისა და შორეულ აღმოსავლეთის ქართველების კულტურულ და საქველმოქმედო საქმიანობათ.

ჯერ სულ ახალგაზრდას, მ.ს უკვე განვლილი ჰქონდა ცხოვრების მძიმე სკოლა. განსვენებულს განაცადი ჰქონდა მრავალი ემიგრანტული გაჭირვება და მძიმე შრომა და შემდეგ ამის თავის დაღწევა და ქონებრივი კეთილდღეობის მოპოვება.

სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობებთან ერთად, ალექსი მდივანს ჰქონდა მრავალი ისეთი თვისება, ნიჭი და შესაძლებლობა, რომ მას მრავალი სამსახურის გაწევა შეეძლო თავის ერისათვის, რომ დასცლოდა. მისი ცხოვრების ასე უდროვოდ და ტრალეკულად დასრულებამ ერთსულოვანი მწუხარება გამოიწვია ქართულს საზოგადოებაში.

## ს ა ზ ა რ მ ო ა მ ბ ე ბ ი

### სპარსეთი და რუსეთი

27 მარამ. 1935 წ. თეირანში საბჭოთა რუსეთმა და ირანმა (სპარსეთმა) დასდეს ხელშეკრულება, რომლის ძალით.— 1931 წ. ირანში გამოცხადებული ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის 80% მთლად მოქცეულია რუსეთის ორბიტაში. ამ ხელშეკრულებით სპარსეთი ვალდებულია თავისი ნაწარმოები — ბრინჯი, ბამბა, ცოცხალი საქონელი, ტყავეულობა, მატყლი, ხალიჩები, ხმელი ხილი და სხვა გადასცეს მოსკოვის ხელისუფლებას. სამაგიეროდ რუსეთი ვალად იდებს ირანის სახელმწიფო მონოპოლიას მიაწოდოს მისი ეკვივალენტი: შაქარი, ფართლეულობა, ასანთი, ჭურჭლეულობა და ლითონის ნაწარმოები. ამის გარდა მთელი რიგი დამატებითი ხელშეკრულების ძალით, რუსეთმა იკისრა ირანის ინდუსტრიალიცია: მანქანების შეტანა და სხვა და სხვა ქარხნების აშენება. მოსკოვი აწყობს ირანში აგრეთვე განსაკუთრებულ ორგანიზაციებს — საბეთლოს და კალიასთან საბრძოლველს. რომ სურათი მოსკოვის



გავლენისა ღღევანდელ ირანზე სრული იყოს, უნდა გავიხსენოთ მთელი რიგი კულტურულ დემონსტრაციებისა: არქეოლოგიური გამოფენა სპარსული ისტორიული ხელოვნებისა ლენინგრადში; ფირდუსის ათასი წლის დიდი ზეიმით მოწყობილი იუბელე (შარ-შან), ირანის მეცნიერების და მწერლების კონგრესის გამართვა (გახსნილა 12 ენკ.) ლენინგრადში და სხვა („ლე ჟურნალ დე მოსკო“, 6 ენკ., 1935, № 36).

### ოსმალეთი და რუსეთი

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ქემალის ოსმალეთი დასაბამიდანვე მჭიდროთ იყო დამოკიდებული რუსეთისაგან და უკანასკნელის ოქრო, იარაღი, და ყოველგვარი დახმარება უხვად მიემართებოდა ანგორისაკენ. და ეხლა, როგორც გადმოგვცემს მთელთა ჟურნალის — „სევერნი კავკაზ“, № 15, — სპეციალური კორესპონდენტი ანგორიდან, საბჭოთა რუსეთი, ნაცადი მეგობრის საფარველ ქვეშ სცდილობს თავისი კაპიტალებით ჩაიგდოს ხელში ოსმალეთის მთელი ბაზარი: ე. წ. „უბროცენტო“ სესხის ანგარიშში (რვა მილიონი ამერიკული დოლარი) ოსმალეთში იგზავნება სხვა და სხვა მოწყობილობა საქსოვ ქარხნებისა, საკანალიზაციო, ავტომობილებისა და სხ. თან მისდევენ საბჭოთა „სპეცები“ ოსმალეთისადმი მეგობრობის განსამტკიცებლად. ამისათვის საგანგებოდ შექმნილმა „ტურქესტრო“-მ მოაწყო სპეციალური კურსები, სადაც გამოიზარდა და სწავლობენ თურქის ინჟინერები და ტექნიკოსები.

სტამბოლში შენდება ვაზების საწინაღმდეგო ნიღაბების ქარხანა, სადაც წელიწადში 300.000 ნიღაბს დაამზადებენ.

### გერმანია და რუსეთი

ქართველი ემიგრაციისათვის კარგა ცნობილ ნ. ვაკარს, მოჰყავს ბაასი გერმანელ ცნობილ ჟურნალისტთან, რომელიც ადარებს ჰიტლერის წიგნში („ჩემი ბრძოლა“) გამოთქმულ აზრებს — უკვე განხორციელებულ პოლიტიკურ ამბებთან და წინასწარმეტყველობს: რადგან „ჩემი ბრძოლა“ დღესაც მთავარი სახელმძღვანელოა — საგარეო საქმეთა სამინისტროსი და ჰიტლერის პოლიტიკისა, უახლოეს დროს („წრეულ, მერმის თუ სამს წელიწადში“-ო) გერმანია დაიჭერს ბალტიის მხარეებს და თავის ნებას უკარნახებსო. შესევას და „ჯვაროსანთა ომს“ არ აწარმოებს, რადგან ეს სახიფათოაო. „როზენბერგის პლანები რუსეთის გაცოფვაზედაო?“, უკითხავს ვაკარს. — ეს იმ შემთხვევაში, თუ ს.ს.ს.რ. თითონ დანაწილდებაო; თორემ





სეპარატისტებს ყურადღებას აღარ აქცევენ, რადგან მოსკოვთან, როგორც ცენტრალურ ძალასთან, მორიგება ურჩევნიათ, რუსეთში თავიანთი მიზნების განსახორციელებლათაო.

არავინ იცის, როგორ დატრიალდება საქმეო, უმატებს პესიმი-სტურად ბ-ნი ვაკარი თავის მხრივ. („პოს. ნოვ., 15/VII, 1935).

### ვაზ. „ფიგარო“-ს შეკითხვა ინგლისის ტრავაისტებს.

იტალია - ეთიოპიის საკითხის გამო მე-2 ინტერნაციონალის და ინგლისის ტრავაისტების ცხარე იერიშებმა იტალიის წინააღმდეგ, — გამოიწვია საგულისხმიერო შეკითხვა ცნობილ ჟურნალისტ დ'ორ-მესონისა ვაზ. „ფიგარო“-ში :

„საკითხავია, იქნებოდნენ თუ არა ტრავაისტები ასეთი სასტიკ-ნი იტალიის წინააღმდეგ, იქ რომ ფაშისტური რეჟიმი არაყოფილიყო? ნუ თუ მათ გულითად მეგობარს უ.რ.ს.ს., — ამ სათნოიან უ.რ.ს.ს., რომელიც ასეთ მშვენიერ გაკვეთილებს აძლევს სხვებს მორალზედ, — ასჯერ მეტად არა აქვს დატვირთული სინდისი საქ-რთველს მაგალითით, ვიდრე იტალიას ექნება როდისმე“-ო?

### გერმანიის მინისტრი გებბელსი კომუნიზმის შესახებ

ნაციონალ - სოციალისტთა კონგრესზედ წარმოთქმულ სიტყ-ვაში მინისტრი გებბელსი კომუნიზმისა და კომუნისტების კრიმი-ნალურ საქმიანობას შეეხო :

„გერმანიის ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურას როლში გამოდის და ამით ის დიდს დანიშნულებას ასრულებს. ამ ბრძოლის შედეგზე არის დამოკიდებული კაცობრიობისა და ცივი-ლიზაციის ბედი. ბოლშევიზმს „საგანგებო“ საშუალებანი აქვს მიზნის მისაღწევად : ცნობილია მაგალითად, რომ რუსეთის დღევან-დელი დიქტატორი პირადათ ხელმძღვანელობდა ტფილისის სახელ-მწიფო ბანკის გაცარცვას 1907 წელს. ამ აქტის სისრულეში მოყვა-ნის დროს 30 უდანაშაულო კაცი იმსხვერპლა. ეს ნაცარცვი ფული 200.000 მ.ნეთი ლენინს გამოუგზავნა შვეიცარიაში.

1908 წელს, ამ თანხის გამომტანი ვალახ - მეიერი (ლი-ტვინოვი), რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინ ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეობდა, დაპატიმრებულ იქმნა ამ კრიმინალური საქმი-სათვის პარიზში.

ბოლშევიზმი — ეს კრიმინალობაა პოლიტიკის ნიღაბს ამოფარე-ბული. ის დაუძინებელი მტერია ყველა ერთა, რელიგიისა და ცივი-ლიზაციის.



ამერიკის მიერ საბჭოების ცნობას თან მოჰყვა ამერიკაში ბოლშევიკური პროპაგანდის გაძლიერება; საფრანგეთის მიერ ბოლშევიკებთან ს მხედრო ხელშეკრულობის დადებას თან მოჰყვა საფრანგეთში მუნიციპალურს არჩევნებში კომუნისტების გამარჯვება; ჩეხოსლოვაკიის მიერ საბჭოებთან ხელშეკრულობის დადებას თან მოჰყვა ჩეხოსლოვაკიის ჯარში კომუნისტური პროპაგანდა, და უკანასკნელს არჩევნებში კომუნისტების შესამჩნევი ზრდა. ის, ვინც უმეგობრდება და ხელთეკვის საბჭოებს, გაჩანაგებული და დანგრეული იქნება მ. თ მიერ“ო.

### რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა პროტესტი

მკითხველს უთუოდ ეხსომება, რომ საბჭ. რუსეთის ერთა ლიგაში მიღების დროს სხვა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა მრავალი დაპირება მისცეს რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების პოლიტიკურს ცენტრებს.


ენკენისთვის 22-ს კავკასიის ერების, უკრაინისა და თურქესტანის ეროვნულმა ცენტრმა პროტესტით მიმართა ერთა ლიგის პრეზიდენტს, ლიგაში შემავალ დელეგატების მიერ დაპირებათა დავიწყებისათვის. საპროტესტო წერილში აღნიშნულია, რომ ერთა ლიგა არ ცდილა დაპირებისა და თ ნახმად. გავლენა მოეხდინა საბჭოთა რუსეთზედ, რათა უკანასკნელს გაეზომიერებინა მისი პოლიტიკა, მის მიერ დაპყრობილ ერების მიმართ. პროტესტში აღნიშნულია, რომ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება ისევ ძველებურად საშინელს ტერორს აწარმოებს ამ ქვეყნებში; ებრძვის ეროვნულისა თუ რელიგიური ხასიათის ყოველს გამოსახულებას. საკუთარ მიწაწყლიდანა ჰყრის და სამშობლოდან ასახლებს მოსახლეობის ნაწილს, რომელთა მიწებზედაც რუსობას ასახლებს.

### სომეხ - ქართველთა უბრალობა

#### საგულისხმო პასუხი ეპისკოპოზს ქიზარიანისა

ამას წინად ეურ. „სამშობლო“-ს თამანშრომელს საუბარი ჰქონდა მეგობარ სომეხებთან. მესაუბრენი შეეხნენ ქართულ - სომხურ ეკლესიების პრობლემას და გამოსთქვეს ერთნაირი აზრი ძველ ქრისტიანულ ეკლესიების კვლავ დაახლოვების საჭიროებაზედ. ჩვენმა თანამშრომელმა ჰკითხა სომეხებს — როგორ დახვდება მაგალი-





თად ეხლანდელი სომხის ეკლესიის მართველობა, თუ მორწმუნე ქართველები პარიზში, რომელნიც სიცოტავის გამო მოკლებულნი არიან თავის საკუთარ ეკლესიას, ითხოვენ ნებას პარიზის სომხურ ეკლესიაში ქართულ წირვა - ლოცვის დრო გამოშვებით გადახდისას? სომხებმა უპასუხეს, რომ მათი სასულიერო მართველობა ქართველების ამ გვარ სურვილს, უსათუოდ სიამოვნებით დახვდება. ამ საუბარს მიუღწევია სომხის უმღლეს სამღვდელოების წრემდე და ეჩვენა გადმოგვეცეს პარიზის სომეხთა სამწყოს მეთაურის, მსცოვან ებისკ. მ. ქიბარიანის \*) საგულისხმიერო წერილი, რომელიცა სწერს თავის თანამემამულეებს ამ საგანზედ: „პარიზში მცხოვრები ჩვენი ძმების, ქართველების, ასეთ სურვილს ვთვლი არა მარტო ბუნებრივ მოვლენად, არამედ კანონიერადაც, რადგან მათ არ მოეპოვებათ საკუთარი ეკლესია. მე მახსენდება აქ ჩვენი საეკლესიო ცხოვრების შორეული წარსულიდან ცოცხალი მაგალითებიც. ცნობილია ყველასაგან, რომ ძველად ბაიბურთის საზღვრამდე ქართველები და სომხები, ძალიან ხშირად, ძმურად სწირავდნენ, ერთ და იმავე ეკლესიაში, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა; მახსენდება აგრეთვე ამბავი, როდესაც ჩვენი ეროვნული გმირის ვარდან მამიკონიანის ქალმა შუშანიკმა, გათხოვილმა ქართველ დიდებულზე, ჯვარდ დაიწერა მეტეხის ქართულ ეკლესიაში\*\*).

ჩვენი ძმების, ქართველების, სურვილის განხორციელებას პარიზის სომხურ ეკლესიაში (ჟან გუჟონზე) თავის წირვა - ლოცვის მოწყობაში სრული ჩვენი თანხმობა დახვდება და ამ შემთხვევაში არაფერში გაეარჩევთ მათ სომხებისაგან.

\*) მამამთავარი ქიბარიანი გადაცილებულია 85 წელს.

\*\*\*) **ისტორიუ. ცნობები** : ვარდან მამიკონიანის ქალი შუშანიკი ჰყავდა ცოლად ქართლის პიტიახზს ვასქენს († 484 წ.), ვახტანგ გორგასლანის მეფობის დროს. სპარსეთის მეფის წყალობის დამსახურებისათვის, ვასქენმა ქრისტიანობაზე უარი სთქვა, ამის გამო მისგან დაშორებული ქრისტიანე ცოლი შუშანიკი მან ჯერ აწამა, ხოლო მერმე სიკვდილამდის ექვსი წელიწადი ციხეში ჰყავდა დამწყვდეული. შუშანიკი მეტეხის ეკლესიაშია დაკრძალული. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა (იხ. „შუშანიკის ცხოვრება“).

„ეკლესიების გაყოფამდე (607-8 წწ.) ქართველებს და სომხებს ერთმანეთში კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ. საქართველოში დამოყვრებული სომეხი აზატები შუშანიკის ხსენების დროს ცურტავ-



## არქივისკომოზ გარეგინის მოხსენებიდან

ა. წ. ენკენისთვის სომეხთა უპარტიოთა კლუბში (ვოლტერის დ. რბაზი) ცნობილ სომხის ფილოლოგმა და არქეოლოგმა მსცოვან არქივისკომოზ გარეგინმა წაიკითხა საგულისხმო მოხსენება: სომხეთის მდგომარეობა - ცხოვრების შესახებ მე-XII—XIII საუკუნოების განმავლობ. ში. იგი შეეხო მაშინდელ სომხების და საქართველოს სამეფოს ურთიერთობასაც.

მრავალ რიცხოვან სომეხთა აუდიტორიის წინაშე დიდის ორატორულის ნიჭით, ისტორიული საბუთების მოყვანით, სომხ. მღვდელ მთავარმა და მეცნიერმა გადაშალა ბრწყინვალე ფურცლები დავით, გიორგის და თამარის საქართველოს დროისა და აღნიშნა განსაკუთრებული მეგობრული და ძმური დამოკიდებულება სომხეთის მოწინავე წრეებისა საქართველოს სამეფოსადმი: „სელჯუკებმა ნანგრევებად აქციეს სომხეთი. სომხების კულტურული ცხოვრება ჩაქრა. მისი მოწინავე წოდების დიდი ნაწილი, მრავალი თავადი და სამღვდელოება დასავლეთისკენ გაეშურნენ და გაიფანტნენ. მხოლოდ სომხეთის აღმოსავლეთის კუთხეებში გადარჩენილნი თავადობა — არწახისა (ყარაბაღში), ფახლავანებისა (ანში), მანკანაბერდისა — არწრუნებისა (ლორში), მუდამ სცილობდნენ გაელვებისათვალისწინებით სომხური კულტურული კერა.

როდესაც გაძლიერებულმა საქართველომ, მეფე დავითის მეთაურობით გადაიგდო სელჯუკთა უღელი, იგი ამ სომეხების დხმარებით შეიჭრა სომხეთის შუა გულში და გაანთავისუფლა ქ. ანისი, რომლის მართველად დააყენა თავადი ორბელი. ნი. შემდეგ ხანაში 1161 წ. სომხეთის ამ სატახტო ქალაქში საქართველოს მეფე გიორგიმ მართველად გააწესა თავადი სატუნ არწრუნი. მეფე გიორგის წინააღმდეგ ორბელიანების შეთქმულობის დროს სომხეთის თავადობა ეხმარება გიორგის ამბოხების ჩაქრობაში ლორში. მეფე გიორგის მხარეზე გადავიდა აგრეთვე გავლენიანი თავადი სარგის

ში (ერეთში) სალოცავად მიდიოდნენ იმგვარადვე, როგორც მცხეთის ჯვარშიაც და იქ ეზიარებოდნენ ხოლმე. ქართველები თავის მხრივ სომხეთში მიემგზავრებოდნენ იქაურ კათოლიკე ეკლესიაში სალოცავად და თანაც იქ წრფელის გულით ეზიარებოდნენო. ამნაირად ქართველთა და სომეხთა შორის სიყვარული და კეთილი მეზობლური დამოკიდებულება არსებობდა. (ივ. ჯავახიშვილი: „ქართველ ერის ისტორია“, ტ. I, გ. 350, 1926 წ.).



(არლუთაშვილი), რომელიც იქამდის ორბელიანს ეხმარებოდა, და ამით გაუადვილა გიორგის გამარჯვების საქმე. გადარჩენილი ზოგი ერთი ორბელიანი თავს აფარებს სპარსეთს და მერმე გადმოსასლდებიან სომხეთში, მიიღებენ გრიგორიანობის რჯულს და აფუძნებენ სომეხ ორბელიანების შტოს.

1187 წელს ქართველ - სომეხთა შეერთებული ჯარის სთავეში სპასალარად ინიშნება თავადი სარგისი. მისი ვაჟები ზაქარია და ივანე (არლუთაშვილები) გვერდში ამოუდგებიან თამარ მეფეს, როცა მის ტახტს ნაწილი დიდებულებისა დაემუქრება. ამის შედეგ ზაქარია ინიშნება ქართველ - სომეხთა ჯარის სპასალარად, ივანე კი მთავარ ვეზირად. შეერთებული ქართველ - სომეხთა ჯარი განდევნის სელჯუკებს ერზერუმიდან და არღებილიდან და ახლად განთავისუფლებული მიწები თამარმა გაუნაწილა საკუთრებად ზაქარიას და ივანეს. ჩრდილოეთი ნაწილი სომხეთისა ლორიდან სიუნიკ - ზანგეზურამდე ჩაებარა ივანეს, სამხრეთი ნაწილი კი, ქ. ანი და ლორის ციხე მიეცა ზაქარიას. ივანე და ზაქარია იღვწვიან სომხეთის გაერთიანებისათვის საქართველოს სამეფოს დახმარებით. ამ ისტორიულ ეპოქის მანძილზე ჩვენ ვხედავთ ძლიერ საქართველოს სახელმწიფოს, რომლის სამსახურში, დიდ საპასუხისმგებლო ადგილებზე იყვნენ მდგარი სომხის დიდებულები. თბილისის მოურავები, დიდი ვეზირები, სახლთუხუცესნი იყვნენ სომხები, რომელნიც ეხმარებოდნენ ქართველ მეფეებს, დიდათ გაფართოვებულ საქართველოს სახელმწიფოს მართვა - გამგეობაში. იმ ხანაში მეფის ძალაუფლების ავტორიტეტი დიდი იყო და, თუმცა მაშინდელ სასომხეთოში შინაური მმართველობა სრულუფლებიან სომხის მეთაურების ხელში იყო, ამასთანავე დამოუკიდებელიც, მაგრამ როგორც ფეოდალური საქართველო ისე სომხეთიც მეფისაგან ვასალურ დამოკიდებულებაში და მორჩილებაში იმყოფებოდა“.

აქ მსცოვანი მომხსენებელი ჩერდება და მიაქცევს ყურადღებას აუდიტორიისა ამ წარსულ ისტორიულ ამბებსა და დასკვნის : „ჩვენ უნდა შევისწავლოთ ეს მნიშვნელოვანი ისტორიული მაგალითები, მივბაძოთ მათ და დავავასოთ ერთმანეთი. გაერთიანებული ძალები ჩვენი ორი ქვეყნისა მოგვაპოვებენ ორივე მხარეს მკვიდრ საფუძველს ბედნიერ მშვიდობიან ცხოვრებისა და კულტურულად აყვავებისა“.

მხმენლო.



## ე მ ი ზ რ ა ც ი ა შ ი

ჩვენმა თანამემამულემ **ექიმ. გიორგი ჭაჭიაშვილმა**, ა/წ. იენისის 26-ს, წარჩინებით ჩააბარა პარიზის უნივერსიტეტის სადოქტორო დისერტაცია შემდეგ თემაზე: „თირკმლის ფიალის და შარდსაწვეთების ხალიანი ხორცმეტები“. ამ თემაზე მან საუკეთესო შრომა დასტამბა. ექიმი ჭაჭიაშვილი რამოდენიმე წელია, რაც მუშაობს St. Joseph-ის ს. აკადემიკოფოში, ცნობილი ქირურგ Papin-ის ხელმძღვანელობით, და დიდს დახმარებას უწევს დაავადებულ თანამემამულეთ.

ღიბებულ და გამოვიდა გასაყიდათ ბ. გ. გვაზავას ახალი წიგნაკი — „**მიჯაჭული პრომეთე**“ (ესხილისა); წიგნაკი არის სუფთად და ლამაზად გამოცემული.

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება და გამოვა ახალგაზრდა პოეტის გ. ყიფიანის ლექსთა პირველი სრული კრებული.

## ბ ი ზ ლ ი ო ზ რ ა შ ი ა

რედაქციამ მიიღო ბ-ნ კ. კანდელაკის მშვენივრად გამოცემული და ფრიად სინტერესო წიგნი: „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, პოლიტიკური რუკით (გამოცემა დ. ხელაძისა), რომელიც სასიამოვნოდ განსხვავდება სამეგრანტო გამოცემებისაგან, როგორც გარეგნული კულტურული სახით, ისე შინაარსის ღირსებით. სავალალოა მხოლოდ, რომ ასეთი დადებითი ნაშრომების გამოცემა შესაძლებელი გახდა ემიგრანტობის **მეაზხუმეტე** წელიწადს. უადგილობის გამო, დაწვრილებით განვიხილავთ ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში.

სარედაქციო კოლეგია.

Imp. de Navarre, 5, rue des Gobelins.

: **Suzanne Bertillon.** La gérante







ქართული  
ბიბლიოთეკა